ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№260 (12 330)

3 ნოემბერი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

# საქართველოში მსაჯი ისევ სცემეს... ამჯერად, მწვრთნელმა

ორიოდე დღის წინათ, გორში, მეორე ლიგის მორიგი ტურის კალენდარული მატჩი უნდა გამართულიყო ცხინვალის „სპარტაკი 2-სა“ და თბილისის „ორბეთს“ შორის. მატჩი დაიწყო, მაგრამ არ დასრულებულა. პირველი ტაიმის შემდეგ, თამაშის მთავარმა მსაჯმა ირაკლი ურუშაძემ უარი თქვა შეხვედრის მომსახურებაზე. როგორც ჩანს, მან ეს გადაწყვეტილება ზემდგომებთან კონსულტაციის შემდეგ მიიღო... 3



# კიდევ ერთი ლიცენზია პეკინისთვის

## ლუბა გოლოვინა, ბატუტზე ხტომა

მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა 13



ირაკლი მაჩხანელი კლუბმა არ გაათავისუფლა

# დიდი ბრძოლები ევროუქმეებზე

დღეს, არსენალი-მანჩესტერ იუნ. 16:45





ხვალ, იუვე-ინტერი 23:30

წინასამატჩო ამბები 6-7





10 ნოემბერი. საქართველო-პორტუგალია

# ორი კაცი შეიცვალა

პორტუგალიის წინააღმდეგ მატჩისთვის დასახელებულ შემადგენლობაში საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა ორი იძულებითი ცვლილება შეიტანეს. კლუბის ხელმძღვანელობა ნაკრებში სათამაშოდ არ უშვებს გარემარბ **ირაკლი მაჩხანელს**. მის ნაცვლად მწვრთნელებმა „მონლუსონის“ შუამარბი **რეზო გიგაური** გამოიძახეს. **თემურ სოხაძის** ნაცვლად, რომელსაც მამა გარდაეცვალა, ეროვნულ გუნდში დებიუტი ექნება ოდესის „კრედოში“ მოასპარეზე **ლაშა მალაღურაძეს**, რომელიც ამპლუით 10 ნომერია და უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია. სადღეისოდ, 22-კაციანი შემადგენლობა ასეთია.

პირველი ხაზი: **ირაკლი ჭყონია** (კლერმონი), **ირაკლი ნატრიაშვილი** (ფარული, რუმ.), **გიორგი ჟღენტი** (ბიარიცი); **ანტონ ფეიქრიშვილი** (აჟენი), **დავით გასვიანი** (ბობინი)

მეორე ხაზი: **მამუკა გორგოძე** (მონპელიე), **ლევან დათუნაშვილი** (მონლუსონი), **შალვა სუთიაშვილი** (ბობინი)

მესამე ხაზი: **გიორგი ჩხაიძე** (მასი), **რატი ურუშაძე** (ლონსი), **ბესიკ უდესიანი** (უგუნდო), **ილია მაისურაძე** (ლოკომოტივი).

9: **ირაკლი აბუსერიძე** (ორლეანი), **ბიძინა სამხარაძე** (ფარული, რუმ.)

10: **მერაბ კვირიკაშვილი** (პო)

12-13: **ირაკლი გიორგაძე** (დაქსი), **დავით კაჭარავა** (ყოჩები), **რეზო გიგაური** (მონლუსონი)

11-14, 15: **ბესიკ ხამაშურიძე** (კანი), **გიორგი შკინინი** (უგუნდო), **გიორგი ელიზბარაშვილი** (კრასნი იარი), **ლაშა მალაღურაძე** (ოდესა)

ბესიკ ჯანგავაძე

LIVE

სპორტული საინფორმაციო ცენტრი

272-272

ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ

LIVE

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰაინც ტოპმიოლერი



პეტარ სეგრტი

სამწვრთნელო საკითხი

# ალბათ, ფიქრი დეკემბრამდე გაიწელება

## ტოპი დურბანის მერე დაბრუნდება

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების ხელმოცარული უცხოელი მწვრთნელების საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ გაირკვა, თუ როდის დაესმევა წერტილი ამ მეტად მნიშვნელოვან ამბავს.

**პეტარ სეგრტი, ჰაინც ტოპმიოლერი** და **ჰერბერტ ცანკერი** ჯერაც საქართველოს 21,19 და 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელები არიან, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, მათგან ყველამ შეინარჩუნოს პოსტი. შესაძლოა, სამივეს მოუწიოს საქართველოდან აბარგება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მათი საკითხის განხილვა დეკემბრისთვის გადადო. ფედერაციას დრო იმისთვისაც სჭირდება,რომ ასაკობრივი ნაკრებებისთვის რამდენიმე მწვრთნელის კანდიდატურა გულდასმით განიხილოს.

25 ნოემბერს სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანში მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაიმართება, რასაც საქართველოს დელეგაციაც დაესწრება. **კლაუს ტოპმიოლერსაც** ამის მერე თბილისში ჩამოსვლა მოუწევს, რათა საბოლოოდ დააფიქსიროს თავისი პოზიცია, თუ ვინ სურს ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებად - ფედერაცია ეროვნულ ნაკრების თავკაცთან კონსულტაციის გარეშე ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას ასაკობრივ ნაკრებებზე.

მოკლედ, საქართველოს 17,19 და 21-წლამდელთა ნაკრებთა მწვრთნელებზე ვერდიქტს დეკემბრის პირველ კვირაში უნდა ველოდოთ.

**დავით თავართქილაძე**

ისევ ტოპმიოლერსა და კაიზერსლაუტერნზე...

# კლაუსის ულტიმატუმი

## ტოპმიოლერმა კაიზერს საქართველო ამჯობინა

**კლაუს ტოპმიოლერის** „კაიზერსლაუტერნთან" თანამშრომლობაზე კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს გუშინწინ უნდა ემსჯელა. თუმცა საკითხის განხილვა სამშაბათისთვის გადაიდო.

გუშინ ამ თემით გერმანული „ფაინენშელ თაიმსი" დაინტერესდა და საქართველოს ნაკრების მწვრთნელს გაესაუბრა. კლაუს ტოპმიოლერის პოზიცია გერმანელმა ჟურნალისტებმა ულტიმატუმად შერაცხეს. სტატიის სათაურიც ასე ჟღერს: „ტოპმიოლერმა კაიზერსლაუტერნს" ულტიმატუმი წაუყენა". აი რას ამბობს ნაკრები მწვრთნელი:

„კაიზერსლაუტერნთან" ჩემი შესაძლო თანამშრომლობის თემას დიდი რეზონანსი მოჰყვა. ეს, ალბათ, იმითაცაა განპირობებული, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ზედმეტად გაჭიანურდა. მართალი გითხრათ, ნამდვილად არ მინდოდა, ასეთი გამოხმაურება მოჰყოლოდა. „კაიზერსლაუტერნში" ვთამაშობდი და ეს კლუბი ჩემთვის სულაც არაა ერთი ჩვეულებრივი გუნდი. თუმცა არც ისე მინდა გამოვიდეს, რომ ამ კლუბს ჩემი სურვილი თავზე მოვახვიე. ბოლო ინფორმაციით ჩვენს შესაძლო თანამშრომლობაზე სამშაბათს იქნება მსჯელობა. ჩემთვის ეს იქნება ბოლო ვადა. ამ დღეს დადებით ან უარყოფით პასუხს ველოდები. ამ საკითხს წერტილი უნდა დაესვას", - კლაუს ტოპმიოლერის ეს სიტყვები მონათლა გერმანულმა პრესამ ულტიმატუმად.

„ფაინენშელ თაიმსი" კიდევ ერთხელ დაინტერესდა, თუ რა ფორმით თანამშრომლობას ითხოვს ტოპმიოლერი ბუნდესლიგური კლუბისგან:

„მინდა ყველამ კარგად გაიგოს, „კაიზერსლაუტერნის" სამეთვალყურეო საბჭოში შესვლა ჩემი არც სურვილია და არც მოთხოვნა. არ მინდა რომელიმე სავარძელს სითბო შევუნარჩუნო, მე საქართველოს ნაკრებს ვწვრთნი. თუმცა ეს კლუბი ჩემი ცხოვრების ნაწილია და მინდა, დავეხმარო. მინდა ეს გუნდი კარგი ფეხბურთელებით გაძლიერდეს და ბუნდესლიგიდან არ გავარდეს. ყველამ იცოდეს, მე არ ვითხოვ „ლაუტერნის" სამეთვალყურეო საბჭოში შესვლას. კლუბის სპორტული დირექტორის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. გუნდის მთავარ მწვრთნელ კიეტილ რეკდალს კარგ სპეციალისტად მივიჩნევ და მანაც უნდა გააგრძელოს მუშაობა. თუმცა თუ გუნდის წარუმატებლობები გაგრძელდება და ვითარება არ გამოსწორდება, მაშინ პასუხი სწორედ მათ მოეთხოვებათ. გუნდში მთავარი სპორტული მართვაა. ჩემი სურვილია სპორტულ მართვაში, მრჩევლის სახით მივიღო მონაწილეობა, გუნდი კარგი ფეხბურთელებით გავაძლიერო, რათა „ლაუტერნს" მეორე ბუნდესლიგის" დატოვება არ მოუწიოს", - აცხადებს ტოპმიოლერი.

საუბრის ბოლოს კი ჰერ კლაუსს ჩვენთვის საინტერესო კითხვა დაუსვეს და ეროვნული ნაკრების თავკაცმა არჩევანი დაუფიქრებლად გააკეთა:

„არჩევანის წინაშე რომ დავდგე, „კაიზერსლაუტერნი" თუ საქართველოს ნაკრები? უპირობოდ არჩევანს საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ გავაკეთებ. მე ამ საქმით ვარ დაკავებული, მიყვარს ეს გუნდი და მინდა დიდ წარმატებებს მივაღწიო", - ასეთია ტოპმიოლერის პოზიცია.

ამავე თემაზე „აუგსბურგ ალგემაინმა" „ლაუტერნის" მთავარი მწვრთნელის **კიეტილ რეკდალის** ინტერვიუ გამოაქვეყნა. რეკდალს კლაუს ტოპმიოლერსა და კლუბთან მის შესაძლო თანამშრომლობაზეც დაეკითხნენ. მან განაცხადა, ეს საკითხი კლუბის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტიაო.

**დავით ცაბაძე**



კლაუს ტოპმიოლერი





ჰერბერტ ცანკერი

# ცანკერის ახალი გუნდი

## ორი სპარინგი რუსეთთან

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები 5 და 7 ნოემბერს რუსეთის ნაკრებთან ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. ჩვენი გუნდის გერმანელი თავკაცი **ჰერბერტ ცანკერი** კადრებს მომავალი შესარჩევი ტურნირისთვის ეძებს, ამ კონტინგენტს კი თავი ძირითადად, 1992 წელს დაბადებული ჭაბუკებით უნდა მოუყაროს. ვნახოთ, როგორ გამოიჩენენ თავს ცანკერის რჩეულნი.

გუშინ სანაკრებო შეკრებაზე ეს 23 ფეხბურთელი გადავიდა:

მეკარეები: გიორგი ნადირაძე (დინამო), არჩილ მაქაცარია (ბაია), გიორგი კლარჯეიშვილი (ლოკომოტივი).

მცველები: ბაქარ მირცხულავა (ტორპედო), ირაკლი გულუა (ოლიმპი), გიორგი ქვარცხავა (ბაია), მინდია ფუტკარაძე (ბათუმი), ნიკა კვეკვესკირი (ბაია), ბესიკ ამაშუკელი (მერანი).

ნახევარმცველები: ნიკა ძალამიძე (ბაია), ჯანო ანანიძე (დინამო კიევი), ნოშრევან ჯიშკარიანი (ოლიმპი), გიორგი ჩელებაძე (ოლიმპიკი), მერაბ მამულაძე (ბათუმი), გია ხარლამოვი (ოლიმპი), გოგა ქვარაია (ლოკომოტივი), ირაკლი რუხია (35-ე საფეხბურთო სკოლა), გიორგი ილურიძე (დინამო), ირაკლი ქობალია (მერანი), თორნიკე მეტრეველი (ოლიმპი).

თავდამსხმელები: ირაკლი შეყილაძე (ბაია), კონსტანტინე გაბაშვილი (ოლიმპი), გიორგი ვაშაკიძე (დინამო).

5 ნოემბრის შეხვედრა „ამერის" სტადიონზე გაიმართება, 7-ში კი მეტოქეები ერთმანეთს „მერანზე" დაუპირისპირდებიან. შეგახსენებთ, ცანკერის გუნდმა ივლისში რუსეთში ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. პირველი თამაში ქართველებმა 2:1 მოიგეს, მეორეში კი რუსებმა 3:2 გაიმარჯვეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

21-წლამდელთა ნაკრები

# რუსები ანტალიის გავლით მოდიან

20 ნოემბერს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში რუსეთს უმასპინძლებს. რუსეთის 21-წლამდელთა მთავარმა მწვრთნელმა **ბორის სტუკალოვმა** უკვე დაასახელა ის შემადგენლობა, რომლის იმედიც თბილისში ექნება.

მეკარეები: სოსლან ჯანაევი (კამაზი), მიხაილ კერჟაკოვი (ზენიტი), ნიკიტა ტალალიხინი (ურალი).

მცველები: კირილ ნაბაბკინი (მოსკვა), სერგეი ეფიმოვი (ლოკომოტივი მ.), იური ლებედევი (ზენიტი), ვლადიმირ გრანატი (დინამო მ.), ფიოდორ კუდრიაშოვი (სპარტაკი მ.), ანდრეი ლუკაჩენკოვი (სკა), დმიტრი იატჩენკო (სპარტაკი ნ.), რომან შიშკინი (სპარტაკი მ.).

ნახევარმცველები: კირილ კომბაროვი (დინამო მ.), დმიტრი კომბაროვი (დინამო მ.), ივან ტარანოვი (ცსკა მ.), ვიქტორ ფაიზულინი (სპარტაკი ნ.), ანდრეი ნაგუმანოვი (ტექსტილშჩიკი), ოლეგ სამსონოვი (სპარტაკი ნ.), პაველ გოლიშევი (მოსკვა).

თავდამსხმელები: ალექსანდრ პრუდნიკოვი (სპარტაკი მ.), ოლეგ კოჟანოვი (ურალი).

რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები შეკრებას 13 ნოემბერს, ბორში დაიწყებს, მეორე დღეს კი ანტალიაში გადაფრინდება და სამი დღის განმავლობაში იქ მოემზადება. სტუკალოვის გუნდი თბილისს 17 ნოემბერს ეწვევა. შეგახსენებთ, ჩვენს ჯგუფს რუსეთი ლიდერობს, **პეტარ სეგრტის** გუნდი კი აუტსაიდერია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

საქართველოს
ჯგუფური რაუნდი. V ტური. წინათქმა
დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათამაშება
www.pfl.ge

# ჯორჯიას გზა დინამოზე გადის

თასის ჯგუფური ეტაპი გრძელდება, ჩემპიონატში ორკვირიანი პაუზაა გამოცხადებული და აქ მოკლე პერიოდში ორი ტური იმართება. ხვალინდელი და ზეგინდელი მატჩები კიდევ ბევრ შეკითხვას გასცემს პასუხს. ყველაზე დიდი ვნებათაღელვა მცხეთაშია მოსალოდნელი. შეგახსენებთ, „ვიტ ჯორჯია“ და „დინამო“ ამ სეზონში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, ორივეჯერ ეროვნულ სტადიონზე - ჯერ „დინამომ“ მოიგო თასის მატჩი (3:2), შემდეგ კი „ჯორჯიამ“ მეტოქეს ჩემპიონატში პირველი მარცხი აგემა (1:0).

**A ჯგუფი**

**14:00 მესხეთი–ამერი**

5 ნოემბერი. ახალციხე. მ. იაძე.
არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

**14:00 სპარტაკი–ტორპედო**

5 ნოემბერი. გორი. თ. ბურჯანაძე.
არბიტრი: ვ. გუმბერიძე

თუ „მესხეთმა“ „ამერს“ ვერ სძლია, მეოთხედფინალში გასვლის ყველა შანსს დაკარგავს. თავის მხრივ, ამ მატჩში ქულების დაკარგვა არც თასის მფლობელებს აძლევთ ხელს, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალციხეში ტურის ერთ-ერთი გამორჩეული შეხვედრა გაიმართება. „სპარტაკი“ უფრო კომფორტულ მდგომარეობაშია, „ტორპედოს“ აქამდე ყველამ იოლად მოუგო და ამიტომ მოსალოდნელია, რომ ცხინვალური გუნდის წევრები დღეს მორიგ გამარჯვებასა და მეოთხედფინალში გასვლას იზეიმებენ. ალბათ, გადამწყვეტი ბრძოლა „სპარტაკმა“ წინა ტურში მოიგო, როცა შინ „მესხეთს“ მინიმალურად სძლია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 4 | 3 | 0 | 1 | 14-3 | 9 |
| 2. სპარტაკი | 4 | 3 | 0 | 1 | 5-2 | 9 |
| 3. მესხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-5 | 6 |
| 4. ტორპედო | 4 | 0 | 0 | 4 | 1-15 | 0 |

**B ჯგუფი**

**14:00 ვიტ ჯორჯია–დინამო**

5 ნოემბერი. მცხეთა. არმაზი.
არბიტრი: მ. ურუშაძე

**14:00 ლოკომოტივი–მალაროელი**

5 ნოემბერი. თბილისი. ოლიმპიკი.
არბიტრი: გ. დოგრაშვილი

„ვიტ ჯორჯიას“, რომელიც საქართველოს თასზე დიდი წარმატებებით არასდროს გამოირჩეოდა, ჯგუფში ჩარჩენის საფრთხე ემუქრება. შეგახსენებთ, ეს ბარიერი ვეტერინარებმა შარშანაც ვერ გადალახეს. **ნესტორ მუმლაძის** გუნდს ხვალ „დინამოს“ დამარცხებაც სჭირდება და ბოლო ტურში ქიათურაში, უშუალო კონკურენტ „მალაროელის“ ძლევაც. ამოცანა საკმაოდ რთულია, მაგრამ ჯორჯიელებს შანსი ჯერ კიდევ აქვთ. „დინამოს“ ისინი ოპტიმალური შემადგენლობით დაუხვდებიან, მათ მხოლოდ დისკვალიფიცირებული **დავით ლომაია** დააკლდებათ. „დინამო“ თითქმის სამშვიდობოზეა, ხოლო „მალაროელი“ მეოთხედფინალს იმ შემთხვევაში გაინაღდებს, თუ თავადაც გაიმარჯვებს და **უჰრინის** გუნდიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი ბოლო ტურში გაირკვევა. მოკლედ, ამ ჯგუფში მოვლენები მეტად საინტერესოდ ვითარდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 4 | 3 | 1 | 0 | 7-3 | 10 |
| 2. მალაროელი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 0 | 2 | 9-4 | 6 |
| 4. ლოკომოტივი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-12 | 0 |

**C ჯგუფი**

**14:00 ბორჯომი–ოლიმპი**

5 ნოემბერი. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი.
არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

**14:00 ბათუმი–მერანი**

5 ნოემბერი. ბათუმი. ადელი.
არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

ეს ერთადერთი ოთხეულია, სადაც წინსვლის შანსი ყველა გუნდს შენარჩუნებული აქვს, ცხადია, მეტ-ნაკლები სხვაობით. ნაავარიევ „ბორჯომს“ ალბათ, რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდება, მაგრამ „ოლიმპის“ დამარცხებისა და მეოთხედფინალში გასვლის პერსპექტივა მაინც აქვს. „ბათუმსა“ და „მერანს“ სატურნირო მდგომარეობის გამოსწორება ურთიერთშეხვედრაში შეუძლიათ. შეგახსენებთ, „ბათუმისა“ და „ბორჯომის“ მატჩი ბორჯომელთა ავტოავარიის გამო გადაიდო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 2. ბორჯომი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 3. მერანი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-2 | 4 |
| 4. ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-3 | 3 |



თასზე დინამომ მოიგო, ჩემპიონატში ვიტ ჯორჯიამ, რა იქნება ამჯერად?

**D ჯგუფი**

**14:00 დილა–კახეთი**

4 ნოემბერი. გორი. თ. ბურჯანაძე.
არბიტრი: ლ. სილაგავა

**14:00 მგლები–ზესტაფონი**

5 ნოემბერი. ზუგდიდი. ცენტრალური
არბიტრი: ო. ხეცაძე

თუ „დილამ“ დღეს „კახეთს“ მოუგო და „ზესტაფონი“ ზუგდიდში არ დამარცხდა, ამ ჯგუფში ბოლო ტური ფორმალობადა იქნება. გორელებს ჩემპიონატში საქმეები არასახარბიელოდ მისდით, თასზე კი დაუმარცხებელნი არიან. მთავარი ბრძოლა **ვარდოსანიძის** გუნდს „მგლებთან“ უკვე ჰქონდა და წარმატებით დაასრულა. ალბათ, „დილა“ მეოთხედფინალში გასვლას დღესვე იზეიმებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 4 | 3 | 1 | 0 | 13-4 | 10 |
| 2. დილა | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 8 |
| 3. მგლები | 4 | 1 | 1 | 2 | 7-9 | 4 |
| 4. კახეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-12 | 0 |

**ლევან ჯანეზაშვილი**

სკანდალი

# თამაში მსაჯის ცემამ ჩაშალა

## ფაქტზე სადისციპლინო კომიტეტი იმსჯელებს

*პირველი გვერდიდან*

შეხვედრის 41-ე წუთზე, მაშინ, როცა მინიმალური ანგარიშით (0:1) სტუმრები იგებდნენ, მატჩის არბიტრმა მასპინძელთა კარში პენალტი დანიშნა. მთავარი მსაჯის გადაწყვეტილებამ ცხინვალელები ალაშფოთა და არბიტრზე შეტევაც აქედან დაიწყო. ჩვენი ინფორმაციით **ირაკლი ურუშაძეს** ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. გავრცელებული ვერსიით, სხვებთან ერთად „სპარტაკი 2-ის“ მწვრთნელი **ზურაბ ნასუაშვილიც** აქტიურობდა. არბიტრმა ტაიმი ჩაამთავრა, მაგრამ შესვენების შემდეგ მოედანზე აღარ გასულა, თამაში ჩაიშალა.

ვითარებაში უკეთ გასარკვევად მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის ხელმძღვანელ **ამირან კაჭახიძეს** დავუკავშირდით.

*„მართლაც სამარცხვინო და აღმაშფოთებელი ფაქტი მოხდა. მსგავსი რამ დასაგმობი და მიუღებელია და აღარ უნდა განმეორდეს. ამ საკითხს სათანადო სამსახური შეისწავლის და გადაწყვეტილებასაც მიიღებს. ერთს კი გპირდებით, დამნაშავე, ვინც არ უნდა იყოს, მკაცრად დაისჯება“*, - „ლელოსთან“ საუბარში აღნიშნა ამირან კაჭახიძემ.

საკითხს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისია სწავლობს და განხილვაც მალე შედგება.

*„ამ საკითხს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისია ორშაბათს, 5 ნოემბერს იმსჯელებს და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მიიღებს“*, - გვითხრა ამავე კომისიის წევრმა **რევაზ შენგელიამ**.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# ნუკრი რევიშვილი სამი თვე დაისვენებს

საქართველოს ნაკრებისა და ყაზანის „რუბინის“ მეკარე **ნუკრი რევიშვილი** სამი თვე ვერ ივარჯიშებს. ასეთი ვერდიქტი მას გუშინ ყაზანელმა ექიმმა გამოუტანა. ნუკრი 29 ოქტომბერს უმძიმეს ავარიაში მოყვა, რომლის შემდეგაც გონება და მეხსიერება დაკარგა.

მართალია, მძიმე ტრავმების გარეშე გადარჩა, მაგრამ საბოლოო შემოწმების დროს თავის არეში დაჟეჟილობა აღმოუჩინეს, რაც გახდა კიდეც ექიმის ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი.

ასე და ამგვარად, 19 წლის ქართველი მეკარე საკმაოდ დიდი რისკის წინაშე აღმოჩნდა. სამი თვე თუ ვერ ივარჯიშებს, დიდი შანსია, რომ ყაზანის „რუბინთან“ ერთა სეზონისთვის მომზადება ვერ დაიწყოს და ვარჯიში მხოლოდ თებერვალში გააგრძელოს. ეს თავისთავად არასასურველია, რადგან ფორმაში შესვლა და რაც მთავარია, გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება გაუჭირდება.

მეორე მომენტიცაა გასათვალისწინებელი: სავსებით რეალურია, რომ ყაზანის „რუბინის“ მთავარმა მწვრთნელმა **ყურბან ბერდიაევმა** მის არყოფნაში ახალი მეკარე შეიძინოს. ამბიციური კლუბი ვერ დაელოდება ქართველის გამოჯანმრთელებას. ასეთ გუნდებს ყოველთვის სჭირდებათ მინიმუმ ორი თანაბარი ძალის მეკარე.

**მერაბ მამულაშვილი**



ნუკრი რევიშვილი



ტოპმიოლერი და სეგრტი რუსთავში, რალიზე

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge


გიორგი ონიანი

ლეგიონერები

# მაჩანჩალა თასის მერვედფინალში

## ეროვნულის საუკეთესო მცველი გლადბახისთვის ემზადება

თვრამეტგუნდა მეორე ბუნდესლიგაში იენის „კარლ ცაისი“ მე-17 ადგილზეა, თუმცა გერმანიის თასის 1/16 ფინალში ბუნდესლიგური „ნიურნბერგი“ პენალტების სერიაში დაამარცხა და ერთ-ერთი პენალტი ზუსტად შეასრულა იენელმა **გიორგი ონიანმა**.

117-ე წუთი იყო, რცა ონიანი მოედანზე შევიდა. რა იყო ასეთი შეცვლის მიზეზი?

*„მწვრთნელი ჯერ ნახევარმცველის შეყვანას აპირებდა, მაგრამ როცა ანგარიში გავათანაბრეთ (2:2), ვალდას ივანაუსკასმა მოედანზე იმიტომ შემიშვა, რომ ანგარიში შეგვენარჩუნებინა. როცა პენალტების სერიაზე მიდგა საქმე, რამდენიმე თანაგუნდელმა უარი თქვა 11-მეტრიანის დარტყმაზე, მე კი - არა. მოკლედ, ივანაუსკასს პენალტის დასარტყმელად არ შევუყვანივარ“,* - გვითხრა გიორგიმ.

გერმანიის თასის მერვედფინალში „კარლ ცაისი“ 29 იანვარს კიდევ ერთ ბუნდესლიგელს, ბილეფელდის „არმინიას“ შეხვდება.

ონიანის გარდა „კარლ ცაისში“ კიდევ სამი ქართველია - **ილია კანდელაკი, გიორგი სეთურიძე** და **რევაზ ბარაბაძე**, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო მათ ჯერ ვერ მოიკიდეს ფეხი იენური გუნდის თერთმეტეულში.

*„კანდელაკს ტრავმა არ აწუხებს და ვფიქრობ, მისი უთამაშებლობა დროებითია, სეთურიძემ კი, მოგეხსენებათ, ზაფხულში ჯვარედინი იოგების ოპერაცია გაიკეთა და ახლა სარეაბილიტაციო კურსი აქვს, ექიმის მეთვალყურეობით სპეციალურ ვარჯიშებს აკეთებს და გუნდს მაშინ შეუერთდება, როცა საშუასეზონო შეკრება გვექნება. რაც შეეხება პარაბაძეს, როცა ჩვენი მწვრთნელი ფრანკ ნოიბარტი იყო, ის ბოლოს დროს მეორე გუნდში გადაიყვანა, ახლა კი ბარაბაძე პირველ გუნდში ვარჯიშობს“*, - გვაცნობა ონიანმა.

ნოიბარტი „კარლ ცაისიდან“ მე-6 ტურის შემდეგ გაუშვეს და მის ნაცვლად ლიტველ **ვალდას ივანაუკასს** უხმეს. იენური კლუბის ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელი რუსული ფინანსური ჯგუფია. ქართველ ფეხბურთელთა „კარლ ცაისში“ ტრანსფერებს **ახრიკ ცვეიბა** და **მამუკა ჯულელი** ჩარხავენ. „კარლ ცაისის“ რუსი დამფინანსებლების მეშვეობით მოხვდა ივანაუსკასიც იენაში.

*„ნოიბარტის ხელში „კარლ ცაისმა“ ექვსი თამაშიდან ხუთი წააგო და ერთი ფრე ითამაშა. მიუხედავად წარუმატებლობისა, ნოიბარტი შემადგენლობას არ ცვლიდა, სხვებს შანსს არ აძლევდა, ივანაუსკასი კი სხვანაირად იქცევა, სურს, ყველას მისცეს შანსი და გუნდში ახლა უკეთესი სიტუაციაა“*,- განგვიმარტა ონიანმა.

რუსთავის „ოლიმპიდან“ „კარლ ცაისში“ საამსეზონოდ გადასულმა ონიანმა მეორე ბუნდესლიგაში ჯერ მხოლოდ სამჯერ ითამაშა, ორჯერ ცენტრალურ მცველად, ერთხელ მარჯვენა მცველად. *„ცოტა ხნის წინ მსუბუქი ტრავმა მივიღე და „ნიურნბერგთან“ მატჩისთვის ოპტიმალურ ფორმაში ვერ ვიყავი. ახლა უკეთ ვარ და შესაძლოა, 5 ნოემბერს, მეორე ბუნდესლიგის მომდევნო ტურში, „მიონხენგლადბახთან“ ვითამაშო“*, - გვითხრა გიორგიმ, ვინც გერმანიაში წასვლამდე საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მცველი გახდა პროფლიგის მიერ ჩატარებული ჟურნალისტთა გამოკითხვით.

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ ანდრეი ბიბასთან

# საქართველო ძველებურად მშვენიერია

**უკრაინული** ფეხბურთის ლეგენდა ანდრეი ბიბა 4 ოქტომბერს თბილისს ესტუმრა და ვიტალი დარასელიას ხსოვნის საღამოს მონაწილე შეიქმნა.

ეტყობა, კიევის „დინამოს“ დღევანდელი სელექციონერი თბილისურმა დახვედრამ ძალიან მოხიბლა. მას „სპორტ-ექსპრესმა“ ინტერვიუ ჩამოართვა და ლამის ნახევარი საქართველოზე ისაუბრა.

**- რამდენიმე ხნის წინათ თბილისში გახლდით, სადაც ვიტალი დარასელია გაეიხსენეთ, რომელსაც 4 ოქტომბერს 50 წელი შეუსრულდა.**

- მე ვიყავი ვიტალის მეგობრების გუნდის მწვრთნელი, სადაც ითამაშეს ბელანოვმა, კუზნეცოვმა, ლოზინსკიმ, ხლუსმა, კოსოვსკიმ, ხიდიატულინმა, შავეიკომ, ოგანესიანმა, ჯავადოვმა, ბოროვსკიმ. ჩვენ წინააღმდეგ კი ჩივაძემ, გაბელიამ, სულაქველიძემ, მაჩაიძემ, ქორიძემ, ცაავამ, შენგელიამ და ჩელებაძემ ითამაშეს.

**- ალბათ თამაში 8:8 დასრულდა.**

- არა, რას ამბობთ... 5:5. მოედანი იყო მშვენიერი, ატმოსფერო - გადასარევი. ქართველები ყოველთვის გამოირჩეოდნენ იმ ადამიანებისადმი პატივისცემით, ვინც მათი ფეხბურთი ასახელა. სამწუხაროა, რომ უკვე იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს. თითოეულს საქმე ყელამდე გვაყრია. ამასთანავე, საზღვრებიც აღმართეს. ჩვენ, უკრაინელებმა აეროპორტის კონტროლი სწრაფად გავიარეთ, მოსკოველებს კი ლოდინი მოუწიათ. მათ ვიზის თანხა უნდა გადაეხადათ და ფორმალური საკითხები მოეგვარებინათ.

როდესაც ერთმანეთს ვესტუმრებით, რას იზამ, ჯერ სასაფლაოზე მივდივართ. ხალხი ცხოვრებიდან მიდის, თანაც, როგორები! თბილისში დავით ყიფიანის სასაფლაოზე ვიყავით.

**- ალბათ, ვიტალი დარასელიას ძეგლიც ნახეთ.**

- არა, ის აფხაზი იყო და ოჩამჩირეშია დაკრძალული.

**- ამჟამად საქართველოს აფხაზეთთან საუკეთესო ურთიერთობები არ გააჩნია.**

- დარასელიას საქართველოში აღმერთებენ. მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი შეხვედრა პრეზიდენტ სააკაშვილის პატრონაჟით ჩატარდა. რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ ვთქვა გასაოცარ ქართულ მასპინძლობაზე. იქ ძმებივით შეგვხვდნენ კიეველ ფეხბურთელებს, ისევე როგორც ხიდიატულინს, ოგანესიანს. ჩივაძე მოვიდა და მითხრა, ანდრეი ანდრეიჩ, საქართველოში ძალიან უყვარხართო. მე საქართველოს ხშირი სტუმარი ვარ. არაერთხელ ჩავსულვარ, როდესაც კიევის „დინამოში“ კალაძე, დემეტრაძე და სხვა ქართველები მიგვყავდა.

ჩვენ საქართველოში ფეხბურთელობის დროსაც გულლიად გვხვდებოდნენ. მოედანზე შეურიგებელი მოწინააღმდეგეები ვიყავით. თუმცა შეხვედრის შემდეგ კიევის „დინამოს“ რამდენიმე წევრი მიშა მესხს, სლავა მეტრეველს, შოთა იამანიძეს, ზაურ კალოევს თავისთან მივყავდით. ზოგჯერ ერთად მივდიოდით თბილისის ზღვაზე. კიევში კი მათ რესტორან „დინამოში“ ვმასპინძლობდით. თუმცა დამიჯერეთ, ჩაწყობილ თამაშებზე ფიქრიც არ გაგვივლია თავში. მოედანზე ბოლომდე ვიბრძოდით.

**- ძველ დროში ქართული ღვინო უკეთესი იყო?**

- ვერ დავიწყებ მტკიცებას, რადგან ღვინოს არ ვსვამ, კონიაკი მირჩევნია. ის კი ახლა ნაღდად არაა უარესი. რა ვიცი, შეიძლება საქართველოში ცხოვრება გართულდა, მაგრამ როგორც ადრე გვიმასპინძლდებოდნენ, ახლაც ისევე დაგვაპურეს - მაგიდები საჭმლისგან ტყდებოდა.

თარგმნა
**მერაბ მამულაშვილმა**


ალექსანდრე ჩივაძე ვიტალი დარასელიას საიუბილეო მატჩში


ზურაბ ხიზანიშვილი

# ხიზანიშვილზე ლივერპული თქვეს

დღეს **ზურაბ ხიზანიშვილის** „ბლექბერნ როვერსი“ პრემიერლიგის მორიგ ტურში „ლივერპულს“ მასპინძლობს და შესაძლოა, ზურა სასტარტოში იყოს.

31 ოქტომბერს „ბლექბერნმა“ ლიგის თასზე სტუმრად „პორტსმუთი“ 2:1 დაამარცხა და მაშინ ქართველმა 90 წუთი ითამაშა. ალბათ, ამიტომაც ივარაუდა რამდენიმე ბრიტანულმა ვებგვერდმა ხიზანიშვილის სასტარტოში ყოფნა.

მიმდინარე პრემიერლიგაში ხიზანიშვილმა აქამდე მხოლოდ ერთხელ ითამაშა და ისიც შეცვლაზე.

# კალაძისა და მუჯირის მეტოქეები

აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალისტს, **ჯაბა მუჯირის** ისპაჰანის „სეპაჰანს“ ჯერაც სათამაშო აქვს იაპონურ „ურავასთან“, თუმცა ადრეც გაუწყეთ, რომ მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატში აზიის ჩემპიონთა ლიგის ორივე ფინალისტი ითამაშებს.

ტურნირი 7 დეკემბერს დაიწყება იაპონიაში და იქ, „სეპაჰანისა“ და „ურავას“ გარდა, კიდევ ოთხი გუნდი ითამაშებს: „მილანი“, „ბოკა ხუნიორსი“, „ვეითაკერე“ (ახალი ზელანდია) და „პაჩუკა“ (მექსიკა).

**დავით თავართქილაძე**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge





# შოთა პოსტსაბჭოელებში პირველი ბომბარდირია

უკრაინულმა ვებგვერდებმა ისტორიული ფაქტი დააფიქსირეს. „სტემფორდ ბრიჯზე" „ლესტერის" კარში (ეს ინგლისის ლიგის თასის შეხვედრისას მოხდა) 87-ე წუთზე გატანილი ბურთი **ანდრეი შევჩენკოს** კარიერაში 324-ე აღმოჩნდა. ამგვარად, ის საბჭოეთის ყველაზე შედეგიან ფორვარდს და უკრაინის ნაკრების ამჟამინდელ მწვრთნელ **ოლეგ ბლოხინს** დაეწია.

უკრაინული ვებგვერდების ინფორმაციაში მითითებულია, რომ ანდრეის გასწრების ერთადერთი შანსი ქართველ **შოთა არველაძეს** აქვს, რომელსაც 291 ბურთი აქვს გატანილი.

ეს ინფორმაცია ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის მონაცემებს ეყრდნობა.

თუმცა არსებობს განსხვავებული მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც შოთა არველაძეს კი არ აქვს შევჩენკოსა და ბლოხინის გასწრების თეორიული შანსი, არამედ პირიქით - უკრაინელ ფორვარდს აქვს ქართველის დაწევის შანსი. მეორე ინფორმაციით, არველაძეს 328 გოლი აქვს გატანილი.

**მერაბ მამულაშვილი**



# შაშიაშვილი შუაშიც კარგია

გრაცის „შტურმში" მიმდინარე სეზონის დაწყებამდე გადასულ **გიორგი შაშიაშვილს**, საკუთარი შესაძლებლობების სათანადოდ წარმოსაჩენად და, მწვრთნელების გარდა, გულშემატკივართა სიმპათიების მოსაპოვებლად მცირე დრო დასჭირდა. საქართველოს ნაკრების მცველი „შტურმის" სასტარტო შემადგენლობაში სტაბილურად თამაშობს და მასმედიის ყურადღების ცენტრშიც ხშირად ხვდება. ამჯერად მან მწვრთნელ **ფრანკო ფოდასგან** კიდევ ერთხელ დაიმსახურა კომპლიმენტები.

*„გიორგი შაშიაშვილი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა. ის დაცვაში სტაბილური და საიმედო თამაშით გამოირჩევა და ამ ხაზის სიმშვიდეს განაპირობებს. მას მარჯვნივაც უწევს თამაში და ცენტრშიც. გიორგი ცენტრშიც ძალიან საიმედოდ გამოიყურება. ის ჩვენთვის საკმაოდ ძვირფასი შენაძენია",* - პრესასთან საუბარში აღნიშნსა გრაცის „შტურმის" მთავარმა მწვრთნელმა.

**დავით ცაბაძე**

# თარხნიშვილი შერიფის ისტორიაში საუკეთესოა

გუშინ მოლდოვურმა საინფორმაციო სააგენტოებმა ტირასპოლის „შერიფის" მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნეს.

**ვაჟა თარხნიშვილი,** რომელიც ტირასპოლელთა კაპიტანია აგერ უკვე მეცხრე წელიწადია, „შერიფის" ისტორიაში საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. ის გუნდის გულშემატკივრების 28.8 პროცენტმა დაასახელა საუკეთესოდ და ყველა კონკურენტს უდავო უპირატესობით აჯობა.

37 წლის ვაჟა თარხნიშვილი მოლდოვის ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელია. „შერიფში" 1999 წლიდან თამაშობს. ის 2001/02 წლებში ამ ქვეყნის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, 2002 წელს კი მოლდოვის საუკეთესო მცველად აღიარეს. ის მოლდოვის შვიდგზის ჩემპიონი, თასის და სუპერთასის ოთხგზის მფლობელია. ამას გარდა, მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია.

მეორე ადგილი „შერიფის" ორმა ექსლეგიონერმა გაიყო. 16.5-16.5 პროცენტი მოსკოვის „ლოკომოტივში" გადასულმა რუმინეთის ნაკრების თავდამსხმელმა **რეზვან კოშიჩმა** და ნიგერიის ნაკრებისა და მოსკოვის ცსკა-ს მცველმა **ჩიდი ოდიამ** გაინაწილეს. „შერიფში" ნათამაშებმა **დავით მუჯირმა** 3.1 პროცენტით მეათე ადგილი დაიკავა.

„შერიფი" პოსტსაბჭოური სივრცის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ფიფას ოფიციალურ ვებგვერდზე „შერიფი" ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პროგრესირებად კლუბადაა მონათლული.

**მერაბ მამულაშვილი**

# დავით მუჯირი ოქტომბერში მერვეა

„სოვეტსკი სპორტმა" რუსეთის პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში, ოქტომბრის თვის ნომინანტები დაასახელა. სხვადასხვა ნომინაციიდან ქართველებს მხოლოდ ერთ, ახლო საზღვარგარეთის ლეგიონერებში შეეძლოთ მოხვედრა. ათ გამორჩეულ ფეხბურთელს შორის ერთი ჩვენებურია – **დავით მუჯირი.** „კრილიას" ნახევარმცველმა ახლო საზღვარგარეთის საუკეთესო ლეგიონერთა შორის 5.59 ქულა დააგროვა და მერვე საფეხურზე აღმოჩნდა. ათეულში ამჯერად ვერ მოხვდა **მალხაზ ასათიანი.** ტრავმის გამო ოქტომბერში მას თამაშები გაუცდა და ბუნებრივია მისი ათეულში არყოფნის მიზეზი სწორედ ესაა.

**დავით ცაბაძე**

# ქართველთა სათასო მეტოქეები

გერმანიის თასის მერვედფინალს სამმა „ქართულმა" გუნდმა უწია. გუშინ გამართულმა წილისყრამ მათი მეტოქეები გაარკვია. შედარებით რთულ მატჩს „შალკე" გამართავს, **ლევან კობიაშვილი** და მისი თანაგუნდელები სტუმრად „ვოლფსბურგს" დაუპირისპირდებიან. „კარლ ცაისი", რომლის მერვედფინალში გასვლაში თავისი წილი **გიორგი ონიანმაც** დაიდო, „არმინიას" უმასპინძლებს, **მათე ღვინიანიძის** „მიუნხენ 1860" კი აახენში „ალემანიას" ესტუმრება. მერვედფინალი მომავალი წლის 30 იანვარს გაიმართება. როგორც იცით, გერმანიის თასის შემდგომ ეტაპზე გასული გუნდი ერთ შეხვედრაში ირკვევა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფეხბურთი ყველასათვის

# ტურნირი ტაბახმელაში

ტყუპი ძმები **ჯემალ და ოთარ იაშალაშვილები** გარდაბნის რაიონის ნაკრებში ფეხბურთს ერთად თამაშობდნენ, გახდნენ საქართველოს პრიზიორები, ერთად მსახურობდნენ ჯარში და წარმატებით თამაშობდნენ არმიელთა ამიერკავკასიის ნაკრებ გუნდში. ჯემალი ნადრევად წავიდა ამქვეყნიდან. ფეხბურთში მამის კვალს გაჰყვა **პაატა,** რომელიც გარდაბნის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და გარდაბნის 63-ე საფეხბურთო სკოლის თაოსნობით ჩატარდა ჯ. იაშალაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საფეხბურთო ტურნირი სამ ასაკობრივ ჯგუფში. შეჯიბრებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენოსანი **გივი გურულიშვილი.** ტურნირს სპონსორობა გაუწია ოთარ იაშალაშვილმა.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

1997-1998 წლიანებში: **1. ღვთაება (ნორიო), 2. კრწანისი, 3. შავნაბადა;**

1991-1992 წლიანებში: **1. ტაბახმელა, 2. შავნაბადა, 3. თბილისი;**

1993-1994 წლიანები: **1. ტაბახმელა, 2. შავნაბადა, 3. ფონიჭალა (თბილისი).**

გარდა გამარჯვებულებისა და პრიზიორებისა, პრიზები გადაეცათ რჩეულ ფეხბურთელებს.





CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XII ტურის წინ

# დიდი მატჩი ემირიტსზე

## ვენგერი და ფერგიუსონი ერთმანეთს 34-ედ შეხვდებიან..



არსენ ვენგერსა და სერ ალექს ფერგიუსონს დღესაც დიდი დაპირისპირება აქვთ

**დღეს**

**არსენალი-მანჩესტერ იუნ.**
**ასტონ ვილა-დერბი**
**ევერტონი-ბირმინგემი**
**ფულჰემი-რედინგი**
**მიდლსბრო-ტოტენჰემი**
**ნიუკასლი-პორტსმუთი**
**ვიგანი-ჩელსი**
**ბლექბერნი-ლივერპული**

**ხვალ**

**ვესტ ჰემი-ბოლტონი**

**ზეგ**

**მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი**

**არსენ ვენგერს** თითქმის ოპტიმალური შემადგენლობა ჰყავს. მას მხოლოდ ორი ფეხბურთელი აკლია - **რობინ ვან პერსი** და **ფილიპ სენდეროსი**. **ედუარდო** და **ჟილბერტო სილვა** ძირითადში თამაშზე აცხადებენ პრეტენზიას. "მანჩესტერ იუნაიტედს" **ლუის საა** და **მაიკლ ქერიკი** დაუბრუნდნენ. საამ როგორც იქნა მოიშუშა მუხლის ქრონიკული ტრავმა. ქერიკმა "რომასთან" ერთი თვის წინანდელ მატჩში მოტეხილი იდაყვი მოირჩინა. შვიდთვიანი პაუზის შემდეგ **გარი ნევილმა** სარეზერვო გუნდში ითამაშა. მას დღევანდელ განაცხადში არ შეიყვანენ. "იუნაიტედს" კიდევ ერთი ვარსკლავი **პოლ სქოულზი** აკლია. ვეტერანი ნახევარმცველი სამთვიან შვებულებაშია.

დღეს ერთმანეთს ხვდება პრემიერლიგის ორი ლიდერი და ტურნირის ყველაზე წარმატებული კლუბი. "იუნაიტედმა" პრემიერლიგაში 375 მატჩი მოიგო, 1 258 ქულა დააგროვა და 9-ჯერ დაეუფლა ჩემპიონის ტიტულს. "არსენალის" აქტივში 316 მოგებული მატჩი, 1 107 ქულა და სამი ტიტულია.

სადღეისოდ ლონდონელებს ლიგაში ყველაზე ხანგრძლივი წაუგებელია სერია აქვთ. ის 17 მატჩს მოიცავს. მანჩესტერელებიც შთამბეჭდავი მიღწევით იწონებენ თავს. მათ პრემიერლიგაში მოგებათა ყველაზე ხანგრძლივი სერია აქვთ - ზედიზედ 8 მატჩი. "არსენალს" ლიგის საუკეთესო თავდასხმა ჰყავს, "იუნაიტედს" - საუკეთესო დაცვა. მეთოფეებმა 10 მატჩში 22 გოლი გაიტანეს. "მენიუმ" 11 შეხვედრაში მხოლოდ 4 გოლი გაუშვა.

გასულ სამშაბათს **სერ ალექს ფერგიუსონმა** "მანჩესტერის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე 21-ე წლისთავი აღნიშნა. ის **არსენ ვენგერს** 34-დ შეხვდება. ფრანგ სპეციალისტს მცირე უპირატესობა აქვს: მან 13-ჯერ გაიმარჯვა, ფერგიუსონმა - 11-ჯერ, შვიდი თამაში ფრედ დასრულდა, ხოლო ორის ბედი პენალტების სერიამ გადაწყვიტა. ეს მატჩები იყო 2003 წლის "ქომიუნითი შილდი" (მოიგო "იუნაიტედმა") და 2005 წლის ასოციაციის თასის ფინალი (მოიგო "არსენალმა"). თუ მარტო პრემიერლიგის მატჩებს დავთვლით, აღმოვაჩენთ, რომ ვენგერმაც და ფერგიუსონმაც რვა-რვაჯერ გაიმარჯვეს, ექვსი თამაში კი ფრედ დასრულდა. საშინაო მატჩებიდან ვენგერმა ხუთი მოიგო, ფერგიუსონმა - სამი. გამარჯვების შემთხვევაში, ლონდონელები შინ ზედიზედ მეშვიდედ გაიმარჯვებენ, ეს კი "არსენალის" რეკორდია. რეკორდი 1934 წელს დაამყარეს და ის 2005 წელს გამეორდა. ამ გუნდების ბოლო მატჩი იანვარში გაიმართა. ეს იყო პირველი "არსენალი"-"მანჩესტერი" "მეთოფეების" ახალ სტადიონზე. "მანჩესტერი" იგებდა, მაგრამ თამაშის მიწურულს შვიდწუთიან მონაკვეთში ორი გოლი გაუშვა.

მესამეადგილოსანი "მანჩესტერ სიტი" ორშაბათამდე არ თამაშობს. ამიტომ "ჩელსის" მისი ადგილის დაკავების კარგი შანსი აქვს. ის შეჭირვებულ "ვიგანს" ხვდება. "არისტოკრატებს" სამი წამყვანი მცველი - **ჯონ ტერი, ეშლი კოული** და **პაულო ფერეირა** არ ეყოლება. სასჯელი მოიხადა **უეინ ბრიჯმა**. ის დაცვის მარცხენა ფლანგს ჩაიბარებს. "ვიგანს" ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი ემილ ჰესკი ვერ დაეხმარება. ამ გუნდმა სექტემბრის აქეთ ჩატარებულ შვიდ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულა დააგროვა. "ჩელსიმ" გასულ უქმეებზე "მანჩესტერ სიტის" 6:0 მოუგო. ადვილი წარმოსადგენია, რა შეიძლება დაემართოს პრემიერლიგის მაჩანჩალას.

საინტერესო თამაში გაიმართება "ივუდ პარკზე". მეხუთეადგილოსანი "ბლექბერნი" მეექვსეადგილოსან "ლივერპულს" უმასპინძლებს. "ვარდებმა" ბოლო ოთხი შეხვედრა მოიგეს. მათ **დევიდ ბენტლი** და **აარონ მოკოენა** გამოუჯანმრთელდათ. დაშავებულები არიან **სევიჯი, რიდი** და **რობერტსი**. "ლივერპულს" **აურელიო, არბელოა** და **მასკერანო** დაუბრუნდებიან. **ტორესი, აგერი** და **ჩაბი ალონსო** მინიმუმ სამი კვირა ვერ ითამაშებენ.

**ხუანდე რამოსი** პრემიერლიგაში პირველ მატჩს გამართავს. შუა კვირაში მისმა შეგირდებმა ლიგის თასზე "ბლექპულს" მოუგეს (2:0). დღეს ისინი სტუმრად "მიდლსბროს" შეხვდებიან. რივერსაიდელებმა ზედიზედ ოთხი თამაში წააგეს. მათ ლონდონელთა ყოფილი თავდამსხმელი **მიდო** ვერ დაეხმარებათ. სტუმართა შორის ვერ ითამაშებს ცენტრალური მცველი **გარეთ ბეილი**. მის გარდა კიდევ სამი მცველი - **გარდნერი, როჩა** და **ასუ-ეკოტო** დაშავდნენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 10 | 8 | 2 | 0 | 22-7 | 26 |
| 2. მანჩესტერ იუნ | 11 | 8 | 2 | 1 | 19-4 | 26 |
| 3. მანჩესტერ ს | 11 | 7 | 1 | 3 | 15-13 | 22 |
| 4. ჩელსი | 11 | 6 | 3 | 2 | 16-8 | 21 |
| 5. ბლექბერნი | 10 | 6 | 3 | 1 | 15-9 | 21 |
| 6. ლივერპული | 10 | 5 | 5 | 0 | 17-6 | 20 |
| 7. პორტსმუთი | 11 | 5 | 4 | 2 | 19-12 | 19 |
| 8. ნიუკასლი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-13 | 17 |
| 9. ევერტონი | 11 | 5 | 1 | 5 | 14-13 | 16 |
| 10. ასტონ ვილა | 10 | 4 | 3 | 3 | 14-13 | 15 |
| 11. ვესტ ჰემი | 10 | 4 | 2 | 4 | 12-9 | 14 |
| 12. რედინგი | 11 | 4 | 1 | 6 | 14-23 | 13 |
| 13. ბირმინგემი | 11 | 3 | 2 | 6 | 11-15 | 11 |
| 14. ფულჰემი | 11 | 1 | 6 | 4 | 13-17 | 9 |
| 15. სანდერლენდი | 11 | 2 | 3 | 6 | 12-20 | 9 |
| 16. ვიგანი | 11 | 2 | 2 | 7 | 10-17 | 8 |
| 17. მიდლსბრო | 11 | 2 | 2 | 7 | 11-22 | 8 |
| 18. ტოტენჰემი | 11 | 1 | 4 | 6 | 18-23 | 7 |
| 19. ბოლტონი | 11 | 1 | 3 | 7 | 10-17 | 6 |
| 20. დერბი | 11 | 1 | 3 | 7 | 5-24 | 6 |

## დუნგას ოლიმპიური ნაკრებიც ჩააბარეს

ბრაზილიის ნაკრების თავკაცი **კარლოს დუნგა** ქვეყნის ოლიმპიურ გუნდსაც უხელმძღვანელებს. ბრაზილიელ ჭაბუკებს პეკინის ოლიმპიური თამაშებზე სწორედ ის გაუძღვება. ქვეყნის საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტი **რიკარდო ტეიშეირა** დარწმუნებულია, რომ დუნგა დაკისრებულ მოვალეობას საუცხოოდ გაართმევს თავს. ბრაზილია მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია, თუმცა ოლიმპიური ოქროს არასოდეს მოუგია. კარლოსმა თავის ქვეყანას ეს ჯილდო უნდა მოუტანოს. დუნგამდე ორი ნაკრების მწვრთნელობას **ვანდერლეი ლუშემბურგო** ითავსებდა. 2000 წელს ის სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ბრაზილიელთა დამრიგებელი იყო, მაგრამ მეოთხედფინალში ცხრა ფეხბურთელით მოთამაშე კამერუნთან ვერაფერი გააწყო და შინ დაბრუნებისთანავე გაათავისუფლეს.

## სკანდალი ბელგიაში

ბელგიაში სკანდალმა იფეთქა. "ბრიუსელის" კონგოელმა ლეგიონერმა **ზოლა მატუმონამ** კონტრაქტის გაწყვეტა მოითხოვა. მან თქვა, რომ კლუბის პრეზიდენტმა **იოჰან ვერმეერშმა** ყველას დასანახავად რასისტულად შეურაცხყო. ერთ-ერთი მატჩის შემდეგ ვერმეერშმა ფეხბურთელები სასტიკად გააკრიტიკა, მატუმონას კი ურჩია, ხეებისა და ბანანების გარდა სხვა რამეზეც იფიქრეო. კონგოელი ფეხბურთელი ამ სიტყვებმა აღაშფოთა. სკანდალი ამით არ დასრულებულა. "ბრიუსელის" მაისურის სპონსორმა, კორეულმა საავტომობილო კომპანია "კიამ" კლუბთან თანამშრომლობის გაგრძელება აღარ ისურვა. კორეელებმა მიზეზად პრეზიდენტის რასისტობა დაასახელეს. ვერმეერშმა ბრიუსელელთა ოფიციალურ ვებგვერდზე განაცხადა, რომ რასისტულ ნიადაგზე ვინმეს შეურაცხყოფა აზრად არ ჰქონია. მან მხოლოდ იხუმრა, რათა ფეხბურთელს მოტივაცია შემატებოდა. "ბრიუსელმა" ბელგიის ჩემპიონატის 11 ტურიდან რვა თამაში წააგო და ბოლოდან მეოთხე ადგილზე იმყოფება.

## ბაროში უმანქანოდ დარჩა

ჩეხეთის ნაკრების თავდამსხმელ **მილან ბაროშს** ავტომანქანაც ჩამოართვეს და მართვის მოწმობაც. პოლიციამ ის იმ დროს გააჩერა, როცა საკუთარი ფერარით 270 კილომეტრი საათში სიჩქარით მიფრინავდა. მოგეხსენებათ, ბაროში "ლიონში" თამაშობს. ინციდენტიც ლიონის მახლობლად მოხდა. მილანის საკითხს სასამართლო გაარჩევს. მან სოლიდური ფინანსური სანქცია და სამი წლით ავტომანქანის მართვის უფლების ჩამორთმევა ემუქრება.

## მექსიკელი მეკარე მანჩესტერში

"მანჩესტერ იუნაიტედმა" მექსიკური "ამერიკის" მეკარეს, **გილერმო ოჩოას** დაადგა თვალი. ოჩოა 22 წლისაა. "წითელი ეშმაკები" მის სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს ამზადებენ. მეკარეს, დიდი ხანია, ევროპაში გადმობარგება უნდა. გასულ ზაფხულს მას "აიაქსი" და სანტანდერის "რასინგი" ეპატიჟებოდნენ. ამასობაში, "მენიუმ" დაადასტურა, რომ ბაიერნელი **ვილი სანიოლის** შეძენა სურს, მაგრამ ერთი პირობით: ფრანგ მცველს მანჩესტერში მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიწვევენ, თუ იანვრის ფანჯრის გახსნამდე თუნდაც ერთ თამაშს გამართავს. ვილის მუხლის მძიმე ტრავმა აქვს და უკვე რამდენიმე თვეა, მკურნალობს.

## მილანმა კომპანი მოიკითხა

"მილანი" დაცვის გაძლიერებას აპირებს. "როსონერიმ" ჰამბურგის ცენტრალურ მცველ **ვენსან კომპანის** დაადგა თვალი. ის 21 წლისაა. იტალიური სააგენტოების ცნობით, იანვრის ტრანსფერებისას "მილანი" მასში 10 მილიონ ევროს გადაიხდის. კომპანის შეძენა "იუვენტუსსაც" სურს. ბუნდესლიგაში მოასპარეზე სხვა ცენტრალური მცველებიდან "მილანმა" ვერდერელი **პერ მერტეზაკერიც** მოინიშნა. იტალიაში კი რომაელი მარკო კასეტი მოსწონს. ევროპის ჩემპიონებს არსენალელი **ვილიამ გალასიც** სურთ. სეზონის ბოლოს ისინი "მეთოფეებს" კიდევ ერთი ფეხბურთელის ამბებს გამოკითხავენ. საუბარია **ჟილბერტო სილვაზე**.

## არსენალი ბოიკოტისკენ მოუწოდებს

ლონდონის "არსენალი" ევროპის წამყვან კლუბებს მოუწოდებს, ბოიკოტი გამოუცხადონ ჩემპიონთა ლიგას, თუ უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** უარს არ იტყვის უმთავრესი საკლუბო ტურნირის რეფორმაზე. "მეთოფეები" არ იზიარებენ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, ჩემპიონთა ლიგაში წამყვანი საფეხბურთო ლიგებისათვის მეოთხე საგზურის ჩამორთმევის შეახებ. პლატინის სურს, ამ საგზურების საშუალებით უფრო პატარა ქვეყნების კლუბებს მისცეს ლიგაში ასპარეზობის შანსი. ლონდონელთა ინიციატივა ბოიკოტის შესახებ განიხილეს G14-ის ბოლო სხდომაზე. ლიგის რეფორმასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას 30 ნოემბერს მიიღებენ.

ვარსკვლავი

# ჯერ კინო, მერე მოდა

## დევიდ ბექჰემის არასაფეხბურთო გეგმები

**დევიდ ბექჰემმა** ექვსთვიანი შვებულება აიღო. ამერიკულ ლიგაში რეგულარული სეზონი დასრულდა. "ლოს ანჯელეს გალაქსი" ფლეი ოფის მიღმა დარჩა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბექჰემსა და კომპანიას მხოლოდ აპრილში მოუწევთ მინდორზე დაბრუნება. იქამდე ბევრი წყალი ჩაივლის. ინგლისელმა გალაქტიკომ გადაწყვიტა, დრო, რომელიც თავზესაყრელად აქვს, აზრიანად გამოიყენოს. მან თანამშრომლობა შესთავაზა სახელგანთქმულ ამერიკელ რეპერ **სნუპ დოგს**. ისინი ფილმის პროდიუსერობას აპირებენ. ფილმის სცენარისა და მსახიობების შესახებ არაფერი ვიცით. პროექტი საწყის სტადიაშია. ბექჰემი სნუპ დოგის დიდი თაყვანისმცემელია. დევიდმა მის საპატივსაცემოდ საკუთარ ძაღლებს სნუპი და დოგიც კი დაარქვა. რეპერმა მიმომხილველებს განუცხადა: *"ვერავინ იფიქრებდა, რომ ჩვენი გზები გადაიკვეთებოდა. მე და ის განსხვავებულ სოციალურ გარემოში გავიზარდეთ. ჩვენ სხვა და სხვა სფეროებში მივაღწიეთ აღიარებას. ბექჰემს აქვს დოლარები და სურს, ფული წარმატებულად დააბანდოს. ვიფიქრეთ, რომ კინოინდუსტრია შესანიშნავი იდეა იქნებოდა."* მოგვიანებით, ბექჰემი და სნუპი ტანსაცმლის საკუთარ ხაზსაც შექმნიან. ამერიკელი ვარსკვლავი აღიარებს, რომ ბექზის გემოვნება ძალიან მოსწონს.

კიდევ ერთი ინფორმაცია დევიდის შესახებ. ფეხბურთელმა კატეგორიულად უარყო ინფორმაცია, თითქოს საიენტოლოგისტთა სექტაში აპირებდეს გაწევრიანებას. ის და **ვიქტორია ბექჰემები ტომ კრუზის** უახლოესი მეგობრები არიან. კრუზი კი ხსენებული სექტის მიმდევარია. საინტოლოგებს სკანდალური რეპუტაცია აქვთ. ზოგიერთ ქვეყანაში მათი მუშაობა სასტიკად აკრძალულია. ბექჰემმა ამ თემაზე კომენტარის გაკეთება არ დაიზარა: *"მე და ვიქტორია ტომსა და მის მეუღლეს, კეტი ჰოლმსს უდიდეს პატივს ვცემთ. ვაფასებთ მათ შეხედულებებსაც, მაგრამ გარწმუნებთ, არასოდეს უცდიათ საკუთარი აზრების პროპაგანდის მიზნით გამოყენება. ტომი და კეტი ჩვენი უახლოესი მეგობრები არიან."*



დევიდ ბექჰემს დიდი არასაფეხბურთო გეგმები აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა


რობერტო მანჩინი


კლაუდიო რანიერი

### იტალია. სერია A. XI ტურის წინ

# იუვე–ინტერი ბრუნდება...

**დღეს**

**ლაციო-ფიორენტინა**
**მილანი-ტორინო**

**ხვალ**

**კალიარი-სამპდორია**
**კატანია-ატალანტა**
**ემპოლი-რომა**
**ჯენოა-პალერმო**
**ლივორნო-უდინეზე**
**ნაპოლი-რეჯინა**
**პარმა-სიენა**
**იუვენტუსი-ინტერი**

სრულიად იტალიის დერბი - ოდითგანვე ასე იწოდება "იუვენტუსი"-"ინტერის" დაპირისპირება, რასაც შარშანდელი ამბების შემდეგ, კიდევ უფრო მწვავე ფონი უდევს. ხვალინდელმა მატჩმა ბევრ კითხვაზე უნდა გასცეს პასუხი. რა თქმა უნდა, ერთი კონკრეტული მატჩი ერთ კონკრეტულ მომენტში ამომწურავად ვერაფერს გვეტყვის, მაგრამ ის მაინც გაირკვევა, ვის რა შანსი შეიძლება ჰქონდეს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში. პირველ რიგში, ეს "იუვენტუსს" ეხება. სერია B-ში ერთწლიანი მივლინების შემდეგ, "ბებერი ქალბატონი", შეიძლება ითქვას, მაქსიმალურად მობილიზებული და მომზადებული დაუბრუნდა თავის ადგილს. საწყისმა ბატალიებმა აჩვენა, რომ **კლაუდიო რანიერის** გუნდს შესწევს უნარი, სკუდეტოს უმთავრეს ფავორიტებს ღირსეული ბრძოლა გაუმართოს.

"ინტერმა" კი უნდა დაამტკიცოს, რომ შარშანდელზე ძლიერია, როგორც ამაში ექსპერტები გვარწმუნებენ. სხვათა შორის, შარშან ამ დროს, ან 10 ტურის შემდეგ, "ნერაძურის" ანალოგიური შედეგი ჰქონდა. თუმცა ეს მაინც არ არის გადამწყვეტი ფაქტორი და ბევრი რამ უშუალოდ თამაშის დროს განვითარებულ მოვლენებზე იქნება დამოკიდებული.

გარდა ამისა, ეს იქნება **დავიდ ტრეზეგესა** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** პერსონალური დაპირისპირებაც. "იუვეს" ფორვარდმა "ემპოლისთან" წინა ტურში ჰეთ-თრიკი შეასრულა და 10 მატჩში 10 გოლით ბომბარდირთა დავას ერთპიროვნულად ლიდერობს. იბრას ოთხშაბათს ტრავმის გამო არ უთამაშია. "ინტერის" ექიმებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა "შავ-ლურჯების" ლიდერი ხვალ მოედანზე ყოფილიყო. მაგრამ მოედანზე ვერ იქნება მარჯვენა მცველი **მაიკონი**, რომელსაც "ინტერი"-"ჯენოას" მატჩში კუნთი დაეჭიმა. მაიკონის გარდა, "ინტერს" დაშავებული ჰყავს **დეიან სტანკოვიჩი, პატრიკ ვიეირა, ფრანჩესკო ტოლდო** და **მარკო მატერაციც**. არსებულ სიტუაციაში, **რობერტო მანჩინიმ**, შეიძლება, მარჯვენა მცველად **ხავიერ ძანეტი** დააყენოს. ტრავმის შემდეგ, "ნერაძურის" უბრუნდება ძირითადი მეკარე **ჟულიო სეზარიც**.

დიდი დაბრუნებაა "იუვენტუსშიც". **პაველ ნედვედმა** ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და მზადაა, გუნდს უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში დაეხმაროს. ასევე ბრუნდებიან სასჯელმოხდილი **ანტონიო ნოჩერინო** და **ჯორჯო კიელინიც**. ტრავმა ჯერ კიდევ აწუხებთ ცენტრალურ მცველებს, **ჟან-ალენ ბუმსონგსა** და **ჟორჟე ანდრადეს**.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ "ინტერმა" ტურინში ბოლო გამარჯვება 2005 წლის აპრილში მოიპოვა. მაშინ, "დელე ალპიზე" ერთადერთი გოლი **ხულიო კრუსმა** გაიტანა...

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იუვენტუსი:** ბუფონი, გრიგერა, ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო, ნოჩერინო, კ. ძანეტი, ნედვედი, დელ პიერო, იაკუინტა, ტრეზეგე.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, კორდობა, სამუელი, კივუ, დაკური, სეზარი, კამბიასო, ფიგუ, იბრაჰიმოვიჩი, კრესპო.

წინა დღეს, "მილანი" "ტორინოს" უმასპინძლებს. "როსონერის" საკუთარი კედლების კომპლექსი სჭირს. "სან სიროზე" მას წლეულს ჯერ არ მოუგია, ზედიზედ ორ შეხვედრაში კი ისე დამარცხდა, გოლიც არ გაუტანია. სამაგიეროდ, "მილანი" ძლიერია გასვლაზე, სადაც უკანასკნელ ორ მატჩში ერთბაშად 10 (!) გოლი გაიტანა და მხოლოდ ერთი გაუშვა. **კარლო ანჩელოტი** დარწმუნებულია, რომ მისი გუნდის წარუმატებელი საშინაო სერია "ტორინოსთან" დღევანდელ მატჩში შეწყდება. პარასკევს, **რონალდომ** გუნდთან ერთად ივარჯიშა და არ არის ჭამორიცხული, საჭიროების შემთხვევაში, მოედანზე მცირე ხნით მაინც გამოჩნდეს. **მასიმო ოდო** და **მარეკ იანკულოვსკი** კი ჯერაც ტრავმირებულები არიან. ძალიან გაუჭირდება **ვალტერ ნოველინოს**, რომელსაც **სიმონე ბარონეს, ვინჩენცო გრელასა** და **ალვარო რეკობას** სახით სამი წამყვანი მოთამაშე აკლია.

შაბათსვე "ლაციო" "ფიორენტინის" მასპინძელი იქნება. მორიგი მარცხის შემთხვევაში, **დელიო როსისთვის** ეს შეიძლება ბოლო მატჩი გამოდგეს. "ლაციალეს" ფანებისთვის კიდევ ერთი მტკივნეული დარტყმა რომაულ დერბიში განცდილი მარცხი გახლდათ. ტიფოზები ვითარების დროულად გამოსწორებას ითხოვენ. ტრავმების გამო, როსის **სტეფანო მაური, ვალონ ბეჰრამი** და **სებასტიანო სივილია** დააკლდებიან. "ფიორენტინას" კი დაშავებული ჰყავს **მარიო სანტანა** და **მასიმო გობი**. ასევე ტრავმას აქვს ჩეხ მცველ **ტომაშ უიფალუშის**, რომლის თამაშიც მეტად საეჭვოა. **ჩეზარე პრანდელი** თავდასხმაში სიურპრიზს ამზადებს. დიდია შანსი, რომ მან **ადრიან მუტუ** და **კრისტიან ვიერი** სკამზე დასვას, ძირითადში ადგილი კი ახალგაზრდებს, **ჯანპაოლო პაცინისა** და არგენტინელ **ხუან პაბლო ოსვალდოს** ანდოს.

"რომა" კვლავ სერიოზული დანაკლისითაა. "ემპოლისთან" გასვლით შეხვედრაში, **ფრანჩესკო ტოტის** გარდა, არ იქნება **დანიელე დე როსიც**, რომელიც დისკვალიფიცირებულია. რაკი **ალბერტო აკვილანისაც** ტრავმა აწუხებს, **ლუჩანო სპალეტი** ნახევარდაცვაში **მატეო ბრიგის** დააყენებს. კიდევ უფრო მძიმეა **ლუიჯი კანის** მდგომარეობა. მისი გუნდი "ჯალოროსის" სამი წამყვანი მოთამაშის გარეშე დაუპირისპირდება. არ იქნება ძირითადი მეკარე **დანიელე ბალი**, ასევე ნახევარმცველები - **ანტონიო ბუშე** და **გილერმო ჯაკომაცი**. საეჭვოა მცველების, **ფრანჩესკო პრატალისა** და **რიჩარდ ვანილის** თამაში.

"რეჯინა" "ნაპოლის" ახალი მწვრთნელით ესტუმრება. **მასიმო ფიკადენტის** ნაცვლად, რეჯოკალაბრიულ გუნდს გამოცდილი **რენცო ულივიერი** უთავკაცებს. ულივიერი ჯერ არ არის მზად იმისთვის, რომ გუნდში რევოლუციური ცვლილებები განახორციელოს. ამდენად, ეს მატჩი მისთვის ერთგვარი დათვალიერების ფუნქციას ასრულებს. "რეჯინა", ჯერჯერობით, ერთადერთი გუნდია სერია A-ში, რომელსაც ერთი გამარჯვებაც არ ღირსებია. **პაბლო ალვარესის** ნაცვლად, ძირითადში ბრუნდება **ფრანჩესკო მოდესტო**. "ნაპოლის" კი, შეიძლება, არ ჰყავდეს ფორვარდი **მარსელო სალაიეტა**, რომელსაც ტრავმა აწუხებს. კიდევ ერთი ექსიუვენტუსელი **მანუელე ბლაზი** კი დაშავებული მუხლის გამო ნამდვილად ვერ ითამაშებს.

"ჯენოა"-"პალერმო". ამ გუნდებს სერია A-ს ეგიდით უკვე 45 წელიწადია, არ უთამაშიათ. შორეულ 1962 წელს გენუელებმა 5:0 მოიგეს. ამჯერად, მსგავსი შედეგის გამეორება არარეალურია, თუმც ნურაფერს გამოვრიცხავთ. დავამატოთ ისიც, რომ "პალერმოს" გენუაში ბოლო 10 მატჩი არ მოუგია. წინა შეხვედრაში მორიგი ტრავმა მიიღო სიცილიელთა ფორვარდმა **ფაბრიციო მიკოლიმ**, რომელიც ხვალინდელ მატჩს გამოტოვებს. არ იქნება გარემარბი **მარკ ბრეშანოც**. წინა ხაზზე **კარვალიო ამაურის** პარტნიორობას **ედისონ კავანი** გაუწევს. "ჯენოას" განსაკუთრებული საკადრო პრობლემები არ აქვს.

"უდინეზე" სტუმრობს "ლივორნოს", რომელსაც საშინაო შეხვედრების გრაფაში ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს - მხოლოდ 1 ქულა. უდინელებს ზედიზედ ორი გამარჯვება აქვთ. "ლივორნომ" კი პირველი 3 ქულა ოთხშაბათს, "რეჯინასთან" გასვლით მატჩში მოიპოვა. მასპინძლებს არ ეყოლებათ ორი წამყვანი ნახევარმცველი, **ჟოზე ვიდიგალისა** და **მასიმო ლოვიზოს** სახით. "უდინეზეს" ტრავმირებული ჰყავს მცველი **კრისტიან საპატა**. საყრდენი ნახევარმცველი **ანდრეა დესენა** კი ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას მოიხდის. **ფლორო ფლორესის** ნაცვლად, თავდასხმაში შეიძლება დაბრუნდეს განელი **გიან ასამოა**.

"სიენას" იმედი აქვს, რომ "ენიო ტარდინიზე" "პარმას" პირველად დაამარცხებს. მასპინძლებს დისკვალიფიცირებული ჰყავთ ვეტერანი პორტუგალიელი მცველი **ფერნანდო კოუტუ**, რომელმაც ერთ-ერთ ბოლო მატჩში მეტოქე ფეხბურთელს შეაფურთხა. სამაგიეროდ, დისკვალიფიკაცია მოიხადა ბრაზილიელმა ფორვარდმა **რეჟინალდომ**, რომელიც ძირითადში თავის ადგილს დაიკავებს. "სიენაში" ცვლილებები მწვრთნელის ტაქტიკური ჩანაფიქრიდან გამომდინარე შეიძლება მოხდეს. ასე მაგალითად, ახალგაზრდა ფორვარდი **პაოლო დე ჩელიე**, ვინაც "სიენას" წინა მატჩში ფრე მოუტანა, ალბათ, ძირითადში გამოჩნდება.

"კატანიასთან" გასვლით მატჩში "ატალანტას" მთავარი ფორვარდი **რიკარდო ძამპანია** არ ეყოლება. ის "კალიარისთან" წინა მატჩში გააძევეს. სიცილიელებს კი ტრავმირებული ცენტრალური მცველი **კრისტიან ტერლიცი** დააკლდებათ.

"სამპდორია" კალიარიში ტრავმირებული **ანტონიო კასანოს, სტეფანო ლუკინის, ჯენარო დელვეკიოსა** და **რეტო ციგლერის**, ასევე, დისკვლიფიცირებული ნახევარმცველის **ანჯელო პალომბოს** გარეშე ეწვევა. რამდენიმე ფეხბურთელი არ ეყოლება "კალიარისაც". თუმცა **მარკო ჯამპაოლოს** მაინც საბრძოლო შემადგენლობის გამოყვანა შეუძლია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 10 | 7 | 3 | 0 | 21-6 | 24 |
| 2. რომა | 10 | 6 | 3 | 1 | 23-14 | 21 |
| 3. იუვენტუსი | 10 | 6 | 2 | 2 | 21-10 | 20 |
| 4. ფიორენტინა | 10 | 5 | 5 | 0 | 17-7 | 20 |
| 5. უდინეზე | 10 | 5 | 3 | 2 | 12-12 | 18 |
| 6. ატალანტა | 10 | 3 | 6 | 1 | 13-12 | 15 |
| 7. ნაპოლი | 10 | 4 | 2 | 4 | 17-12 | 14 |
| 8. კატანია | 10 | 3 | 5 | 2 | 9-8 | 14 |
| 9. პალერმო | 10 | 3 | 5 | 2 | 12-12 | 14 |
| 10. მილანი | 10 | 3 | 4 | 3 | 18-9 | 13 |
| 11. ჯენოა | 10 | 3 | 4 | 3 | 9-12 | 13 |
| 12. ტორინო | 10 | 2 | 5 | 3 | 12-13 | 11 |
| 13. სამპდორია | 10 | 3 | 2 | 5 | 8-14 | 11 |
| 14. ლაციო | 10 | 2 | 4 | 4 | 11-15 | 10 |
| 15. პარმა | 10 | 2 | 4 | 4 | 11-17 | 10 |
| 16. კალიარი | 10 | 2 | 3 | 5 | 10-15 | 9 |
| 17. სიენა | 10 | 1 | 5 | 4 | 8-13 | 8 |
| 18. ემპოლი | 10 | 2 | 2 | 6 | 5-14 | 8 |
| 19. ლივორნო | 10 | 1 | 2 | 7 | 11-22 | 5 |
| 20. რეჯინა | 10 | 0 | 5 | 5 | 6-17 | 5 |


დავიდ ტრეზეგე

### იუვენტუსი-ინტერი. რას ფიქრობენ ხვალინდელი მატჩის მონაწილენი?

# ალექს დელ პიერო: მხოლოდ გამარჯვება!

**ალესანდრო დელ პიერო** დარწმუნებულია, რომ "იუვენტუსთან" მატჩი "ინტერისთვის" ნამდვილი შოკი იქნება: *"ეს განსაკუთრებული მატჩია და ყოველთვის ასე იყო. მაგრამ დღეს სიტუაცია გაცილებით სერიოზულია. ჩვენ სერია A-ში იმ ამბიციით დავბრუნდით, რა ამბიციაც "იუვენტუსს" ყოველთვის ჰქონდა. ახლა, ჩვენ უფრო ბევრი გვაქვს დასამტკიცებელი, ვიდრე "ინტერს". "იუვეს" აქვს მტკიცე რწმენა და ეს უფრო გვაძლიერებს. არანაირი საფუძველი სხვა შედეგისა, ვიდრე გამარჯვებაა, არ არსებობს".*

**დავიდ ტრეზეგე** აცხადებს, რომ მოუთმენლად ელის **ზლატან იბრაჰიმოვიჩთან** დაპირისპირებას. ბუნებრივია, საინტერესოა "იუვენტუსის" მწვრთნელ **კლაუდიო რანიერის** მოსაზრება: *"ჩვენ დიდი გუნდის წინააღმდეგ მოგვიწევს თამაში. "ინტერი" ჰგავს იმ ტანკს, რომელსაც თითქოს ვერავინ ერევა, მაგრამ თუ ჩვენ დავუპირისპირებთ მას ხასიათის სიმტკიცეს, რომელსაც ბოლო შეხვედრებში ვავლენდით, ვფიქრობ, მეტოქეს სამ ქულას გამოვგლეჯთ. ერთი სიტყვით, ლიდერის წინააღმდეგ საბრძოლველად მზად ვართ".*

რაც შეეხება "ინტერის" ბანაკს, **ხულიო კრუსი** აცხადებს, რომ "იუვენტუსის" დამარცხება მისთვის მუდამ სასიამოვნოა. სხვათა შორის, არგენტინელი ფორვარდი გახლავთ ავტორი იმ ერთადერთი გოლისა, რომელმაც 2005 წლის აპრილში "ინტერს" "ბებერი ქალბატონი" ტურინში დაამარცხებინა. აი, კრუსის კომენტარიც:

*"ეს მატჩი ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია. "ინტერი" "იუვენტუსის" დამარცხებით ყოველთვის განსაკუთრებულ სიამოვნებას იღებს, შეიძლება, უფრო მეტსაც კი, ვიდრე "მილანთან". ეს ის გრძნობაა, რომელიც პირადად მეც მუდამ თან მდევს იმ დღიდან, როცა "ინტერის" ფეხბურთელი გავხდი. ასეთ შეხვედრებში გამარჯვების ფასი ყოველთვის დიდია. იმედია, სამი ქულა ჩვენ დაგვრჩება".*


ზლატან იბრაჰიმოვიჩი

პრიმერა დივიზიონი. XI ტური

# სევილიისკენ, მორიგი ტრიუმფის მოლოდინში

**დღეს**

მალიორკა-ვალენსია
სევილია-რეალი

**ხვალ**

ატლეტიკო-ვილიარეალი
ლევანტე-ალმერია
სარაგოსა-ვილიარეალი
ოსასუნა-ხეტაფე
რასინგი-ესპანიოლი
მურსია-დეპორტივო
ბარსელონა-ბეტისი
ბილბაო-რეკრეატივო

ვალენსიაში ჩატარებული ფანტასტიკური შეხვედრის შემდეგ, "რეალი" მორიგი გამარჯვებისთვის ჩვეული შემართებით ემზადებოდა. **ბერნდ შუსტერმა** ანდალუსიაში "სევილიასთან" დასაპირისპირებლად **პეპე** და **ვესლი სნაიდერი** არ წაიყვანა. ორივე მათგანს მიკრო ტრავმა აწუხებს. გერმანელმა სპეციალისტმა ექიმების რჩევები გაითვალისწინა. პეპეს სრული დატვირთვით ვარჯიში და თუნდაც ნახევარი ტაიმით თამაში სერიოზულ რისკს შეიცავდა. იგივეს თქმა შეიძლება სნაიდერის შემთხვევაშიც. მადრიდელთა სამწუხაროდ, თამაშს **გონსალო იგუაინიც** ვერ შეძლებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრავმა **არიენ რობენსაც** აწუხებს, მივხვდებით, რომ სამეფო კლუბის ლაზარეთში საკმაოდ ბევრმა წამყვანმა მოთამაშემ მოიყარა თავი. სევილიაში **მიჩელ სალგადო** და **რობერტო სოლდადოც** არ გამგზავრებულნან. ისინი ჯანმრთელები არიან, თუმცა შუსტერმა ტაქტიკური მოსაზრებების გამო შეგირდები განაცხადში არ შეიყვანა. მოსალოდნელია, რომ ძირითად შემადგენლობას **როისტონ დრენტე** დაუბრუნდება. ახალგაზრდა ჰოლანდიელმა ბოლო ვარჯიშზე ყველაზე დიდ დატვირთვას გაუძლო და დამრიგებელი ალაფრთოვანა. შესანიშნავად გამოიყურებიან **რაული, რუუდ ვან ნისტელროი, რობინიო** და **გუტი**. ჰერ ბერნდს დიდი იმედი აქვს, რომ ვარსკვლავური კვარტეტი ამჯერადაც გადამწყვეტ როლს შეასრულებს და "სევილიის" დამარცხებაში სერიოზულ წვლილს შეიტანს. გერმანელი სპეციალისტის განკარგულებაში შემდეგი ფეხბურთელები არიან: *კასილიასი, დუდეკი, კოდინა, სერხიო რამოსი, ტორესი, კანავარო, მარსელო, მეტცელდერი, ჰაინცე, დიარა, გახო, გუტი, დრენტე, ბალბოა, რობინიო, ბაპტიშტა, რაული, სავიოლა, ვან ნისტელროი.*

საკვირაო სამზადისს "ბარსელონაც" სრული სერიოზულობით ეკიდება. კატალონიური გრანდის ფეხბურთელებს ვალიადოლიდში განცდილმა წარუმატებლობამ განწყობა ძალიან გაუფუჭა. მართალია, "ბარსამ" "ხოსე სორილიაზე" ქულა მოიპოვა, მაგრამ პრიმერა დივიზიონის დებიუტანტებთან ფრეს თავად კატალონიელები აფასებენ წარუმატებლობას. **ფრანკ რაიკაარდმა** ნაფორხილება ინერტული თამაშით ახსნა. მისი აზრით, ბიჭებს მეტი თავგანწირვა მართებდათ. კაცმა რომ თქვას, ჰოლანდიელი არ ტყუის. მას შემდეგ, რაც **ლორენტემ** ანგარიში გახსნა, სტუმრებმა ტემპი გაზარდეს, მაგრამ მთლიანობაში განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებიათ იმისთვის, რომ თამაში მოეგოთ. რატომღაც, "ბარსელონას" სიმწვავე და მრავალფეროვნება აკლდა. **ტიერი ანრის** ტრავმის გამო ცენტრფორვარდის პოზიციაზე **რონალდინიო** ვიხილეთ. სადებიუტო წუთების შემდეგ გაუჩომ ცენტრში გადაინაცვლა და პირველი ტაიმის მიწურულს გაიტანა კიდეც. ადამიანი იფიქრებდა, რომ სტუმრებს შესვენების შემდეგ "ვალიადოლიდი" წინ ველარ აღუდგებოდა, თუმცა ასე არ მოხდა. მეორე ტაიმში გულშემატკივრებმა აბსოლუტურად თანაბარი თამაში იხილეს. საგოლე მომენტებიც თანაბარი რაოდენობით შეიქმნა. საკითხავი მხოლოდ ის არის, სტუმრები მოვლენათა ამგვარ განვითარებას როგორ შეეგუენ. რაიკაარდმა სიმართლე თქვა, მის ბიჭებს გამარჯვებისთვის თავი არ გაუწირავთ. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ "ბარსელონას" ხუთი გასვლითი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი აქვს მოგებული. კატალონიელები ამჯერად "კამპ ნოუზე" "ბეტისს" უმასპინძლებენ. რა თქმა უნდა, ისინი ფავორიტები არიან, მაგრამ მატჩს წინასწარ ვერასოდეს მოიგებ. ასე რომ, ნებისმიერი დაპირისპირება საპასუხისმგებლოა. ჰოდა, ამ საპასუხისმგებლო ორთაბრძოლის წინ რაიკაარდს ტიერი ანრი დაუბრუნდა. ფრანგმა ფორვარდმა ის მიკრო ტრავმა მოიშუშა, რომლის გამოც ვალიადოლიდში თამაში ვერ შეძლო. აღნიშნულ პაექრობაში **ერიკ აბიდალმაც** ვერ მიიღო მონაწილეობა. კვირას ისიც მზად იქნება. პარასკევის საღამოს ვარჯიში ფრანგმა სრულფასოვნად ჩაატარა. მისგან განსხვავებით, რაიკაარდმა **გაბრიელ მილიტოს** მსუბუქი მოთელვა აკმარა. ექიმების ინფორმაციით არგენტინელმა კოჭი იტკინა და სერიოზულ დატვირთვას ვერ გაუძლებდა. გამორიცხული არ არის, მილიტომ "ბეტისთან" ვერ ისპარეზოს. ჯერჯერობით, უცნობია **ჯანლუკა ძამბროტას** ბედიც. იტალიელს ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. რთულადაა **ოლეგერის** საქმეც. თუ გამოჯანმრთელებას ვერც ერთი მათგანი მოასწრებს, "ბარსელონას" დაცვის მარჯვენა ფლანგზე სერიოზული პრობლემები შეექმნება. რაიკაარდი იმედოვნებს, რომ სიტუაცია ამდენად არ დაიძაბება.




ვალენსიამ რონალდ კუმანი წარადგინა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 10 | 8 | 1 | 1 | 25-7 | 25 |
| 2. ბარსელონა | 10 | 6 | 3 | 1 | 20-8 | 21 |
| 3. ვილიარეალი | 10 | 7 | 0 | 3 | 18-13 | 21 |
| 4. ატლეტიკო | 10 | 6 | 2 | 2 | 20-10 | 20 |
| 5. ესპანიოლი | 10 | 5 | 3 | 2 | 14-11 | 18 |
| 6. ვალენსია | 10 | 6 | 0 | 4 | 15-19 | 18 |
| 7. სარაგოსა | 10 | 5 | 2 | 3 | 16-14 | 17 |
| 8. მალიორკა | 10 | 4 | 4 | 2 | 18-13 | 16 |
| 9. რასინგი | 10 | 4 | 4 | 2 | 8-8 | 16 |
| 10. მურსია | 10 | 3 | 4 | 3 | 8-8 | [illegible] |
| 11. სევილია | 9 | 4 | 0 | 5 | 19-14 | 12 |
| 12. ოსასუნა | 9 | 3 | 3 | 3 | 13-11 | 12 |
| 13. ალმერია | 10 | 3 | 2 | 5 | 10-11 | 11 |
| 14. ბილბაო | 10 | 2 | 4 | 4 | 7-12 | 10 |
| 15. რეკრეატივო | 10 | 2 | 3 | 5 | 7-13 | 9 |
| 16. დეპორტივო | 10 | 2 | 3 | 5 | 8-16 | 9 |
| 17. ბეტისი | 10 | 1 | 5 | 4 | 8-12 | 8 |
| 18. ხეტაფე | 10 | 2 | 2 | 6 | 9-15 | 8 |
| 19. ვალიადოლიდი | 10 | 1 | 4 | 5 | 12-20 | 7 |
| 20. ლევანტე | 10 | 0 | 1 | 9 | 3-23 | 1 |



ფაბიო კანავარო

მოსალოდნელი ტრანსფერი

# კანავარო: მილანში მინდა!

## შუსტერი თანახმაა, დისკუსია დაიწყოს...

კარგა ხანია, იტალიური პრესა **ფაბიო კანავაროს** სამშობლოში შესაძლო დაბრუნებაზე საუბრობს. ამ ზაფხულს, იტალიის ნაკრების კაპიტანმა ლამის კვლავ "იუვენტუსს" მიაშურა, მერე იყო სპეკულაციები "ნაპოლისთან" დაკავშირებითაც, სადაც "კანა" საფეხბურთო კარიერის გარიჟრაჟზე თამაშობდა. ცალკეული კლუბები კი აქა-იქ გამოთქვამდნენ მასთან კონტრაქტის გაფორმების სურვილს, მათ შორის, იყო "მილანიც". და აი, ამ სურვილებს კანავარო თავად გამოეხმაურა:

*"კარლო ანჩელოტი ბრწყინვალე მწვრთნელია, ის რეალურად საუკეთესოა მსოფლიოში. დარწმუნებული ვარ, მე და ნესტა "მილანშიც" შესანიშნავ წყვილს შევქმნიდით, ისევე, როგორც ეს იტალიის ნაკრებში იყო. დიდ პატივს ვცემ კაკასაც, რომელმაც ნამდვილად დაიმსახურა ის, რომ ჩემს მერე "ოქროს ბურთი" მას გადაეცეს".*

სხვათა შორის, "რეალის" მწვრთნელმა **ბერნდ შუსტერმა** მიანიშნა, რომ არ არის გამორიცხული, კლუბმა იანვარშივე იზრუნოს კანავაროს გასხვისებაზე. თუ ეს მართლაც მოხდა, "აძურის" კაპიტანს უფლება არ ექნება, "მილანს" ჩემპიონთა ლიგაში დაეხმაროს, რაკი ამ ტურნირზე სამეფო კლუბის მაისურით წლეულს უკვე ნათამაშები აქვს.

### ლემანი ფიქრობს

"არსენალის" გერმანელი მეკარე **იენს ლემანი** არაა დარწმუნებული, რომ ის მის ახლანდელ გუნდში ისევ სჭირდებათ. ის ფიქრობდა, რომ ძირითადში ადგილს ადვილად დაიბრუნებდა **მანუელ ალმუნიასგან**, თუმცა მთავარი მწვრთნელი ასე არ ფიქრობს. ვენგერი ჯიუტად ენდობა ესპანელს. სეზონის სტარტზე გერმანელის უმძიმესმა შეცდომებმა გუნდს რამდენიმე ქულა დააკარგვინა. მას მერე ალმუნია კარს საკმაოდ დამაჯერებლად იცავს და, სიმართლე ითქვას, ის არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ისევ სკამზე დასვან. გერმანელიის ნაკრების პირველმა გოლკიპერმა გადაწყვიტა, რომ თუკი ზამთრამდე არაფერი შეიცვლება, ის გუნდს დატოვებს. ამაზე სპეკულაციები დიდი ხანია, მიდის. ახსენეს კონკრეტული დაინტერესებული გუნდიც - ბერლინის "ჰერტა".

### სანდერლენდი გაძლიერებას გეგმავს

"სანდერლენდის" მწვრთნელი **როი კინი** აპირებს, რომ ზამთრის სატრანსფერო პაუზისას 4 ფეხბურთელით გააძლიეროს შემადგენლობა. "ჩვენ ახალი სახეები გვჭირდება. იმედს გამოვთქვამ, რომ 3 ან 4 ფეხბურთელით მაინც მოვახერხებთ შევსებას," - მოჰყავს ირლანდიელის სიტყვები სააგენტო ПА-ის. როიმ დააკონკრეტა ორი გვარი, ვისი ხილვის სურვილიც მას გააჩნია. ესენი არიან სელტიკელი **ბობო ბალდე** და "მანჩესტერ იუნაიტედის" აღზრდილი **ჯონი ევანსი**. *"ისინი კარგი ფეხბურთელები არიან. ჩვენდა სამწუხაროდ, მათ კონტრაქტები აქვთ საკუთარ კლუბებთან. ჩვენძალებს არ დავზოგავთ მათ გადმოსაბირებლად"*.

### ალვეში სიტიში?

დღის განმავლობაში ცნობები "ჰერენვენის" ბრაზილიელი ფორვარდის **აფონსო ალვეშის** შესახებ რამდენჯერმე შეიცვალა. მის სახელს ჯიუტად უკავშირებენ "მანჩესტერ სიტის". ჯერ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ინგლისელები ფეხბურთელში 9 მილიონ გირვანქის გადახდას აპირებდნენ. თუმცა ჰოლანდიელები მის დათმობას 13-ზე ნაკლებად არ აპირებდნენ. გვიან საღამოს კი შევიტყვეთ, რომ გარიგება თითქოს შედგა. **სვენ გორან ერიკსონის** მოთხოვნით, კლუბმა შეთავაზება გაზარდა 15 მილიონამდე, მაგრამ თანხის ნაწილს ის **გეორგიოს სამარასის** დათმობით გადაიხდის. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

აქვე გეტყვით, რომ **მიკა რიჩარდსი,** შეიძლება, 21 ნოემბერს, ხორვატიასთან შესარჩევ მატჩში **სტივ მაკლარენის** გუნდს დააკლდეს. გვამცნობს უეფას ვებგვერდი. მან მუხლი "ბოლტონთან" თასის მატჩისას დაიზიანა. სანამ გამოკვლევა პასუხს არ იტყვის, იქამდე შეუძლებელია ზუსტი დიაგნოზის დასმა. განაცხადა ერიქსონმა.

### ლოთები კორეელთა ნაკრებში

სამხრეთი კორეის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების ოთხ ფეხბუთელი ალკოჰოლის მოხმარების გამო დაითხოვა. მათ თითოწლიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. დასჯილთა შორისაა კაპიტანი **ლი ვუნ ჯაე**, რომელმაც ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში 17 წლამდელთა ტურნირისას დიდი ღრეობა გადაიხადა. კაპიტანმა თავი უდანაშაულოდ გამოაცხადა. მან თქვა, შევეცადე, ფეხბურთელებისათვის კომფორტული გარემო შემექმნაო. ლი ვუნ ჯეს საზოგადოებისათვის სასარგებლო 80-საათიანი მუშაობაც დააკისრეს.

### ვალენსიას კალაჩი მოუნდა

"ვალენსიას" ორი მაღალი კლასის მეკარე ჰყავს: **სანტიაგო კანისარესი** და **ტიმო ჰილდებრანდი**. ამის მიუხედავად, "ღამურებს" გამოცდილი გოლკიპერის შეძენა სურთ. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, "ვალენსიამ" მილანელი ჟელკო კალაჩი მოიკითხა. მან იტალიელებს უკვე გაუგზავნა ოფიციალური შეტყობინება და მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა.

პრემიერლიგა

# გრანდები მინისტრის კრიტიკას პასუხობენ

ინგლისის სპორტის მინისტრმა **ჯერი სატკლიფმა** ლონდონში გამართულ სპორტული ინდუსტრიის სამიტზე განაცხადა, რომ შეშფოთებულია ინგლისური ფეხბურთის გრანდების მიერ წარმოებული ფინანსური პოლიტიკით. მეტიც, მან ამ პოლიტიკას დაუშვებელი უწოდა"

"აიღეთ მაგალითად ჯონ ტერი. მისი კვირეული ანაზღაურება "ჩელსიში" 150 ათასი გირვანქაა. ჩვეულებრივ ხალხის გონებამდეც კი არ დადის, რომ შეიძლება ამხელა ხელფასი გამოიმუშავო. "ჩელსი" არ არის მომგებიანი კლუბი. პირიქით, მისი წლიური დანაკარგი 250 მილიონია. განა ეს ნორმალურია? ან აიღეთ "მანჩესტერ იუნაიტედი", წლეულს მათ სეზონური აბონემენტების ღირებულება 13 პროცენტით გაზარდეს. ამასთან, ეს აბონემენტები არ ითვალისწინებს თასის თამაშებისა და ევროთასების მატჩებზე დასწრების უფლებას. გულშემატკივარმა ამაში დამატებით 200 გირვანქა უნდა გადაიხადოს. ვფიქრობ, რომ ასეთი გადაწყვეტილებები ხალხს ფეხბურთისგან აშორებს," - გყაუწყა "დეილი მეილმა" მაღალი თანამდებობის პირის სიტყვები.

ამ განცხადებას განაწყენებული კლუბების საპასუხო რეაქცია მოჰყვა. მაგალითად "ჩელსის" წარმომადგენელმა მინისტრი არაკომპეტენტურობაში ამხილა, განაცხადა რა, რომ **რომან აბრამოვიჩის** მიერ გაღებულმა დოტაციამ გასულ სეზონში შეადგინა არა 250, არამედ "სულ რაღაც" 80 მილიონი გირვანქა. ამასთან, ტერის ხელფასი არის არა 150 არამედ 130 ათასი გირვანქა კვირაში.

რაც შეეხება "ალისფერი ეშმაკების" აღმასრულებელი დირექტორის **დევიდ გილის** განცხადებას, მისი თქმით: "ფასები ბილეთებზე 10 პროცენტზე ოდნავ მეტით გაიზარდა, ახლა "ოლდ ტრეფორდზე" დასასწრებად გულშემატკივარს 25-იდან 44 გირვანქამდე გადახდა უწევს, რაც, ვფიქრობ, მისაღები ფასია."

ისე არ შეიძლება გილის განცხადების შემდგომ ერთი რამ ჩვენც არ აღვნიშნოთ, "იუნაიტედის" გულშემატკივარს ნამდვილად არაფერი ეტყობა, რომ სიძვირის გამო ბილეთს ვერ ყიდულობდეს. სტადიონი რეგულარულად გადავსებულია ხოლმე.



დევიდ გილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XII ტურის წინ

# რიბერი ბრუნდება!

## ბაიერნს კანიც გამოუჯანმრთელდა

**გუშინ**

| | |
|---|---|
| კოტბუსი-შალკე | 1:0 |

**დღეს**

ვერდერი-ჰანზა
ბაიერნი-აინტრახტი
ლევერკუზენი-არმინია
ნიურნბერგი-შტუტგარტი
ჰამბურგი-ჰერტა
ჰანოვერი-ბორუსია

**ხვალ**

ბოხუმი-ვოლფსბურგი
კარლსრუე-დუისბურგი

"ბაიერნისთვის" ფრანკფურტის "აინტრახტი", წესით იოლი ლუკმა უნდა იყოს. "აინტრახტს" მიუნხენში სულ 37 შეხვედრა აქვს ჩატარებული და აქედან მხოლოდ 3 მოიგო (5 ფრე, 29 მარცხი). თანაც, ფრანკფურტელები მიმდინარე სეზონში გასვლით მატჩებში ძალიან სუსტად გამოიყურებიან (0-3-2). სამშაბათს ფრაკფურტული კლუბი გერმანიის თასიდან გავარდა (1:2 დორტმუნდში), "ბაიერნმა" კი მიონხგლადბახის "ბორუსია" დაამარცხა (3:1). რეკორდმაისტერის მდგომარეობას ისიც ამარტივებს, რომ ლაზარეთიდან დაბრუნდა და სრულ მზადყოფნაშია **ფრანკ რიბერი**. თამაში შეუძლია **ოლივერ კანსაც**, რომელსაც სამკვირიანი იძულებითი პაუზა ჰქონდა. თუმცა **ოტმარ ჰიტცფელდი** კანის საკითხს ბოლო წუთამდე ღიად ტოვებს, მაგრამ სავარაუდოდ, "ბაიერნის" კარს დღეს სწორედ ოლი დაიცავს, **მიხაელ რენზინგი** კი ისევ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს. სამაგიეროდ, ჰიტცფელდს **მარსელ იანსენის** დასვენება აქვს გადაწყვეტილი - მის ნაცვლად დაცვის მარცხენა ფლანგზე **ფილიპ ლამი** ითამაშებს, მარჯვნივ კი **კრისტიან ლელი**.

ერთი კვირაა, "ჰამბურგის" ხელმძღვანელები გაიძახიან, მეორე ადგილზე კი ვართ, მაგრამ "ბაიერნის" უმთავრეს კონკურენტებად ნუ შეგვრაცხავთო. უნდა თუ არ უნდა, "ჰამბურგი", როგორც მეორე ადგილზე მყოფი გუნდი, დღეს რეკორდმაისტერის უპირველესი მდევარია. **ჰუუბ სტევენსის** შეგირდები ბერლინის "ჰერტას" მასპინძლობენ. იმ დროს, როცა HSV-ს საქმეები ძალიან კარგად მისდის (უეფას თასზე, გერმანიის თასზე და ბუნდესლიგაშიც), დედაქალაქური კლუბი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, რადგან სამშაბათს "ჰერტა" გერმანიის თასიდან გავარდა, წააგო რა "ვუპერტალთან" (!). **რაფაელ ვან დერ ვაარტი** სრულიად ჯანმრთელია, რაც "ჰამბურგისთვის" უდიდესი შეღავათია. ბერლინელთა მწვრთნელი **ლუსიენ ფავრი** კი იმედოვნებს, რომ მისი სამწყსოს ლიდერები, **ჟილბერტო** და **მარკო პანტელიჩი** დღეს სალამომდე მწყობრში ჩადგებიან და ითამაშებენ.

მესამე ადგილზე მყოფი "ვერდერი" "ჰანზას" მასპინძლობს. ბრემენელებმაც და როსტოკელებმაც გერმანიის თასის მეორე ეტაპი საკმაოდ იოლად გადალახეს - "ვერდერმა" "დუისბურგი" გაანადგურა (4:0), "ჰანზამ" კი "ოფენბახი" (6:0). აღსანიშნავია, რომ "მუსიკოსები" ამ მატჩს სერიოზული საკადრო პრობლემებით ხვდებიან. **თომას შააფის** განკარგულებაში აღარც **ტორსტენ ფრინგსია** და აღარც **ბუბაკარ სანოგო**. მიუხედავად ამისა, ფავორიტი, რა თქმა უნდა, მაინც "ვერდერია".

ნიურნბერგში, თასიდან გავარდნილი ამ ჯილდოს მფლობელი ფრანკები იმ "შტუტგარტს" მასპინძლობენ, რომელიც გასულ სეზონში, თასის ფინალში 3:2 დაამარცხეს. შვაბებს **მეტიუ დელპიერი** გამოუჯანმრთელდათ, რაც იმას ნიშნავს, რომ **არმინ ფეეს** დაცვის ცენტრში ისევ ნომერ პირველი წყვილი (**მეირა**-**დელპიერი**) ეყოლება. "ნიურნბერგს" **პეერ კლუგე** დაუბრუნდა, სამაგიეროდ, ტრავმირებულია **ანგელოს ხარისტეასი**. თუმცა მისი არყოფნა **ჰანს მაიერის** გუნდისთვის დიდი დანაკლისი არ არის, რადგან ბერძენი თავის მოვალეობას ვერ ასრულებს და გოლები ვერ გააქვს.

"ჰანოვერი" დორტმუნდის "ბორუსიას" დაუხვდება. "წითლებმა" გერმანიის თასზე 120 წუთიანი ბრძოლა (0:2 "შალკესთან") გადაიტანეს, "დორტმუნდმა" კი "აინტრახტს" 90 წუთში მოიგო და შედარებით დასვენებულია. ლევერკუზენის "ბაიერი" კი, რომელიც თასიდან პირველივე ეტაპზე გავარდა, "არმინიას" უმასპინძლებს.



ოტმარ ჰიტცფელდი და ფრანკ რიბერი

ხვალ, "კარლსრუე" "დუისბურგს" დაუხვდება და რაკი გერმანიის თასიდან ორივე მათგანი გავარდა, ამიერიდან მათ მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებთ: ბუნდელსიგაში ადგილის შენარჩუნება. თუმცა ამ მხრივ "კარლსრუეს" გაცილებით უკეთ აქვს საქმე, რადგან ბადენელებმა 11 ტურში 20 ქულას მოუყარეს თავი და საქმის ნახევარი ფაქტობრივად გაკეთებული აქვთ, რადგან სტატსიტიკურად, ელიტაში დასარჩენად ყოველთვის დაახლოებით 40 ქულაა ხოლმე საჭირო. როგორც იცით, KSC-ს ძირითადმა მეკარე **მარკუს მილერმა** მძიმე ტრავმა მიიღო. დღეს, ისევე, როგორც მეორე წრის დაწყებამდე, მას მეორე გოლკიპერი **კორნეტცკი** შეცვლის. დღესვე **ფელიქს მაგათის** "ვოლფსბურგი", რომელიც ბოლო დროს აშკარა პროგრესს განიცდის, "ბოხუმს" სტუმრობს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 11 | 8 | 3 | 0 | 27-4 | 27 |
| 2. ჰამბურგი | 11 | 7 | 2 | 2 | 17-8 | 23 |
| 3. ვერდერი | 11 | 6 | 3 | 2 | 25-17 | 21 |
| 4. კარლსრუე | 11 | 6 | 2 | 3 | 13-11 | 20 |
| 5. შალკე | 12 | 4 | 6 | 2 | 17-11 | 18 |
| 6. ჰანოვერი | 11 | 5 | 3 | 3 | 15-15 | 18 |
| 7. ვოლფსბურგი | 11 | 4 | 4 | 3 | 18-16 | 16 |
| 8. ჰერტა | 11 | 5 | 1 | 5 | 15-15 | 16 |
| 9. აინტრახტი | 11 | 4 | 4 | 3 | 12-14 | 16 |
| 10. ლევერკუზენი | 11 | 4 | 3 | 4 | 14-9 | 15 |
| 11. დორტმუნდი | 11 | 4 | 2 | 5 | 16-19 | 14 |
| 12. შტუტგარტი | 11 | 4 | 1 | 6 | 12-18 | 13 |
| 13. არმინია | 11 | 3 | 3 | 5 | 13-23 | 12 |
| 14. ჰანზა | 11 | 3 | 2 | 6 | 11-15 | 11 |
| 15. ნიურნბერგი | 11 | 2 | 3 | 6 | 15-20 | 9 |
| 16. ბოხუმი | 11 | 2 | 3 | 6 | 13-19 | 9 |
| 17. დუისბურგი | 11 | 3 | 0 | 8 | 12-18 | 9 |
| 18. კოტბუსი | 12 | 1 | 5 | 6 | 8-21 | 8 |

ინტერვიუ ლუსიოსთან

# 2014 წელს ბრაზილიის ჩემპიონობა გარდაუვალია!

## სელესაოს კაპიტანი წუხს, რომ მის სამშობლოში ჩასატარებელ მუნდიალს ნაკრების ფეხბურთელის რანგში ვერ მოესწრება...



ლუსიო

**გერმანულმა საინფორმაციო სააგენტო DPA-მ ბრაზილიის ნაკრების კაპიტან ლუსიოს ინტერვიუ ჩამოართვა, რომელშიც 29 წლის ბაიერნელი 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საუბარობს. ლუსიო იმ დროს უკვე 36 წლის იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ 2014 წლის მუნდიალზე მისი ასპარეზობის შანსი ძალიან მცირეა, რის გამოც "სელესაოს" ცენტრალური მცველი ძალიან დარდობს, მაგრამ ამბობს, საწუწუნო არაფერი მაქვს, რადგან უკვე ორ მუნდიალზე ვითამაშე, მსოფლიოს ჩემპიონიც ვიყავი და სავარაუდოდ, 2010-შიც ვიასპარეზებო.**

**- როგორც ბრაზილიის ნაკრების კაპიტანს, რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა საბოლოოდ გაირკვა, რომ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატი თქვენს სამშობლოში გაიმართება?**

- ცხადია, ბედნიერი ვარ და ძალიან მიხარია, რომ 2014 წლის მუნდიალი ბრაზილიაში ჩატარდება. ალბათ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ გვიყვარს ბრაზილიელებს ფეხბურთი და არც იმის მტკიცებაა საჭირო, რომ ამ გადაწყვეტილებას მთელი ბრაზილია მოუთმენლად ელოდა. ჩემი აზრით, ბრაზილიელმა ხალხმა დაიმსახურა ის, რომ მუნდიალს უმასპინძლოს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ 2014 წელს ბრაზილიაში უდიდესი საფეხბურთო ზეიმი გაიმართება, რომელიც მთელ მსოფლიოს ძალიან დიდხანს ემახსოვრება.

**- რა მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ჩემპიონატს ბრაზილიისთვის, როგორც საფეხბურთო ქვეყნისთვის და პირადად თქვენთვის?**

- მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი შენს ქვეყანაში - ეს აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელისთვის და ნებისმიერი ქომაგისთვის უდიდესი გამოწვევა და საოცნებო ფაქტია. გამონაკლისი არც ეს შემთხვევა იქნება. განსაკუთრებით, ახალგაზრდა ფეხბურთელები იქნებიან მოტივირებულები - ყველას ერთი ოცნება ექნება: ითამაშოს იმ მუნდიალზე, რომელიც მათ სამშობლოში გაიმართება. აუცილებლად გაიზრდება ბრაზილიური ფეხბურთის ხარისხი და ინფრასტრუქტურაც. ჩვენთან ბევრი გენიალური სტადიონია, მაგრამ არაერთ არენას რეკონსტრუქცია სჭირდება. უაღრესად დადებითი მომენტია ისიც, რომ მუნდიალისთვის ყველა სტადიონი უმაღლეს დონეზე გაკეთდება.

**- და რა მნიშვნელობა ექნება ამ მუნდიალს ბრაზილიისთვის ეკონომიკის თვალსაზრისით?**

- პირველ რიგში, ხალხი დასაქმდება - ყველას თავისი საქმე ექნება. ეს არის იმის შანსი, რომ ახალი სასტუმროები აშენდეს, ტრანსპორტის საშუალებები გაუმჯობესდეს და აეროპორტები გარემონტდეს. მუნდიალის დროს ბრაზილიაში მილიონობით ტურისტი ჩამოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ უსაფრთხოების ზომებიც უმაღლეს დონეზე უნდა იყოს დაცული. შესაბამისად, ქვეყანაში ამ მხრივაც გაუმჯობესდება ვითარება. ერთი სიტყვით, მსოფლიოს ჩემპიონატი ნებისმიერი ქვეყნისთვის უდიდეს პროგრესს ნიშნავს და ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ბრაზილიას, როგორც ქვეყანას, ეს პროგრესი ძალიან სჭირდება.

**- ცნობილია, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს კრიმინალური დაჯგუფებები. ამ მხრივ პრობლემები შეიქმნება?**

- ვნახოთ. იმედი მაქვს, რომ ასეთი პრობლემები თავს არ იჩენს, ეს ნამდვილი კატასტროფა იქნება. მჯერა, პოლიტიკოსები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მუნდიალის დროს არანაირი პრობლემები არ შეიქმნას. ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების უსაფრთხოება უმაღლეს დონეზე უნდა იქნას დაცული და დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იქნება.

**- ორგანიზაციული პრობლემები ხომ არ შეიქმნება?**

- არა მგონია. მართალია, ბრაზილიელების უდიდესი ნაწილი არაორგანიზებული და ცოტა არ იყოს, ქაოტურია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ 2014 წელს მსოფლიო იდეალურ მუნდიალს იხილავს. ბრაზილია უპირველესი საფეხბურთო ქვეყანაა, ასე რომ, ჩვენ იდეალური მუნდიალი უნდა ჩავატაროთ.

**- როგორ ფიქრობთ, რა განსხვავება იქნება ბრაზილიაში და გერმანიაში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატებს შორის?**

- არა მგონია, რომ განსხვავება დიდი იყოს. საერთოდ, ბრაზილიელი და სამხრეთ ამერიკელი ფანები უფრო ემოციურები არიან, მოგების დროს გერმანელებზე გაცილებით ემოციურად ზეიმობენ და დამარცხებასაც გაცილებით მძაფრად განიცდიან. მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატი ის ტურნირია, რომლის დროსაც ყველა ყველაფერს ერთნაირად განიცდის. გასულ წელს ხომ ვნახეთ, რაც მოხდა გერმანიაში. მანამდე ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ გერმანელებს ფეხბურთი ასე ძალიან უყვარდათ. მუნდიალის დროს მთელი ქვეყანა მსოფლიოს ჩემპიონატით ცხოვრობს და ეს ყველა ქვეყანაში ასე იქნება.

**- უკვე დაიწყო საუბრები იმის შესახებ, რომ 2014 წელს, ბრაზილიის ნაკრები, როგორც მასპინძელი, უმძიმესი წნეხის ქვეშ მოექცევა. გაუძლებს გუნდი ამ წნეხს?**

- მნიშვნელობა არა აქვს, სად, როდის და ვისთან თამაშობს ბრაზილიის ნაკრები - "სელესაო" ყოველთვის ზეწოლის ქვეშაა მოქცეული და გულშემატკივრები ჩვენი გუნდისგან ყოველთვის მაქსიმუმს ითხოვენ. რაკი მსოფლიოს ჩემპიონატი ჩვენთან ჩატარდება, ცხადია, ეს წნეხი კიდევ უფრო დამძიმდება. მაგრამ ჩვენ ყოველთვის უმაღლესი კლასის ფეხბურთელები გვყავდა და არც იმის უნდა გვეშინოდეს, რომ 2014 წელს ეს ასე არ იქნება. ამიტომაც ვფიქრობ, რომ 2014 წელს ბრაზილიის ჩემპიონობა ფაქტობრივად გარდაუვალია.

**- შანსი იმისა, რომ ამ მუნდიალზე თქვენც ითამაშოთ, ფაქტობრივად ნულის ტოლია. ამის გამო არ დარდობთ?**

- რომ გითხრათ, ეს არ მაწუხებს-მეთქი, დამიჯერებთ? რა თქმა უნდა, გული მწყდება, რომ 2014 წელს აქტიური სპორტული კარიერა დამთავრებული მექნება, მაგრამ საწუწუნო არაფერი მაქვს. მე უკვე ორ მუნდიალზე ვიასპარეზე, რომელთაგანაც ერთი მოვიგე კიდეც. იმედი მაქვს, რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზეც ვიასპარეზებ, მერე კი, ფეხბურთიდან კმაყოფილი წავალ. ყოველ შემთხვევაში, 2014 წელს 36 წლის ვიქნები და უნამუსო უნდა ვიყო, ახეთ ასაკში ნაკრებში თამაშის პრეტენზია რომ მქონდეს. არადა, საკუთარ ქვეყანაში მსოფლიოს ჩემპიონატის თუნდაც ერთი მატჩის ჩატარება ნებისმიერი ფეხბურთელისთვის უდიდესი ოცნებაა. მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჩემს ქვეყანას აუცილებლად დასჭირდება ჩემი დახმარება, არა ფეხბურთელის, არამედ სხვა ამპლუაში და მეც ახლავე ვაცხადებ, რომ ამისათვის 100 პროცენტით მზად ვიქნები.

**გოტფრიდ ლენცი**

## სტევენსი ეინდჰოვენში?

ჰოლანდიური პრესის ცნობით, "ეინდჰოვენის" ხელმძღვანელებს "ჰამბურგის" მთავარი მწვრთნელის, **ჰუუბ სტევენსის** გადაბირება სურთ. ამის შესახებ საუბრები მაშინ დაიწყო, როცა **რონალდ კუმანის** ბედი "ვალენსიას" დაუკავშირეს. ჩვენი ჰოლანდიელი კოლეგები წერდნენ, სტევენსს ზამთარში "ჰამბურგის" დატოვება შეუძლია, რადგან მის კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის თანახმადაც მას იანვარში "ჰამბურგიდან" წამოსვლა შეუძლიაო.

*"ჰერ სტევენსის კონტრაქტში ასეთი პუნქტი არ დევს და, შესაბამისად, ეს გამორიცხულია. ჩვენ მისი მუშაობით კმაყოფილები ვართ და როგორც ჩვენთვის ცნობილია, არც მას უნდა "ჰამბურგის" დატოვება,"* - აცხადებს HSV-ს გენერალური მენეჯერი **ბერნდ ჰოფმანი**. ჰოლანდიელები კი იმ ფაქტს იხსენებენ, რომ სტევენსი ეინდჰოვენში ცხოვრობს. როგორც იცით, ჰუუბის მეუღლე ავადაა (სიმსივნე აქვს) და მიმომხილველების აზრით, სტევენსისთვის ეინდჰოვენში გადაბარგება ამის გამოც სასურველი უნდა იყოს.

*"პსვ-ში 18 წელი გავატარე და თუ გახსოვთ, სხვა გუნდებშიც ყოველთვის დიდხანს ვმუშაობდი. მინდა, რომ "ჰამბურგშიც" დიდხანს დავრჩე. ასე რომ, ეს ყველაფერი სპეკულაციებია და მეტი არაფერი. ეინდჰოვენიდან არავინ დამკავშირებია,"* - ეს თვითონ სტევენსის განცხადება გახლავთ. ჰუუბის კონტრაქტს ვადა 2008 წლის ზაფხულში, ანუ, მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ გასდის. ცნობილია, რომ ზამთარში, კლუბის ბოსებს ჰუუბთან ახალი ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებების დაწყება სურთ.

## გერმანიის თასი: ბაიერნს ვუპერტალი შეხვდა

გერმანიის თასის მერვედფინალის წილისყრამ მიუნხენის "ბაიერნს" მეტოქედ ის "ვუპერტალი" შეახვედრა, რომელმაც სამშაბათს ამ ტურნირიდან ბერლინის "ჰერტა" გააგდო. სამაგიეროდ, არ გაუმართლა ბრემენის "ვერდერს" - "მუსიკოსები" მერვედფინალში დორტმუნდის "ბორუსიას" (ვესტფალენშტადიონზე) დაუპირისპირდებიან. სხვა წყვილები: ვოლფსბურგი-შალკე, ჰოფენჰაიმი-ჰანზა, კარლ ცაისი-არმინია, როტ ვაისი-ჰამბურგი, ალემანია-მიუნხენ 1860, ვერდერი II-შტუტგარტი.

ინტერვიუ რობინიოსთან

# ინჩასების სიყვარულს მთელი მსოფლიოს ფულიც ვერ გადაწონის

## ზიდანი ერთადერთია, მას ვერავინ შეედრება. მათ შორის, პელეც...

**რობინიოს თამაში საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევს. მიმომხილველები ხმამაღალ შეფასებებს არ უშინდებიან და ახალგაზრდა ბრაზილიელს "რეალის" ლიდერად აცხადებენ. თავად რობინიო კი უფრო მოკრძალებულ ტონს არჩევს და გვარწმუნებს, რომ სამუშაო ჯერაც ძალიან ბევრი აქვს.**

**- "მესტალიაზე" ფანტასტიკური მატჩი ჩაატარეთ...**

- ვალენსიაში ის გუნდი ვიხილეთ, რომლის ნახვაც ყველას გვსურდა. თამაშით უდიდესი სიამოვნება მივიღეთ. ვიცოდით, რომ უმნიშვნელოვანეს შეხვედრას ვატარებდით. რაულის გოლის შემდეგ კიდევ უფრო დიდი შემართებით შევუტიეთ და მართლაც ულამაზესი შეხვედრა ჩავატარეთ.

**- განსაკუთრებით საწყისი 36 წუთის განმავლობაში დომინირებდით...**

- როგორ გითხრათ, "მესტალიაზე" მადრიდის "რეალმა" ნამდვილი საფეხბურთო სპექტაკლი დადგა. ეს სწორედ ის გუნდია, რომელიც ბერნდ შუსტერს სურს, ჩვენ და გულშემატკივრებს გვსურს. ახლა მთავარია, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს თამაში ერთადერთი გამონაკლისი არ გამოდგეს და მომავალშიც ლაღად ვიასპარეზოთ. აბა წარმოიდგინეთ, მომდევნო ტურში "სევილიასთან" თუ წავაგებთ, "მესტალიაზე" მოპოვებული ბრწყინვალე სამი ქულა აღარავის ემახსოვრება.

**- როგორ ფიქრობთ, თქვენს გამარჯვებას "ვალენსიის" სისუსტემ შეუწყო ხელი?**

- ვფიქრობ, მთავარი მწვრთნელის შეცვლამ მათზე ძალიან ცუდად იმოქმედა. ეს არც არის გასაკვირი. ბუნებრივად, პრობლემები შეექმნათ, მაგრამ ამის გამო სამეფო კლუბის დამსახურება არ უნდა დაკნინდეს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ულამაზესად ვითამაშეთ. შესაძლოა, ვინმე ვალენსიელთა პრობლემებზე აკეთებდეს აქცენტს, მაგრამ პირადად მე სულ სხვა მხარეს ვიხედები. მიხარია, რომ გენიალურად ვითამაშეთ და შთამბეჭდავი გამარჯვება ვიზეიმეთ.

**- გამარჯვებები აქამდეც არ გაკლდათ, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იმ შეხვედრებში ისეთივე უპირატესობა გქონდათ, როგორიც "ვალენსიასთან" შეხვედრაში...**

- აბსოლუტურად მართალი ხართ. სიმართლე გითხრათ, ჩვენი უპირველესი ამოცანა გამარჯვებაა, თუმცა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ეს არ გვაკმაყოფილებს. ყოველთვის ვცდილობთ, კარგ შედეგს სანახაობაც შევუხამოთ. როცა ცუდად ასპარეზობ, საკუთარი შესაძლებლობების რწმენას კარგავ. უკეთეს შემთხვევაში კი რწმენა გერყევა. ამიტომ, აუცილებელია, რომ ეფექტური ფეხბურთის დემონსტრირება მოვახდინოთ. მერწმუნეთ, ეს არის უმოკლესი გზა წარმატებებისკენ. ხშირად ყოფილა, როცა წვალებით მოგვიგია და შემდეგ საშინელი კრიტიკა მოგვისმენია. განა გეგულებათ ერთი ჯანმრთელი ადამიანი მაინც, რომელსაც ამგვარი რამ სიამოვნებას ანიჭებს? მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ სამეფო კლუბის პრიორიტეტი ყოველთვის უცვლელია და მას ლამაზი ფეხბურთი ჰქვია.

**- ესე იგი, ლამაზი ფეხბურთი "რეალის" ვალდებულებაა?**

- რა თქმა უნდა. ხშირად გვსმენია, რომ სამეფო კლუბს ბრაზილიის ნაკრებს ადარებენ. გამოგიტყდებით, ამგვარი პარალელის გავლება ორმაგად მსიამოვნებს. ბრაზილიელი ვარ და მიხარია, რომ ჩემს ნაკრებსა და კლუბს ეტალონად მიიჩნევენ. სიამოვნებასთან ერთად ეს პარალელი უდიდესი პასუხისმგებლობაცაა. შეუძლებელია, წნეხში არ მოექცე. მთავარია, ამ წნეხს ღირსეულად გაუმკლავდე და ღირსეულადვე ითამაშო.

**- "მესტალიის" თამაშამდე რა ჭირდა გუნდს?**

- ალბათ, თამაშისგან სიამოვნების მიღებას განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევდით. იმედია, "ვალენსიასთან" მატჩი გარდატეხის მომტანი გახდება. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ "სევილიასთანაც" ლამაზად ვითამაშოთ და რა თქმა უნდა, სამი ქულა მოვიპოვოთ. დარწმუნებული ვარ, ამიერიდან ჩემი გუნდი სულ სხვაგვარ ფეხბურთს გაჩვენებთ.

**- ადრე ამბობდნენ, რომ "რეალს" ყველაზე მეტად სწორედ "ვალენსიასთან", "სევილიასთან" და "ბარსელონასთან" გიჭირდათ. ამავდროულად, ისიც გვსმენია, რომ სუსტ გუნდებთან არ გამოგდიოდათ თამაში...**

- მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენი მოწინაალმდეგე ვინ იქნება. მთავარია, "რეალმა" შესაძლებლობები გამოამჟღავნოს. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, თუ ჩვენს შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოვამჟღავნებთ, წინ ვერავინ დაგვიდგება. ამ შემთხვევაში უბრალოდ არ გამოჩნდება გუნდი, რომელიც წინ აღგვიდგება და მოგვიგებს. გასაგებია, რომ შესაძლებლობების ზღვარზე ყოველთვის ვერ იასპარეზებ. მოწინაალმდეგეები სწორედ ასეთ მომენტებს ელოდებიან და პრობლემებს გვიქმნიან.

**- "სევილიასთან" რას ელით? როგორ ფიქრობთ, ანდალუსიელებს ძლიერი გუნდი ჰყავთ?**

- ბოლო პრობლემების მიუხედავად, სევილიელებს შესანიშნავი გუნდი ჰყავთ. ისინი ჩინებულად თამაშობენ. მათ დიდი გამოცდილება აქვთ და ყოველთვის სერიოზულ პრობლემებს გვიქმნიან. მჯერა, ვაჯობებთ და დავამტკიცებთ, რომ სამეფო კლუბი უძლიერესია არა მარტო ესპანეთში, არამედ მთელ ევროპასა და მსოფლიოში.

**- "სევილიისგან" ყველაზე დიდ საფრთხეს კონკრეტულად რა მხრივ ელით?**

- ანდალუსიელთა ერთსულოვნებას სამაგალითოდ მივიჩნევ. ერთიანი სულისკვეთებით შეუძლიათ ნებისმიერი სირთულის დაბრკოლება გადალახონ. ისინი ფანტასტიკურად უტევენ და მატჩის განმავლობაში უამრავ საგოლე მომენტს ქმნიან.

**- ხუანდე რამოსის წასვლაზე რას გვეტყვით?**

- ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო. მანამდე არაფერს ამბობდნენ. აქედან გამომდინარე, ვერ წარმოვიდგენდი, რომ "ტოტენჰემში" გადაბარგდებოდა. მისი უფლებაა სად გააგრძელოს კარიერა. როგორც ჩანს, კოლოსალურმა ხელფასმა მთავარი როლი ითამაშა.

**- თქვენს პროგრესზეც მინდა ვისაუბროთ. აშკარაა, რომ არნახულად კარგად თამაშობთ.**

- მიხარია, რომ ეს შესამჩნევია და ჩემს შესახებ კეთილად საუბრობენ. შემიძლია გადაჭრით ვთქვა, რომ პროგრესი დაუღალავი შრომის შედეგია. ვერავინ წარმოიდგენს, რამდენად მომაბეზრებელი და დამღლელია ყოველდღიურობა, მაგრამ სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს. ხშირად მომდომებია, ფეხი დამეკრა და სადმე მარტოს დამესვენა. რა თქმა უნდა, ამგვარი ფიქრი რამდენიმე წამში ქრება. საკმარისია, "სანტიაგო ბერნაბეუზე" შევაბიჯო, რომ ენთუზიაზმითა და შრომისუნარიანობით ვივსები. ყოველ დღე თავიდან ვიბადები და თავიდან ვიწყებ შრომას. მუშაობის გარეშე გამორიცხულია, რაიმეს მიაღწიო. პროგრესის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ ჯერაც ძალიან ბევრი რამ მაქვს გამოსასწორებელი.

**- მეჩვენება, რომ გულშემატკივრებს ყველაზე მეტად თქვენ უყვარხართ. ყოველ შემთხვევაში, თვალშისაცემია, რომ აპლოდისმენტების განსაკუთრებული კასკადით სწორედ თქვენ გაჯილდოვებენ...**

- (იცინის) ბედნიერი ვარ, რომ გულშემატკივრებს ვუყვარვარ. სხვათა შორის, ზოგჯერ სახლთანაც კი მხვდებიან და მეხუტებიან. ძირითადად ახალგაზრდა გოგოები არიან (იცინის). სიყვარულს მართლაც ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ. ამაზე დიდი ჯილდო არ არსებობს. ინჩასების სიყვარულს მთელი მსოფლიოს ფულიც ვერ გადაწონის.

**- ზიდანის ერთგვარ მემკვიდრედ ხომ არ მიგიჩნევენ? რა თქმა უნდა, სანახაობრივი თამაშის თვალსაზრისით გეკითხებით...**

- ზიზუ შეუდარებელი ფეხბურთელი იყო. გამორიცხულია, მას ვინმე შეედაროს. ზიდანმა საკუთარი ინდივიდუალური გზა გაიარა და ისტორიაში სამუდამო ადგილი ეკუთვნის. მას არა თუ მე, არამედ პელეც კი ვერ შეედრება.

**- რა ბრძანეთ? ამას ბრაზილიელი ამბობს?**

- ვშიშობ, არასწორად გამიგეთ. მე ვამბობ, რომ ზიდანი ზიდანია, პელე კი პელე. უბრალოდ არ შეიძლება, ორი გენიალური ფეხბურთელი ერთმანეთს შევადაროთ. მით უმეტეს, მე, ადამიანი, რომელსაც მთელი კარიერა ჯერაც წინ აქვს.

**ილია ნიკოლაიშვილი**



რაული და რობინიო


ეროვნული ბიბლიოთეკა

??????????????

რეალი

# მიატოვიჩი ვან ნისტელროის პასუხს ელის

რამდენიმე კვირის წინათ გამცნეთ, რომ მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობამ **რუუდ ვან ნისტელროისთან** კონტრაქტის გახანგრძლივებაზე საუბარი დაიწყო. თითქოს ეს საქმე ოქტომბრის სანაკრებო შეხვედრების შემდეგ უნდა მოგვარებულიყო, მაგრამ პროცედურა მოულოდნელად გაიწელა. მიმომხილველებმა იფიქრეს, **რამონ კალდერონმა** გადაიფიქრაო, მაგრამ გაირკვა, რომ ეს დასკვნები ნაჩქარევი იყო...

ჰოლანდიელ ფორვარდს მოქმედი ხელშეკრულება 2009 წელს უმთავრდება. გუშინ, მას **პრედრაგ მიატოვიჩმა** კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივება შესთავაზა. ფეხბურთელმა პირობების გასაცნობად რამდენიმე დღე ითხოვა, თუმცა იქვე განმარტა, სამეფო კლუბში მაქსიმალურად დიდ ხანს დარჩენა მსურსო. აღსანიშნავია, რომ თუ მხარეები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, ვან ნისტელროის იანვარში ნებისმიერ კლუბთან მოლაპარაკების უფლება მიეცემა. ცოტა უცნაურია, მაგრამ ეს ძველი კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტია.

მიატოვიჩი დარწმუნებულია, საქმე აქამდე არ მივა: *"სულაც არ მიკვირს, რუუდმა დრო რომ ითხოვა. ვითარებაში გაუცნობიერებლად კონტრაქტს არავინ აფორმებს. მით უმეტეს, ისეთი გამოცდილი ადამიანი, როგორიც ვან ნისტელროია. მან დამარწმუნა, რომ აქ ძალიან ბედნიერად გრძნობს თავს. უბრალოდ, დოკუმენტი უნდა წაიკითხოს. თუ რაიმეს არ დაეთანხმება, საკუთარ წინადადებას გაგვაცნობს და მოლაპარაკებათა მაგიდას კიდევ ერთხელ მივუსხდებით. მოკლედ, ყველა პირობა არსებობს იმისთვის, რომ შეთანხმებას უპრობლემოდ ,მივაღწიოთ. ახალი კონტრაქტი უბრალოდ დროის საქმეა. რუუდი "რეალში" კიდევ ერთი წლით მეტს ითამაშებს. ამით ცხადია, ყველა ბედნიერი იქნება. თავად ფეხბურთელი, გულშემატკივრები და ხელმძღვანელები."*

## კვიცი გვარზე ხტის

**პოლ გასკოინის** შვილი, დამწყები მსახიობი **ბიანკა გასკოინი** მამის კვალს მიჰყვება. გარდა იმისა, რომ ცნობილი მამა ჰყავს, მის პოპულარობას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ძალიან რეიტინგული რეალური შოუ "სიყვარულის კუნძული" მოიგო. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ბრიტანულ პრესაში. როგორც ირკვევა, ის დედის დაბადების დღიდან საკმაოზე მეტად მთვრალი, საკუთარი "მერსედეს SLK-ს" საჭეს მიუჯდა და მეგობარი ბიჭის სახლის გზას დაადგა. გზად მან საჭე ვერ დაიმორჩილა და რიგითი ადამიანის "ჰონდა სივიკს" დაეჯახა. ჰოსპიტალიზაციის შემდეგ, რამაც 21 წლის გოგონას ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება ვერ გამოავლინა, ის გადაყვანილ იქნა პოლიციის უახლოეს განყოფილების წინასწარი დაკავების საკანში.

## ვან დერ სარს არსენალის არ სჯეროდა

"მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე **ედვინ ვან დერ სარმა** განაცხადა, რომ მას სეზონის დაწყებამდე არ სჯეროდა ლონდონის "არსენალის" შესაძლებლობების, მას მერე, რაც გუნდი საუკეთესო ბომბარდირმა **ტიერი ანრიმ** დატოვა. *"სეზონის დაწყებამდე ნაკლებად მჯეროდა, რომ "არსენალი" შეძლებდა კარგი შედეგების ჩვენებას. ანრი ამ გუნდისთვის ყოველთვის ძალიან დიდი ძალა იყო. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ არსენ ვენგერი ძალიან ძლიერი მწვრთნელია. მას, როგორც არავის დედამიწაზე, შეუძლია დამუხტოს გუნდი. ახლა "მეთოფეები" ისეთი ხარისხის თამაშსა და შედეგებს აჩვენებენ, რომ ძნელი წარმოსადგენია, ეს ვინმეს ეფიქრა,"* - მოჰყავს ბი-ბი-სი-ს ჰოლანდიელის სიტყვები.

## ჩელსის ვუნდერკინდის შეძენა სურს

"ჩელსი" მზადაა, კონტრაქტი გაუფორმოს 17 წლის ბრაზილიელს, ვუნდერკინდ **ლულინიოს**, ვისაც უკვე საკმაოდ ხშირად ადარებენ **რონალდინიოს**. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, "არისტოკრატების" ხელმძღვანელობამ ბრაზილიაში ორი სკაუტი გააგზავნა, რათა მათ "კორინთიანსის" შემადგენლობაში ფეხბურთელის თამაშს დაკვირვებოდნენ. "ინდეპენდენტის" ცნობით, ლონდონელები სამხრეთამერიკელებს 8 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. მოსალოდნელია, რომ შეთანხმება უახლოეს დღეებში შედგება.

## ტოტენჰემი რობინსონის შემცვლელს ეძებს

"ტოტენჰემისა" და ინგლისის ნაკრების მეკარე **პოლ რობინსონს** უახლოეს მომავალში ალბათ ახალი გუნდის მოძებნა მოუწევს. გუნდში **ხუანდე რამოსის** დანიშვნის უმალ აგორდა ხმები, რომ ესპანელს **ანდრეს პალოპის** შეძენა სურდა. მაგრამ ახლა სხვა რამე გაირკვა: "დეზებმა" "უდინეზედან" ახალგაზრდა **სამირ ჰანდანოვიჩი** შეიძინეს. თავად პოლი კონკურენციას არ უფრთხის და აცხადებს, რომ ძლიერი მეკარის გამოჩენის მიუხედავად, ის არავის ჩამოუვარდება და არც პოზიციების დათმობას აპირებს: *"მე ჩემი გუნდის უპირველეს მეკარედ და ასეთადვე დავრჩები. ახლა ჩვენ უკეთეს გუნებაზე ვართ. უკანასკნელი კვირების განმავლობაში პირველმა მოგებამ "ბლექპულთან", საკუთარი ძალების რწმენა შეგვმატა. ასევე მოხარული ვარ, რომ კარი მშრალად შევინახე."*

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა





მიხეილ ბერიშვილი




ინტერვიუ მიხეილ ბერიშვილთან

# ეს მხოლოდ დასაწყისია

პირველობის მსვლელობისას ზოგიერთი გუნდის ლიდერი უკვე გამოიკვეთა. „მაკაბის" ცენტრმა გიორგი შერმადინმა „ავიამშენის" ძლევაში დიდი წვლილი შეიტანა და პირველი ტურის საუკეთესოდაც დასახელდა. იმავე ტურში MVP-სთვის განკუთვნილი ხმების გარკვეული ნაწილი ვითელმა მიხეილ ბერიშვილმა მიიღო, რომელმაც „აზოტს" 7-დან 6 სამქულიანი ჩაუგდო. როგორც ჩანს, ახალგაზრდა ბერიშვილი ამ სეზონში „ვითას" ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა იქნება. საინტერესოა, ამ თემაზე თავად მიშა რას ფიქრობს.

- ფორმაში ნელ-ნელა შევდივარ, თუმცა ფიზიკურად მომძლავრება კიდევ მჭირდება. რაც შეეხება ჩემს თამაშს, მინდა აღვნიშნო, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მწვრთნელის ნდობას. როცა გრძნობ, რომ გუნდის თავკაცი ყველანაირად გენდობა, თამაშიც კარგად გამოგდის.

**- სამქულიანების რეალიზების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი რას მივაწეროთ?**

- სროლებზე გუნდთან ერთადაც ვმუშაობ და ინდივიდუალურადაც. თუმცა, ისიც კარგად მესმის, რომ ყოველ მატჩში 7-დან 6 სამქულიანს ვერ გამოვიყენებ.

**- ავტოავარიამ მომზადებაში ხელი ხომ არ შეგიშალა?**

- ჩემპიონატის დაწყებამდე „მაკაბისთან" ამხანაგური მატჩის შემდეგ შინ რომ ვბრუნდებოდი, მოვსრიალდი, მანქანაც დავაზიანე და თავიც გავიტეხე. ამის გამო „ვითას" ერთი კვირით გამოვაკლდი, თუმცა, სავარჯიშო რიტმში დაბრუნება არ გამჭირვებია.

**- ბოლო ტურში „მაკაბი" დაამარცხეთ...**

- პირველ ტურში „აზოტთან" წაგების შემდეგ ძალების მობილიზება შევძელით და „მაკაბის" წინააღმდეგ კარგად გავისარჯეთ. ჩვენი გამარჯვება, პირველ რიგში, დაცვაში მტკიცე თამაშმა განაპირობა.

**- „ვითას" ამ სეზონში რა მიზნები აქვს?**

- სხვებზე ნაკლები გუნდი არ გვყავს და მაღალ მიზნებსაც ვისახავთ. თამაშის ხარისხი კი ნელ-ნელა კიდევ უფრო გაუმჯობესდება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქამდე ტრავმის გამო ვერ გვეხმარებოდა ბუბა ბერიშვილი. მისი დამატება კიდევ უფრო გაგვაძლიერებს.

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი. III ტური

# 80:20 ავიას სასარგებლოდ?

| III ტური | |
|---|---|
| **3 ნოემბერი. რუსთავი** | |
| 17:00 | აზოტი-მაკაბი |
| **4 ნოემბერი. თბილისი** | |
| 13:30 | დინამო-ვითა |
| 15:30 | თსუ-ავიამშენი |

გუშინ, კლუბ „12 მაგიდაში" საქართველოს ჩემპიონატის მე-3 ტურის ცენტრალური მატჩისწინა პრესკონფერენცია მოეწყო.

შეხვედრას ესწრებოდნენ თსუ-ს მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი და ამავე გუნდის გამთამაშებელი მიხეილ ჩიტაშვილი. „ავიამშენის" მხარე კი წარმოადგინეს მეორე მწვრთნელმა ვაჟა მხეიძემ და უკანახაზელებმა - კოტე ტულუშმა და ირაკლი ხოშტარიამ

როგორც მიხვდით, კვირას ცენტრალურ მატჩში ერთმანეთს „ავია" და თსუ დაუპირისპირდება.

სტუდენტთა თავკაცმა **ნუგზარ ჭეიშვილმა** პრესკონფერენცია მეტოქეზე საუბრით გახსნა: - მძიმე შეხვედრა გველის. „ავიატორებს" კარგი გუნდი ჰყავთ და, ვფიქრობ, მათ სასარგებლოდ შანსები 80/20-ზეა. ჩვენთან ორი ტრავმირებულია **დავით არწივიძე და ირაკლი ჯგერენაია.** თუმცა, ვეცდებით თავი არც მათ გარეშე შევირცხვინოთ.

გამთამაშებელმა **მიხეილ ჩიტაშვილმა** აღნიშნა, რომ ოპტიმალურ ფორმაში არ არის: - ნელ-ნელა მეც შევდივარ ფორმაში და გუნდიც უმატებს. ვფიქრობ, არავიზე ნაკლები შემადგენლობა არ გვყავს და ამას უშუალოდ თამაშებისას დავამტკიცებთ. კვირის მატჩს იმედიანად ვხვდებით.

**ვაჟა მხეიძემ** „ავიამშენის" პირველი ტურის მარცხი გაიხსენა: - **ჯამლეტ ხუხაშვილს** თანაბრად დაბალანსებული გუნდი ჰყავს და შეიძლება „მაკაბისთან" მატჩში ჩვენი ბედი სხვებმაც გაიზიარონ. თუმცა, ისიც მინდა აღვნიშნო, რომ „ავიამშენი" საბოლოოდ ჯერ არ ჩამოყალიბებულა - გეგმის მიხედვით ვმუშაობთ და ნელ-ნელა წინ მივიწევთ. მეორე ტურში, „დინამოსთან" გუნდმა „თამაში იგრძნო" და, „ვფიქრობ, უახლოეს მომავალში ისე გაირჯება, როგორც მწვრთნელებს გვსურს. ტრავმები ჰქონდათ **კოტე ტულუშსა** და **ირაკლი ხოშტარიას,** რომლებიც ახლა თავს უკეთ გრძნობენ და თსუ-სთან მატჩში მოედანზეც გავლენ.

„ავიას" კაპიტან **ირაკლი ხოშტარიას** ჰკითხეს, შარშანდელი სეზონისგან განსხვავებით შეცდომათა რაოდენობა მინიმუმამდე გაქვს დაყვანილიო... ამ თემაზე ირაკლიმ ვრცლად ისაუბრა: - ვერ ვიტყვი, რომ გასული წლის შემდეგ გამოცდილება საგრძნობლად მომემატა და ამის ბრალია შეცდომათა ნაკლებობა. ახლა ოპტიმალურ ფორმაში არავარ და ამიტომ შეტევაზე მეტად აქცენტს დაცვაზე ვაკეთებ. ნელ-ნელა კონდიციებსაც გავიუმჯობესებ და შეტევასაც მივხედავ. ბატონ ნუგზარს არ დავეთანხმები, გამარჯვების შანსი ორივე გუნდს თანაბრად აქვს.

**კოტე ტულუში** სამშენებლო საკითხებს შეეხო: - „ავიამშენი" შენების პროცესშია. ყოველ მატჩს სხვადასხვა კომპონენტის დასახვეწად ვიყენებთ. ვფიქრობ, სათანადო ფორმას მალე მივაღწევთ. რაც შეეხება ჩემს თამაშს, მიმაჩნია, რომ გუნდთან შესაწყობად დრო მეც მინდა. ნაკრების გამო „ავიას" გვიან შევუერთდი. ამასთან, გასულ სეზონში ძირითადად მსროლელის ფუნქციებს ვასრულებდი, ახლა გამთამაშებლობა მავალია და გადასართველად მცირე პერიოდი მჭირდება.

ვაჟა სიმონიშვილი



გუშინდელ პრესკონფერენციაზე

ნუგზარ სურამის ფოტო

# ტარტუ კრაფტს გაუსწორდა

„ტარტუ როკმა" ესტონეთის ჩემპიონატში მორიგი მატჩი გამართა. მეხუთე ტურში როკერები აუტსაიდერ „კრაფტს" ეწვივნენ და 110:68 გაანადგურა.

„ტარტუს" მწვრთნელმა წინასწარ იცოდა, რომ იოლი გასეირნება ელოდა, ამიტომ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე წევრს დასვენების საშუალება მისცა - **გიორგი ცინცაძე** და გუნდს სნაიპერი **ბრაიან კუსვორსი** მატჩში მოგვიანებით ჩართო.

ამერიკელმა საბოლოოდ 14 წუთი ითამაშა, ქართველმა - 16. დროის ამ მონაკვეთში გიორგი უშეცდომო იყო: 2-დან 2 ორქულიანი გამოიყენა და 4 ქულას 3 პასი და 1 მოხსნა მიამატა.

ხუთი ტურის შემდეგ ესტონეთის ჩემპიონატს წაუგებელი „კალევი" ლიდერობს. გიორგი ცინცაძის „ტარტუ როკი" მეორეა.

ვახტანგ ტყეშელაშვილი

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული ლიტერატურის სათავეებთან

# ლელოს ბიბლიოთეკა უნდა აღდგეს




ქართველი კაცი ოდითგანვე დიდ ყურადღებას უთმობდა სხვადასხვაგვარ ფიზიკურ ვარჯიშს ორგანიზმის წრთობა-გაკაჟებისა და ყოველმხრივი ფიზიკური განვითარების მიზნით. ამიტომაც იყვნენ ჩვენი წინაპრები მუდამჟამს „ბრძოლასა შემმართებელნი, მხნენი, ძლიერნი, მხედარნი წარმატებულნი“ (ვახუშტი).

ჯერ კიდევ თამაშის ეპოქიდან მოყოლებული სპორტის სხვადასხვა სახეობის მიმდევარ ქართველთა სიჩაუქისა და ჯომარდობის შესახებ ცნობებს უხვად ვაწყდებით ისტორიულ მასალებსა და ლიტერატურულ წყაროებში. თამარის ისტორიკოსი დავით სოსლანის შესახებ გვამცნობს: „წაემჯობინა ყოველსა მშვილდოსანსა, ცხენოსანსა, მკვირცხლსა, მ ცურავსა და მოასპარეზესა“.

შოთა რუსთაველი სპორტული დახელოვნების მნიშვნელობაზე თავისი უკვდავების პოემის პროლოგშივე მიგვანიშნებს:

**„ვითამ ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა, მოზურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა.“ პოემის დასასრულს კი, ქაჯეთის ციხის აღების წინ, „სამთა გმირთა მნათობთა“ მიერ გამართულ თათბირზე ფრიდონს ათქმევინებს:**

**„ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან, მასწავლეს მათი საქმენი, მახლტუნვებდიან მწვრთიდიან; ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდან, ვითა მჭვრეტდიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდიან.“**

შემდგომ, მეჩვიდმეტე საუკუნეში, არჩილ მეფეს თავის თხზულებაში „საქართველოს ზნეობანი“ 365 „ზნეობას“ ანუ სპორტის სახეობას ჩამოთვლის, თუმცა იქვე დასძენს, „ვფიქრობ, რომ ეს „ზნეობანი“ ხუთი ათასსაც გადაამეტებსო“.

თეიმურაზ მეორე „დღისა და ღამის გაბაასებაში არა მარტო აღწერს სპორტული წრთობის სახეობებს, არამედ თითოეული მათგანის არსსაც განმარტავს (ყაბახის სროლა, მშვილდოსნობა, ბურთაობის ამბავი და ა.შ.).

ნათქვამია, სიმართლე თვალის სინათლეაო, ჰოდა, ჩვენც გავუსწოროთ თვალი სიმართლეს და, გვინდა არ გვინდა, ვაღიაროთ, რომ ქართულმა სპორტმა ყველაზე შთამბეჭდავ წარმატებებსა და სასახელო გამარჯვებებს იმ ავადსახსენებელ საბჭოთა პერიოდში მიაღწია. ამასთან, სწორედ ეს ტერმინი „საბჭოთა“ აყენებდა დიდ ჩრდილს ჩვენს დიდ გამარჯვებებს საერთაშორისო ასპარეზობებზე, რადგან ქართველი სპორტსმენები „ერთა მძლე კავშირის“ სახელით გამოდიოდნენ და მათ უცხოელები ყოველთვის რუს ათლეტებად აღიქვამდნენ და მოიხსენიებდნენ. მხოლოდ ერთი მაგალითი: როდესაც თბილისის „დინამომ“ 1981 წლის 13 მაის დიუსელდორფში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიპოვა, ერთ-ერთი გერმანული გაზეთი წერდა: საბჭოელთა „საბჭოელთა (ცხადია, უნდა ყოფილიყო - ქართველთა - დ.ი.) უპირატესობა ცხადზე ცხადი იყო და მათ დამსახურებულად იზეიმეს გამარჯვება“.

ქართული სპორტული მიღწევების ობიექტური გაშუქებით არც იმდროინდელი რუსული პრესა იკლავდა თავს. ისიც თავშეკავებით, ძუნწად, ფაქტობრივად, ინფორმაციულად წერდა მასზე.

ამ საქმეში ისევ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნა“. ერთადერთი სპორტული გაზეთი „ლელო“ რალაც ოთხიოდ გვერდზე ატევდა იმ დიდ სითბოსა და სიყვარულს, რასაც ჩვენი სპორტსმენები თავიანთი არნახული გამარჯვებებით იმსახურებდნენ.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული წიგნის მაღაზიების თაროებზე კანტიკუნტად ჩნდება სპორტულ თემაზე შექმნილი მცირე ფორმატის წიგნები. დიახ, სპორტული წიგნები შემთხვევიდან შემთხვევამდე გამოდიოდა.

60-70-იანი წლების „ლელოს“ ლეგენდარულმა რედაქტორმა და ბრწყინვალე პიროვნებამ, ბატონმა მიხეილ კაკაბაძემ გადაწყვიტა, რომ სპორტული ლიტერატურის გამოცემას შემთხვევითი ხასიათი აღარ ჰქონოდა და მისთვის სისტემური და ორგანიზებული სახე მიეცა. ასე დაებადა მას „ლელოს“ ბიბლიოთეკის“ დაარსების იდეა. ვინც მიხეილ კაკაბაძეს იცნობდა და ახსოვს, დამეთანხმება, რომ მისი სიტყვა და საქმე, თქმა და ქმნა ერთი იყო. 1969 წელს ბატონმა მიშამ თავის საშვილიშვილო იდეას ხორცი შეასხა. საგამომცემლო ბაზად მან მთავარი სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ აირჩია. ვინძლო, იმიტომაც, რომ გამომცემლობაში არსებობდა რედაქცია ერთობ ტევადი და მიმზიდველი სახელწოდებით: მხარეთმცოდნეობის, სპორტული, ტურისტული და სათავგადასავლო ლიტერატურის რედაქცია.

ასე გაჩნდა გამომცემლობის ყოველწლიურ საგამომცემლო თემატურ გეგმაში ახალი გრაფა - „ლელოს“ ბიბლიოთეკა“.

იმხანად თქვენი მონა-მორჩილი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ უფროსი რედაქტორი გახლდათ. ბატონ მიშას სურვილით და გამომცემლობის ხელმძღვანელობის თანხმობით „ლელოს“ ბიბლიოთეკის რედაქტორობა მე დამევალა, ცხადია, ძირითად საქმიანობასთან ერთად. ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო.

გამოცემის დაწყებასთან დაკავშირებულ პირველსავე საქმიან შეხვედრაზე ბატონმა მიშამ მთხოვა, მე ემფატიკური ა-ს ხმარების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ და ჩვენს გამოცემებში არ დამანახოო. გამეღიმა, ვიცოდი, რომ ბატონ მიშას დისერტაცია დაცული ჰქონდა თემაზე: „ემფატიკური ხმოვანის (ა) ხმარებისთვის ქართულში“. არასპეციალისტებისთვის რომ უფრო გასაგები იყოს, განვმარტავ: ემფატიკური ან მავრცობი „ა“ სიტყვის ბოლოს გამოიყენება, მაგალითად, „სიყვარულისათვის“. ბატონი მიშა მიიჩნევდა და ამტკიცებდა, რომ სწორი ფორმა იყო „სიყვარულისთვის“, ე.ი. ა-ს გარეშე.

ეს ისე, ერთგვარ ლირიულ გადახვევაში ჩამითვალეთ.

პირველი გამოცემა, რომელმაც „ლელოს“ ბიბლიოთეკის“ სერიით იხილა მზის სინათლე, იყო თვითონ მიხეილ კაკაბაძის მშვენიერი წიგნი „მეხიკო, მეხიკო“. ავტორმა წიგნი მექსიკის 1970 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატს მიუძღვნა. ბატონი მიშა უშუალო მოწმე და დამსწრე გახლდათ ამ ჩემპიონატისა და თავისი შთაბეჭდილებების ფონზე გააშუქა იგი. ამ „პირველ მერცხალს“ მოყვა არჩილ გოგელიას მიერ ქართველ მოფარიკავეებზე მართლაც დიდი სიყვარულით დაწერილი წიგნი „ფარიკაობა - ჩემი სიყვარული“. შემდეგ იყო ქართული ფეხბურთის პატრიარქის ანდრო ჟორდანიას წიგნი-შედევრი - „ფიქრები ქართულ ფეხბურთზე“. დოლომიტებში ტრაგიკულად დაღუპულ ლეგენდარულ ქართველ მთამსვლელს, ინგლისელთაგან „კლდის ვეფხვად“ სახელდებულ მიხეილ ხერგიანს მიეძღვნა კრებული „მიხეილ ხერგიანი“, რომელიც საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციამ მოამზადა. შესანიშნავმა სპორტულმა ჟურნალისტმა ნოდარ გუგუშვილმა ოლიმპიური თამაშების ისტორია შესთავაზა მკითხველს. „ლელოს“ ბიბლიოთეკის“ სერიით გამოცემული ყველა წიგნის გახსენება და ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. კიდევ რამდენიმე ცნობილ ავტორს წარმოგიდგენთ, რომლებთანაც მუშაობის ბედნიერება მხვდა წილად. ქალბატონები - ნონა გაფრინდაშვილი და დენიზა სუმბაძე, ბატონები - ოთარ გიგინეიშვილი, მურმან ლებანიძე, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ციბაძე, ვასილ ელაშვილი, გია ნადარეიშვილი, თენგიზ გიორგაძე, ოთარ გაგუა, გარუნ აკოფოვი, მოსკოვში მცხოვრები ცნობილი მწერალი და სპორტული ჟურნალისტი ალექსანდრე კიკნაძე, ვიქტორ ვასილიევი...

ხუთ-ექვს წელიწადში ოცამდე დასახელების სპორტული წიგნი გამოვიდა (იმ დროს ეს ცოტა არ იყო, წიგნადი პროდუქციის გამოშვებაც გეგმურად ხდებოდა და წლობით უნდა გეცადა წიგნის გამოცემისთვის. დღეს სხვა დროა, ვისაც სურვილი და ფული აქვს, ყველა წიგნს სცემს). ამ წიგნების მიმოხილვას მიეძღვნა „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ჩვენი წერილი სათაურით: „წიგნებში გაცოცხლებული სარბიელი“. ამის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა რედაქციამ მიგვიწვია და ხუთწუთიან სიუჟეტში მე და მაშინდელმა წამყვანმა, ცნობილმა სპორტულმა კომენტატორმა ნუგზარ ჯულელმა ტელემაყურებელს ანოტაციურად წარვუდგინეთ თითოეული სპორტული წიგნი.

1976 წელს მიხეილ კაკაბაძე „ლელოს“ რედაქტორობიდან გაათავისუფლეს. მიზეზი, ვისაც ახსოვს, ერთდროულად სასაცილოც იყო და სატირალიც და მასზე აღარ დავკონკრეტდებით. მიზეზის მოძებნას რა უნდა ბოროტის საქნელად. ბატონი მიშას გათავისუფლებაც ის არცთუ იშვიათი შემთხვევა იყო, როდესაც ბოროტი სძლევს კეთილს...

მიხეილ კაკაბაძის მოხსნის შემდეგ „ლელოს“ ბიბლიოთეკამაც“ შეწყვიტა არსებობა.

...დღეს, როდესაც „ლელოს“ ახალი სული ჩაედგა, კარგი იქნება, თუკი „ლელოს“ ბიბლიოთეკაც აღდგება და სპორტული ლიტერატურის სერიული გამოცემა განახლდება.

**დავით იუკურიძე**

ძიუდო



სეზონის კულმინაცია: ირაკლი ცირეკიძისა და ილიას ილიადისის ფინალი მსოფლიო ჩემპიონატზე

# სეზონი დეკემბერში იხურება და იხსნება

## ზვიადაური-ცირეკიძე გრძელდება!

საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა წლევანდელი სეზონი თითქმის მოილია და დიდი წარმატებითაც. არადა, სეზონი ორმაგად რთული იყო, ვინაიდან წლეულს ევროპის პირველობაც ჩატარდა და მსოფლიოსიც, მაგრამ **შოთა ხაბარელის** გუნდმა ორმაგი წარმატებით იჭიდავა. განსაკუთრებით, ევროპის პირველობაზე, სადაც 7-დან 5-მა მედალი მოიპოვა. მათ შორის, 1 ოქრო, 3 - ვერცხლი და 1 - ბრინჯაო, მაგრამ ნაკლებად წარმატებული არც მსოფლიო პირველობა იყო, სადაც სამივე სინჯის თითო მედალი და 5 ლიცენზია მოვიპოვეთ.

წლეულს ძიუდოისტებს ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრება დარჩათ - დეკემბრის დასაწყისშივე პოლონეთში ევროპის აბსოლუტური პირველობა ტარდება, 7-8 დეკემბერს კი საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება. ამათგან პირველი მიმდინარე სეზონის დასასრულია, მეორე - სამომავლოს დასაწყისი.

ევროპის აბსოლუტურ პირველობაზე წონითი კატეგორიები განსაზღვრული არაა და მონაწილეობა ყველას შეუძლია, მაგრამ, ცხადია, ზედა წონების ფალავნები ჭიდაობენ. ჩვენგან ტურნირში ხუთი ქართველი იჭიდავებს და ყველა ზედა წონებიდან, მაგრამ მათ შორის არ იქნება მსოფლიოს პრიზიორი მძიმე წონაში **ლაშა გუჯეჯიანი**. ალბათ, ხაბარელმა იგი სავსებით სამართლიანად დაასვენა. სამაგიეროდ, შანსი სხვებს მისცა - **ადამ ოქრუაშვილს, ზვიად ხანჯალიაშვილს, ლევან რაზმაძეს, ვახტანგ ზოიძეს** და **გიორგი ყიზილაშვილს**. როგორც ხედავთ, ამათგან ყველა მძიმე წონის ან 100 კილოგრამის ფალავანია.

შეგახსენებთ, რომ შარშან ადამ ოქრუაშვილმა ამ შეჯიბრებაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

7-8 დეკემბერს თბილისში უკვე საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება. მართალია, იგი წლევანდელ კალენდარში შედის, მაგრამ, არსებითად, საგაისო სეზონის საწყისი ეტაპია. სწორედ მან უნდა გამოავლინოს ის ოთხეულები, რომლებიც 26-27 იანვარს თბილისის სალიცენზიო მსოფლიო თასზე იჭიდავებენ. იქიდან გამომდინარე, რომ ხუთ წონაში ლიცენზიები უკვე მოვიპოვეთ, იქნებ საქართველოს ჩემპიონატზე ყველა ლიდერმა არ იჭიდაოს - მწვრთნელი მათ ოლიმპიადისთვის საგანგებო გრაფიკით მომზადების საშუალებას მისცემს.

თუმცა შეღავათები ულიცენზიოდ დარჩენილ იმ ორ წონაშიც მიეცემათ. მაგალითად, ხაბარელი უკვე აცხადებს, რომ 81-ში **გრიგოლ შინჯიკაშვილსა** და **გიორგი ბაინდურაშვილს** ამჯერად წონას არ დააკლებინებს და დაასვენებს. სამაგიეროდ, ისინი მსოფლიო თასზე იჭიდავებენ. სიტყვამ 81 მოიტანა და ბარემ იმასაც გეტყვით, რომ საქართველოს ჩემპიონატზე ტატამს **გრიგოლ მამრიკიშვილი** დაუბრუნდება, რომელმაც წლეულს, პარიზის სუპერთასზე მიღებული ბეჭის ტრავმა თითქმის მოიშუშა. არსებითად, ამ წონიდან თბილისის ტურნირზე მხოლოდ ფინალისტები გავლენ, ორი ადგილი კი უკვე დაბევებულია.

ზედმეტი წონა **ზაზა კედელაშვილსაც** (66) აწუხებს, მაგრამ მის დასვენებაზე ჯერ არავინ საუბრობს. იგი სალიცენზიო რეიტინგში მესამეა, მაგრამ ევროპის პირველობის მერე ძალზე ცუდად ასპარეზობს. შესაძლოა, სწორედ ამიტომ არ გარისკონ მისი დასვენება. თუმცა არც ისაა გამორიცხული, სწორედ დასვენება სჭირდებოდეს. ისიც დასაშვებია, ზედა წონაში აჭიდაონ, მაგრამ ეს თითქმის გამორიცხულია, ვინაიდან 73-ში მოპოვებული ქულები 66-ში არაფერი ნაადგება. არადა, ერთი რომელიმე სალიცენზიო ტურნირის მოგება თითქმის საბოლოოდ გაუნაღდებს პეკინის ოლიმპიადაზე მონაწილეობას, ამის შანსი კი შინაურ შეჯიბრებაში ბევრად მეტია, ვიდრე - უცხოეთში.

თუმცა ქვეყნის ჩემპიონატში ლიდერთა მონაწილეობა იქნებ იმ ლიცენზირებულ წონებშიც აუცილებელი გახდეს. საგზურის მოპოვება სულაც არაა პეკინში გამოსვლის გარანტია - თუ მის მომპოვებელ ფალავანს კონკურენტი აჯობებს, ოლიმპიადაზეც ის წავა. იმ 5-დან უმეტეს წონებში ლიდერებს არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ, მაგრამ ზოგან მძაფრი კონკურენცია კვლავაც გრძელდება. მაგალითად, 90-ში, სადაც ცირეკიძე-ზვიადაურის დაპირისპირება გაგრძელდება. ხაბარელმაც დაგვიდასტურა და თავად ზვიადაურიც ამბობს, რომ იგი პეკინის ოლიმპიადაზე მოსახვედრად სერიოზულ ბრძოლას აპირებს. ხაბარელის თქმით, ზვიადაური საქართველოს პირველობას იჭიდავებს. ახლა ვერ გეტყვით, იასპარეზებს თუ არა იმავე ტურნირზე ცირეკიძე, მაგრამ თბილისის ტურნირზე კი იჭიდავებს. თუმცა იქამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და წონების დაკომპლექტებაზე ლაპარაკი ნაადრევია.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## ბატუტზე ხტომა



ლუბა გოლოვინა

# ლუბა გოლოვინამ ოლიმპიადა გაინაღდა

კანადურ კვებეკში ჩვენთვის წარმატებულად დაიწყო ბატუტზე მხტომელთა მსოფლიო ჩემპიონატი, მთავარი მიზანი მიღწეულია, ქართველთაგან ყველაზე პერსპექტიულმა სპორტსმენმა **ლუბა გოლოვინამ** პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა.

10 ნოემბრამდე კვებეკის „პავილიონი“ მსოფლიოს საუკეთესო ბატუტისტებს მასპინძლობს. მსოფლიო ჩემპიონატი 25-ედ იმართება და იქ 1 600 სპორტსმენი იღებს მონაწილეობას, მათ შორის ექვსი ქართველია. გუშინ ქალთა შორის საკვალიფიკაციო ხტომები დაიწყო, მონაწილეთა შორის იყვნენ ლუბა გოლოვინა და **სოფიო გულიაშვილი**.

შეგახსენებთ, რომ ბატუტზე მხტომელებში მსოფლიო ჩემპიონატი ლიცენზიის მოპოვების ერთადერთი საშუალებაა - საგზურს 16 საუკეთესო ინალდებს, თანაც ლიცენზია ერთი ქვეყნიდან მხოლოდ ერთ სპორტსმენს ერგება. 67 მონაწილეში საკვალიფიკაციოს შემდეგ რუსი **ირინა კარავაევა** დაწინაურდა (69,20) ქულა, მეორე ადგილზე ჩინელი **ვენა ჰე** გავიდა (67,90), მესამე ადგილზეა რუსი **ნატალია ჩერნიაკოვა** (66,70). მეშვიდე ადგილზე დაასრულა ასპარეზობა გერმანელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ანა დოლონაძემ** (65,50). ლუბა გოლოვინა 61,80 ქულით მეოცე ადგილზე გავიდა. მან ჯერ 27,10, მეორედ კი 34,70 ქულა მიიღო. მეოცე ადგილი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ოლიმპიური ლიცენზიისთვის. სოფიო გულიაშვილი 53,50 ქულით 55-ე ადგილს დასჯერდა. ლიცენზია, რა თქმა უნდა, ანა დოლონაძემაც მიიღო. ოლიმპიადაზე მონაწილეობისთვის საჭიროა მონაწილე თვრამეტი წლის მაინც იყოს, გოლოვინა კი ჯერ ჩვიდმეტი წლისაა, თუმცა პეკინის ოლიმპიადის დაწყებამდე ის თვრამეტისა შესრულდება, ასე რომ, ჩვენი ოლიმპიური გუნდი კიდევ ერთი წევრით შეივსო. გოლოვინა კვებეკში ფინალურ ეტაპზე ვერ გავიდა, რადგან რვა საუკეთესო სპორტსმენში ვერ მოხვდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ხელბურთი

ტრანსფერები

# დონეცკიდან პოლტავაში

**სტუ-“თელავის” ორი ხელბურთელი – აკაკი ტალახაძე და ლევან ბერძენიშვილი ისევ უკრაინაში არიან. როგორც იცით, ისინი ახლახან, ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ გამოძახებულები “ჩელენჯ ტროფისთვის”, მაგრამ უკრაინული “შახტარიდან” მოწვევა მიიღეს და დონეცკს მიაშურეს.**

**ჩვენი ხელბურთელები “შახტარში” სინჯებზე წავიდნენ. როგორც გუშინ სტუ-“თელავის” თავკაცმა ირაკლი კეკელიძემ გვითხრა, ტალახაძე და ბერძენიშვილი ახლა პოლტავის გუნდში ვარჯიშობენ.**

- ტალახაძემ და ბერძენიშვილმა თავიდან “შახტარში” ივარჯიშეს, ახლა კი “პოლტავაში” არიან. ან ერთ გუნდში დარჩებიან, ან მეორეში.

**- რამდენ ხანში გადაწყდება მათი ტრანსფერის საკითხი?**

- დაახლოებით ერთ კვირაში. საქმე იკითკენ მიდის, რომ ალბათ ყველა ვარიანტში დარჩებიან უკრაინაში.

**- ტალახაძე და ბერძენიშვილი თქვენი გუნდის წამყვანი ხელბურთელები არიან. რამდენად დაასუსტებს სტუ-“თელავს” მათი წასვლა?**

- აკაკი და ლევანი ჩვენთვის ნამდვილად ფასდაუდებელი მოთამაშეები არიან – დაცვაშიც დამაჯერებლად ირჯებოდნენ და შეტევაშიც. მათი წასვლა, რაღა თქმა უნდა, დიდი დანაკლისი იქნება. თუმცა გვაქვს საკმაოდ გრძელი სათადარიგოთა სკამი. იმდენი ხელბურთელი გვყავს, რომ რამდენიმე ძლიერი მოთამაშე თოთხმეტკაციან განაცხადს მიღმა გვრჩება ხოლმე. შესაბამისად, ურიგო შევსება არ გვექნება და კვლავაც ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ.

**კობა ხატისაშვილი**

## რაგბი

BTA Silk Road Bank
ქვარციტი QUARTZITE
LOYALCAPITAL group

ინტერვიუ გია ლაბაძესთან

# თუ საჭირო გახდა, შეიძლება, ნაკრებში ისევ ვითამაშო!

**საფრანგეთის მეორე დივიზიონის „ტულონში“ მოთამაშე მესამეხაზელი გია ლაბაძე ერთერთი იმ მორაგბეთაგანია, რომელიც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში კარიერას ასრულებს, თუმცა როგორც ჩვენთან საუბრისას გაირკვა, შესაძლოა ეს გადაწყვეტილება შეცვალოს:**



- ძალიან დავიღალე, ველარ ვუძლებ ამდენ დატვირთვას, დავბერდი, მაგრამ ჩემთვის ძალიან ძნელია ნაკრებიდან წასვლის გადაწყვეტილების მიღება. არ ვიცი როგორ იქნება, ეს ერთი წელი ალბათ ნაკრებში აღარ ვითამაშებ. მერე ვნახოთ, შესაძლოა აზრი შემეცვალოს. გადაჭრით ვერაფერს ვამბობ. თუ მესამე ხაზში ნაკრებს გაუჭირდება ალბათ, ვითამაშებ.

**- თქვენი გუნდი „ტულონი“, მიუხედავად იმისა, რომ მეორე დივიზიონში ასპარეზობს შემადგენლობის მიხედვით საფრანგეთში ერთერთი უძლიერესია. ენდრიუ მერთენსი, ჯორჯ გრეგანი, ვიქტორ მეტფილდი. მათთან გვერდიგვერდ თამაში ალბათ საქმეს აიოლებს.**

- თამაშის გაიოლებაზე ვერაფერს გეტყვით. ესენი უდიდესი მორაგბეები არიან და მათთან ერთად თამაში ენით აუწერელი სიამოვნებაა. ეს სულ სხვა დონეა, სხვა განზომილებაა. ჩვენი პრეზიდენტი მურად ბურჯელალი ამით არ კმაყოფილდება და ამბობს, მომავალი სეზონიდან სამხრეთაფრიკელი **სხალკ ბურხერი** უნდა ჩამოვიყვანოო. გარწმუნებთ, ასეც იქნება. ასეთ გუნდში თამაში ბედნიერებაა.

**- გუნდს მწვრთნელიც სახელოვანი ჰყავს, ზელანდიელი ტანა უმაგა. რატომ გადაწყვიტა მან, რომ თქვენ გუნდის კაპიტანი აღარ უნდა იყოთ?**

- ტანა უმაგა მთავარი მწვრთნელია, შერკინებას კი ცნობილი ფრანგი მორაგბე ჟან-ჟაკ კრენკა ავარჯიშებს. ჩემ კაპიტნობას რაც შეეხება, აქ საქამე მარტივადაა. მე ყველა შეხვედრაში თამაში, ბუნებრივია, არ მომიწევს. იქნება მატჩები სადაც ვუკაპიტნებ გუნდს, იქნება ისეთი თამაშები, სადაც კაპიტანი სხვა იქნება. მოკლედ, ისე იქნება, როგორც მწვრთნელი გადაწყვეტს. თუმცა ჩემზე ეს არავითარ გავლენას ახდენს.

**- რა შეფასება მისცეს თქვენმა თანაგუნდელებმა საქართველოს ნაკრების თამაშს მსოფლიო თასზე?**

- არა მარტო ჩემმა თანაგუნდელებმა, თვით ტანა უმაგამაც და ჩვეულებრივმა, უბრალო გულშემატკივრებმა თბილი სიტყვები არ დაიშურეს ჩვენი ნაკრების მიმართ. შეგვაქეს, კარგად ითამაშეთო. კარგი იქნებოდა, ბარემ ირლანდიაც დაგემარცხებინათ, გქომაგობდითო.

**- 10 ნოემბერს პორტუგალიასთან მატჩში ნაკრებს ძალიან ბევრი მორაგბე დააკლდება...**

- ძალიან ცუდია. სამომავლოდ რაიმე ღონე უნდა ვიხმაროთ, მსგავსი რამ რომ არ განმეორდეს. კლუბებთან ალბათ ცოტა სხვანაირი, უფრო სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცეული ურთიერთობაა საჭირო, თუმცა არც წმინდა ადამიანური დამოკიდებულება უნდა უგულებელვყოთ. მეორე მხრივ, გასაგებიცაა, რატომაც არ უშვებენ ისინი ნაკრებში ქართველებს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა თავთავიანთ გუნდებში წამყვანი მოთამაშეები არიან და ისედაც საკმაოდ დიდი ხნით იყვნენ კლუბებს მოწყვეტილი.

რაც შეეხება პორტუგალიის ნაკრებს, ამ გუნდთან ნებისმიერი შემადგენლობით ყოველთვის რთულია თამაში. მებრძოლი ხასიათის გუნდია. ჩვენი ახალგაზრდა მორაგბეებისთვის გამოცდაც იქნება და გამოცდილების მისაღებად სასარგებლოც.

**- მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების გამოსვლამ ქვეყანაში რაგბისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. ხელისუფლება მორაგბეებს რამოდენიმე სათამაშო და სავარჯიშო მოედნებს დაპირდა. შეიმუშავეს რაგბის განვითარების პროგრამაც.**

- დიახ, მსმენია ამის შესახებ. საფრანგეთის ნაკრებთან თამაშის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი გასახდელში გვეწვია და იქ გამოგვიცხადა სტადიონების მშენებლობასთან მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. რა უნდა ვთქვა, ამას რა ჯობია. თუმცა პროგრამის შექმნაზე უფრო მნიშვნელოვანი მისი განხორციელებაა. თუ დანაპირებს შეასრულებენ, გპირდებით, ქართული რაგბი რამდენიმე საფეხურის გამოტოვებით წაიწევს წინ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**ანონსი**

**საქართველოს ჩემპიონატი**
**VIII ტური, 4 ნოემბერი**

16.00 ლოკომოტივი-დინამო **ვაკე**
16.00 ლელო-არმაზი **შევარდენი**
16.00 ყოჩები-უნივერსიტ. **სინათლე**

## თვის მოვლენები — ოქტომბერი

**6–7. ძიუდო:** ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველომ ოქროს ერთი (**ვალერი ლიპარტელიანი**) და ვერცხლის ორი მედალი (**ზვიად ბაზანდარაშვილი, ლევან მუქერია**) მოიპოვა.

**9. ოლიმპიზმი:** საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომმა პრეზიდენტ **ბადრი პატარკაციშვილს** უფლებამოსილება შეუჩერა.

**9. ჭადრაკი:** ევროპის საკლუბო ჩემპიონატში „ინტერპლასტ-თბილისმა“ მერვე ადგილი დაიკავა.

**13. ფეხბურთი:** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა იტალიასთან სტუმრად 0:2 წააგო.

**17. ფეხბურთი:** საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში შოტლანდიის ნაკრები 2:0 დაამარცხა.

**18. ფეხბურთი:** 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, საქართველოს ნაკრებმა ჰოლანდიასთან 1:2 დათმო.

**21. ფეხბურთი:** 19-წლამდელთა შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა ნორვეგიასთან 0:1 დათმო.

**21. კალათბურთი:** დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი

**23. ფეხბურთი:** საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ **კლაუს ტოპმიოლერს** „კაიზერსლაუტერნის“ კონსულტანტობა შესთავაზეს.

**23. ფეხბურთი:** 19-წლამდელთა შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა ლატვიასთან 0:1 დათმო.

**24. ოლიმპიზმი:** სეოკ-ის სხდომაზე პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად ვიცე-პრეზიდენტი **გოგი თოფაძე** აირჩიეს.

**25–31. კრივი:** მსოფლიო ჩემპიონატზე ჩიკაგოში ჩვენმა მოკრივეებმა ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვება ვერ შეძლეს.

**26: ფეხბურთი, რაგბი:** ეროვნული ნაკრების ბაზაზე მიხეილ სააკაშვილმა ფეხბურთის და რაგბის სახელმწიფო პროგრამები წარადგინა.

**27. ძიუდო:** ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა.

**27: ხელბურთი:** საქართველოს ნაკრებმა სამი მატჩი მოიგო და ჩელენჯ ტროფის ფინალში გავიდა.

**27. რაგბი:** საქართველოს თასის ფინალში, რომელიც ქუთაისში გაიმართა, ყოჩებმა ლოკომოტივი დაამარცხა - 13:6.

**27–28. ფიგურული ციგურაობა:** **ელენე გედევანიშვილმა** „სკეიტ ამერიკაზე“ მეექვსე ადგილი დაიკავა.

**30. კალათბურთი:** „აზოტი“ ფიბა-ს თასზე შინ 77:87 დამარცხდა „ამსტერდამთან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. II ტური

### A ჯგუფი

**ცსკა–მონტეპასკი 74:70**

20:16, 16:15, 24:19, 14:18

**ცსკა:** სმოდიში (16 ქ. 7 მ), პაპალუკასი (12 ქ. 4 მ. 4 პ), შიშკაუსკასი (11 ქ), გორე (11 ქ).

**მონტეპასკი:** კაუკენასი (19 ქ. 6 პ), კ. ლავრინოვიჩი (16 ქ), ტორნტონი (8 ქ).

**ჟალგირისი–პროკომი 82:72**

16:31, 19:11, 21:8, 26:22

**ჟალგირისი:** მაციულისი (17 ქ. 6 მ), მ. პოპოვიჩი (15 ქ. 3 პ), კოლინზი (13 ქ. 5 მ. 3 პ. 2 ჩ), იურაკი (7 ქ. 4 მ).

**პროკომი:** ტ. ბესტი (20 ქ. 5 მ), გუროვიჩი (20 ქ. 5 მ), სლანინა (14 ქ. 3 მ. 3 პ), ვოლკოვისკი (9 ქ).

**ტაუ–ვირტუსი 98:71**

26:19, 23:15, 29:13, 20:24

**ტაუ:** რაკოჩევიჩი (23 ქ. 5 მ), ტელეტოვიჩი (18 ქ. 9 მ), სპლიტერი (14 ქ. 7 მ. 2 პ. 2 ჩ), პრიჯიონი (13 ქ. 5 მ. 2 ჩ), მაკდონალდი (10 ქ).

**ვირტუსი:** ჰოლანდი (27 ქ. 11 მ. 3 ჩ), ჯოვანიონი (13 ქ), კიაჩიგი (8 ქ).

**ოლიმპია–ოლიმპიაკოსი 87:78**

14:21, 23:13, 19:19, 31:25

**ოლიმპია:** ტეილორი (16 ქ. 5 ჩ. 4 მ. 3 პ), მილიჩი (16 ქ. 4 მ), ზუპანი (14 ქ. 4 მ), დრაგიჩი (12 ქ), ჰუკიჩი (10 ქ. 5 მ).

**ოლიმპიაკოსი:** მ. ჯექსონი (20 ქ. 5 მ), მაციაუსკასი (15 ქ), ლ. გრირი (15 ქ), პრინტეზისი (13 ქ).

| | მ/წ | ქ |
|---|---|---|
| 1. ცსკა | 2-0 | 4 |
| 2. მონტეპასკი | 1-1 | 3 |
| 3. ტაუ | 1-1 | 3 |
| 4. ჟალგირისი | 1-1 | 3 |
| 5. ოლიმპიაკოსი | 1-1 | 3 |
| 6. ოლიმპია | 1-1 | 3 |
| 7. ვირტუსი | 1-1 | 3 |
| 8. პროკომი | 0-2 | 2 |

### B ჯგუფი

**ლიეტუვოს რიტასი–მაკაბი 92:74**

22:14, 24:17, 26:22, 20:21

**ლიეტუვოს რიტასი:** იომანტასი (19 ქ. 6 მ. 6 პ. 3 ჩ), ლუკაუსკისი (16 ქ. 4 მ. 4 პ), პრაისი (15 ქ), ბაირამოვიჩი (12 ქ. 7 მ. 2 ჩ), პეტრავიჩუსი (7 ქ. 7 მ).

**მაკაბი:** ბინუმი (14 ქ. 5 პ. 3 ჩ), ვუიჩიჩი (12 ქ. 4 მ), მორისი (9 ქ), ბლუტენტალი (9 ქ), კამინგსი (9 ქ).

**ლე მანი–არისი 66:69**

19:18, 8:21, 22:13, 17:17

**ლე მანი:** ბოგდანოვიჩი (18 ქ. 8 მ. 3 პ), ბატუმი (13 ქ. 5 მ. 2 პ), კლენსი (12 ქ. 7 მ. 2 დ), ლიმონადი (11 ქ. 4 პ).

**არისი:** ტერი (16 ქ. 5 მ. 3 პ), ბ. რაიტი (15 ქ. 3 პ), მოტოლა (11 ქ. 4 მ), მასეი (7 ქ. 7 მ).

**ეფესი–მილანი 80:70**

20:18, 26:10, 23:24, 11:18

**ეფესი:** ნიკოლასი (16 ქ. 7 მ), გრეგორი (13 ქ), ერდოგანი (12 ქ. 3 პ), ჰატსონი (11 ქ. 5 მ), კოუგო (10 ქ. 4 მ).

**არმანი:** ბულერი (18 ქ. 4 პ. 3 მ. 2 ჩ), გეინსი (13 ქ), სესეი (11 ქ. 5 მ. 2 დ), გადსონი (10 ქ), უოტსონი (8 ქ. 11 მ. 2 ჩ).

**უნიკახა–ციბონა 102:64**

21:18, 33:16, 24:14, 24:16

**უნიკახა:** კუსი (23 ქ), გაბრიელი (14 ქ), სანტიაგო (13 ქ. 9 მ. 3 დ), ნდონგი (12 ქ. 7 მ), კაბეზასი (9 ქ. 6 პ. 5 მ), ჰეისლიპი (9 ქ).

**ციბონა:** კელი (14 ქ), აიუსო (13 ქ. 4 მ. 2 პ. 2 ჩ), ანდრიჩი (9 ქ. 6 მ).

| | მ/წ | ქ |
|---|---|---|
| 1. ლიეტუვოს რიტასი | 2:0 | 4 |
| 2. არისი | 2-0 | 4 |
| 3. უნიკახა | 1-1 | 3 |
| 4. ეფესი | 1-1 | 3 |
| 5. მაკაბი | 1-1 | 3 |
| 6. ციბონა | 1-1 | 3 |
| 7. ლე მანი | 0-2 | 2 |
| 8. მილანი | 0-2 | 2 |

### C ჯგუფი

**პანათინაიკოსი–ბამბერგი 66:61**

20:17, 13:12, 21:16, 12:16

**პანათინაიკოსი:** იასიკიავიჩუსი (11 ქ. 2 მ. 2 პ), სპანულისი (9 ქ), დიამანტიდისი (8 ქ. 4 მ. 3 პ), დიკუდისი (8 ქ).

**ბამბერგი:** სუპუტი (16 ქ. 3 მ), ენსმინგერი (11 ქ), ჰამანი (10 ქ. 3 მ. 3 პ), გარეტი (9 ქ. 4 პ. 3 მ).

**რუანი–პარტიზანი 87:88**

23:23, 12:21, 28:26, 24:18

**რუანი:** რაში (29 ქ. 4 მ. 3 პ. 2 ჩ), სელიერსი (20 ქ. 9 მ. 2 ჩ), ჰესი (11 ქ), ნოლანი (9 ქ. 6 მ).

**პარტიზანი:** პეკოვიჩი (23 ქ. 6 მ. 2 ჩ), ტეპიჩი (14 ქ. 2 დ), პალასიო (13 ქ. 6 პ. 3 მ), კეჩმანი (12 ქ), ტრიპკოვიჩი (11 ქ), ვიტკოვაცი (11 ქ).

**ბარსელონა–ფენერბახჩე 82:67**

26:13, 18:23, 15:16, 23:15

**ბარსელონა:** ტრიასი (14 ქ. 5 მ. 4 პ), ლაკოვიჩი (13 ქ. 5 პ. 2 ჩ), გრიმაუ (11 ქ), მარკონატო (10 ქ), ილიასოვა (10 ქ. 4 მ), პ. სანჩესი (6 ქ. 8 მ. 6 პ. 4 ჩ).

**ფენერბახჩე:** სოლომონი (19 ქ. 2 ჩ), ონანი (12 ქ. 5 პ), თურქჯანი (9 ქ. 9 მ. 3 ჩ).

**რეალი–რომა 89:83**

29:17, 16:25, 21:22, 23:19

**რეალი:** ჩ. სმიტი (23 ქ. 5 მ), მუმბრუ (17 ქ. 6 მ. 3 პ), პაპადოპულოსი (11 ქ. 4 მ), ლოპესი (11 ქ. 7 პ. 6 ჩ), ერველი (10 ქ. 9 მ. 2 პ).

**რომა:** ე. ლორბეკი (24 ქ. 6 მ), უკიჩი (19 ქ. 8 პ), სტეფანსონი (14 ქ), ჰოკინსი (9 ქ).

| | მ/წ | ქ |
|---|---|---|
| 1. რეალი | 2-0 | 4 |
| 2. პანათინაიკოსი | 2-0 | 4 |
| 3. პარტიზანი | 2-0 | 4 |
| 4. ბარსელონა | 1-1 | 3 |
| 5. რუანი | 1-1 | 3 |
| 6. ბამბერგი | 0-2 | 2 |
| 7. რომა | 0-2 | 2 |
| 8. ფენერბახჩე | 0-2 | 2 |

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჰიუსტონი საკრამენტოა



მაკგრეიდიმ 45 ქულა დააგროვა

გაუვალი დაცვისა და ათასგვარი სქემების მოყვარული **ჯეფ ვან განდი** რომ გაუშვეს, "ჰიუსტონის" ბოსებმა ხალისისა და ხარისხის დასაბრუნებლად მთავარ მწვრთნელად ერთ დროს "საკრამენტოს" თავკაცი **რიკ ადელმანი** დააყენეს, რომლის სწრაფ კალათბურთს **ტრეისი მაკგრეიდისთვისა** და **იაო მინისთვის** ფრთები უნდა გაეხსნა.

ადელმანის გუნდები ყოველთვის მრავალფეროვნად და დაუღალავად თამაშობდნენ შეტევაში, დაცვა კი უკანა პლანზე იყო გადაწეული. ამის მიზეზი შეიძლება ის იყო, რომ "საკრამენტოში" მას ძლიერი დამცველები არ ჰყავდა, "როკეტსში" კი, **შეინ ბეტიეს**, მაკგრეიდის, **ლუის სკოლას**, იაო მინსა და **მაიკ ჯეიმსს** ერთი-ერთზე დაცვა ხელეწიფებათ.

პირველ მატჩში გასვლაზე "ლეიკერსის" დამარცხებას, ტეხასელებმა კიდევ ერთი თანაკონფერენციელის, კალიფორნიელებზე გაცილებით ძლიერი "ჯაზის" ძლევაც მოახერხეს, ხოლო მაკგრეიდიმ ისე ითამაშა, როგორც თავის დროზე, "მეჯიქში" ყოფნის დროს.

"ჰიუსტონის" ლიდერი თითქოსდა ვერც ამჩნევდა, რომ თავიდან გვერდით **ანდრეი კირილენკო** ედგა. რუსმა თიმაკს რომ ვერაფერი მოუხერხა, **ჯერი სლოუნმა** ტრეისის წინააღმდეგ ორმაგი მეურვეობა სცადა, მაგრამ შედეგი უცვლელი გახლდათ - მაკგრეიდი სტაბილურად იხვეჭდა ქულებს და მისი შემჩერებელი არავინ იყო.

ეს გუნდები შარშანდელ პლეიოფში გადაეყარნენ ერთმანეთს და მიუხედავად იმისა, რომ მაკგრეიდის გუნდმა სერიის პირველი ორი მატჩი მოიგო, საბოლოო გამარჯვება მაინც "ჯაზს" დარჩა, ტრეისის კი გულში ხინჯად კიდევ ერთი მოუგებელი საპლეიოფო სერია ჩარჩა.

მაკგრეიდის კარიერაში ეს 42-ე მატჩი იყო, როცა ამ არაჩვეულებრივმა მოთამაშემ 40 და მეტი ქულა მოიმკო. საბოლოოდ, მან თამაშიდან 27 სროლიდან მხოლოდ 10 გააფუჭა და 14 საჯარიმოს შესრულებისას, ოდენ სამჯერ ვერ ივარგა. მოკლედ, ეს ამ ნიჭით დახუნძლული უნივერსალის ბენეფისი იყო.

*"მაკგრეიდი კობი ბრაიანტთან და ლებრონ ჯეიმსთან ერთად, ყველაზე რთულად გასაჩერებელი მოთამაშეა. მისი შეტევითი არსენალი მრავალფეროვანია და ტრეისი გამოცდილების ხარჯზეც ახერხებს ოპონენტის წინააღმდეგ უპირატესობის მოპოვებას. ჩვენი დაცვა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, თუმცა შეტევაში ოდნავ ნაკლები შეცდომა რომ დაგვეშვა, იქნებ არც წაგვეგო"*, - მიაჩნია ჯერი სლოუნს, რომლის გუნდმაც 14 შორეული სროლიდან 11 ვერ გამოიყენა. "იუტამ" 20 შეცდომა დაუშვა, რაც "ჰიუსტონმა" 28 ქულაში გარდასახა.

პირველ მატჩთან შედარებით მეტად აქტიური და თავისთავად, უფრო შედეგიანი იყო სკოლაც. თუ "ლეიკერსთან" არგენტინელს თამაშიდან ერთხელაც არ უსვრია ბურთი, ამჯერად ლუისმა 28 წუთში 7 ქულა, 9 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი გააკეთა, ნამატჩევს კი ადელმანისგან კომპლიმენტი მიიღო, ძალიან ჭკვიანი და საჭირო კაცი დაგვიმატებიაო. მაშინ, როდესაც **კარლოს ბუზერმა იაო მინს** სამნამიანში გადაუარა, ადელმანმა მის დასამუხრუჭებლად მოედანზე ლუისი შეაგდო და ამ უკანასკნელმაც ცოტათი დაამშვიდა გამგელებული კარლოსი, რომელმაც სკოლას მეურვეობისას მხოლოდ 8 ქულა გააკეთა.

■ ■ ■

ქალაქ სიეტლში **კევინ დიურანის** დებიუტი შედგა. "სონიქსის" რეკლამირებულმა ახალბედამ პირველ მატჩთან შედარებით ბურთი უკეთ კი ისროლა, მაგრამ მისი გუნდი ამჯერადაც დამარცხდა.

დიურანი **კარმელო ენტონის** ასლია. ისევე, როგორც "დენვერის" მოთამაშე თავის სადებიუტო სეზონში, დიურანიც ბევრს, არაზუსტად და მოუმზადებლადაც ისვრის. ცხადია, ეს მის პროცენტულ მაჩვენებლს აფუჭებს, თუმცა დღევანდელ "სონიქსს" ნულოვანი საპლეიოფო პერსპექტივა აქვს და მთავარი მწვრთნელი **პი. ჯეი. კარლესიმოც** კევინს სროლაზე მწვანე შუქს უნთებს.

*"დიურანი განსაკუთრებული მოთამაშეა, რომელსაც საკუთარი თავი დროზე უნდა ვაპოვნინოთ. მას საშუალოდ 20 და მეტი ქულის გაკეთება თავისუფლად შეუძლია, თუმცა საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ერთად უნდა ვიმუშაოთ მისი თამაშისა და სასროლო სელექციის სრულყოფაზე"*, - ამბობს კარლესიმო, რომლის გუნდმაც აღნიშნული მატჩის სამი მეოთხედი მრისხანე "ფინიქსზე" უკეთ ჩაატარა, მერე კი რის ვაივაგლახით მოპოვებული უპირატესობა გაფლანგა.

93:96-ზე, დიურანმა გარბენი გააკეთა, რასაც **სტივ ნეშის** ზუსტი შესვლა მოჰყვა. შემდეგ შეტევაში კევინი თავდასხმაში დაჯარიმდა და "სანზის" იერიში შორეული სამიანით კვლავ ნეშმა დაასრულა, რასაც კევინმა კიდევ ერთი არაზუსტი სროლა მიაყოლა.

*"ბოლოში ავურიე, თორემ მანამდე თამაში ნორმალურად მიმდიოდა. ვაფასებ იმას, რომ მთელი გუნდი ჩემზე მუშაობს. ბიჭები ცდილობენ, რაც შეიძლება კარგ სასროლს პოზიციაზე გამიყვანონ, თუმცა სიზუსტე მაკლია. არადა, დღეს "ფინიქსს" ჩვენზე უკეთ ნამდვილად არ უთამაშია. უბრალოდ, ჩემი შეცდომებით დავთმეთ შეხვედრა"*, - ამბობდა ნამატჩევს კევინი, რომელმაც 23 "ცოცხალი" სროლიდან 11 გამოიყენა.

■ ■ ■

"მაიამისთან" მატჩში "დეტროიტს" არ ჰყოლია **რიჩარდ ჰამილტონი** (ოჯახური პრობლემების გამო), მაგრამ მიჩიგანელებმა მაინც იოლად მოუგეს **დუეინ უეიდის** გარეშე მოთამაშე მასპინძელს.

აღნიშნულმა მატჩმა ერთხელაც გაუსვა ხაზი ფლორიდელთა ლიდერისა და კაპიტნის, **შაკილ ონილის** დაუძლურებას, რომელმაც "პისტონზის" დაცვას პირველ ორ მეოთხედში ერთი ქულაც კი ვერ დასტყუა. შაკმა საბოლოოდ, მატჩი სულ რაღაც 6 სროლითა და 9 ქულით დაასრულა, მეტოქის რიგებში კი შეუდარებელი გახლდათ **ტაიშონ პრინსი**.

ამ მშრომელმა ბიჭმა 34 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა და 12 მოხსნით პირადი მიღწევაც გაიმეორა. პრინსი იოლად აღწევდა თავს "მაიამის" ნებისმიერ დაცვით სქემას და პერსონალური მეურვეობის დროსაც უპრობლემოდ ზრდიდა პირად და გუნდურ მონაგარს.

"დეტროიტი" მეთოდურად უტევდა, ხოლო "მაიამის" იერიშებში კი ბევრი იყო ქაოსი. "მინესოტიდან" აყვანილი **რიკი დევისი** შეტევაში კარგად კი ირჯებოდა, მაგრამ დაცვაში ბევრი შეცდომა დაუშვა, რის თქმაც "ჰიტის" კიდევ ერთ სასტარტო უკანახაზელზე, **ჯეისონ უილიამსზეც** შეიძლება, თუმცა ეს უკანასკნელი ძლიერ დამცველად არასოდეს ითვლებოდა. პრინსმა დევისი სიმაღლისა და ჯანის ხარჯზე დაჯაბნა, ხოლო თუ რაილი მასზე **ადონის ჰასლემს** გეშავდა, ტაიშონი ფლორიდელთა მძიმე ფორვარდს სისწრაფით უგებდა.

*"დღეს რიპი (ჰამილტონი) არ გვყავდა და ვალდებული ვიყავი, უფრო აქტიურად, აგრესიულად მეთამაშა. "მაიამის" კიდევ არაერთხელ შევხვდებით და შეიძლება ამდენი ქულა ველარ დავაგროვო, მაგრამ საკუთარი გამოსვლით ამჯერად მართლაც კმაყოფილი ვარ. რაც მთავარია, ჩვენმა დაცვამ იდეალურად აიყვანა შაკი"*, - ასეთი იყო ტაიშონის კომენტარი.

"მაიამიმ" 17 შეცდომა დაუშვა და შარშანდელი რეგულარულის ჩათვლით, **პატ რაილის** გუნდმა ზედიზედ მეშვიდე მატჩი დათმო.

**ზურაბ თალაკვაძე**

**სიეტლი–ფინიქსი 99:106**

26:27, 32:28, 24:24, 17:27

**სიეტლი:** დიურანი (27 ქ. 5 მ), უილკოქსი (23 ქ. 11 მ. 3 ჩ), უილკინსი (12 ქ. 8 მ. 4 პ. 2 ჩ), უოტსონი (7 ქ. 8 პ. 6 მ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (23 ქ. 11 მ), ნეში (18 ქ. 12 პ. 7 მ), მერიონი (14 ქ. 11 მ. 2 ჩ), გ. ჰილი (13 ქ. 6 მ. 5 პ), ბენქსი (12 ქ).

**მაიამი–დეტროიტი 80:91**

22:26, 20:22, 20:18, 18:25

**მაიამი:** რ. დევისი (23 ქ), ჰასლემი (14 ქ. 11 მ), ჯეისონ უილიამსი (11 ქ. 9 პ. 7 მ), შ. ონილი (9 ქ. 7 მ. 2 პ).

**დეტროიტი:** პრინსი (34 ქ. 12 მ), ბილაპსი (19 ქ. 11 პ. 4 მ. 2 ჩ), რ. უოლასი (11 ქ. 8 მ. 2 ჩ. 2 დ), ჯ. ჰეიესი (10 ქ. 5 მ).

**იუტა–ჰიუსტონი 95:106**

29:24, 20:33, 17:21, 29:28

**იუტა:** ბუზერი (30 ქ. 16 მ. 3 პ), დ. უილიამსი (18 ქ. 13 პ), ოქური (16 ქ. 10 მ. 2 ჩ), ბრიუერი (13 ქ. 3 ჩ).

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (47 ქ. 4 მ. 4 პ), მ. ჯეიმსი (15 ქ. 7 პ. 2 ჩ), მინი (11 ქ. 7 მ. 5 დ), ჩ. ჰეიესი (2 ქ. 13 მ).

დიდი გაცვლის მოლოდინში

# კობის დენგის ბულზი მოუნდა

მართალია, რეგულარული დაიწყო და გუნდებმაც ასე თუ ისე, საბოლოო სახე მიიღეს, მაგრამ არის ერთი კლუბი, რომლის ერთადერთ მეგავარსკვლავს მოსვენებას არ აძლევს საკუთარი გუნდის უსუსურობა და ისიც, რომ სხვაგან მეტი ჰარმონია და სიდიადე სუფევს. პირველ სათამაშო დღეს 43 წუთში 45 ქულის დაგროვების მიუხედავად, **კობი ბრაიანტი** "ლეიკერსში" გამჩერებელი არ არის. კობის კომენტარი "ჰიუსტონთან" 93:95 წაგებული შეხვედრის შემდეგ: *"ჩვენ არ ვიცით, რა გვსურს. მე კი ვიცი, რომ საჩემპიონო გუნდში თამაში მინდა. ფანებმა წარდგენისას მისტვინეს, მერე ყოველი ქულის დაგროვებისას ტაში დამიკრეს, მაგრამ ამას როგორმე მოევლება. მთავარია, იმ ხალხმა, ვისაც გუნდის დაკომპლექტება ევალება, სწორი გადაწყვეტილებები მიიღონ. მეტს არაფერს ვიტყვი, მოვითმენ და შედეგს დაველოდები."*

იმ მატჩის შემდეგ, მოვლენები ელვისებურად განვითარდა. "ლეიკერსის" ლიდერს **ფილ ჯექსონი** დაუკავშირდა და მის "ჩიკაგოში" შესაძლო ტრანსფერზე ესაუბრა.

რეგულარულის პირველივე დღეს, "ჩიკაგო ბულზისგან" შემდეგი წინადადება წამოვიდა - "ლეიკერსი" "ხარებს" კობისა და ცენტრ **კრის მიმს** აძლევს, ხოლო ილინოისიდან კალიფორნიაში კი **ბენ უოლასი, ლუოლ დენგი** და **ტაირუს ტომასი** მიდიან.

კობის პასუხი მოკლე და კონკრეტული იყო - "ბულზში" დიდი სიამოვნებით გადავალ, ოღონდ "ჩიკაგომ" დენგი უნდა შეინარჩუნოსო.

*"კობისგან სულ სხვა პასუხს ველოდი. მეგონა, ბრაიანტი "ლეიკერსში" დარჩენაზე დამთანმხდებოდა, მაგრამ კობიმ ეგრევე ხაზი გაუსვა იმას, რომ "ბულზი" მისაღები ვარიანტი იქნებოდა. უბრალოდ, მას არ სურს, რომ ლუოლის გარეშე დარჩენილ "ჩიკაგოში" მივიდეს"*, - განაცხადა ფილ ჯექსონმა.

კომენტარის გაკეთება სთხოვეს დენგსაც, რომელმაც მოკლედ უპასუხა ჟურნალისტს - თუ კობის ჩემთან ერთად თამაში სურს, ეს ჩემთვის დიდი პატივიაო.

მეორე დღეს, "ბულზის" თავკაცმა **სკოტ სქაილზმა** პრესკონფერენცია მოაწყო და განაცხადა - დენგი ჩემი გუნდის მომავალია და სავარაუდო წამსვლელთა სიიდან ახლავე შეგიძლიათ ამოშალოთ, სხვა მხრივ კი, კობის საკითხს კომენტარს ვერ გავუკეთებო.

აი, ასეთი ჩახლართული სიტუაციაა, ჩვენ კი მცირე დასკვნებს გავაკეთებთ - ბრაიანტი იანვრამდე არსადაც არ გადავა, მერე კი "ლეიკერსი" და "ბულზი" მოლაპარაკებას წარმატებით დაასრულებენ და "ლეიკერსში" **ბენ გორდონი**, ბენ უოლასი და **ტაირუს ტომასი** გადავლენ, ილინოისში კი კარიერას კობი და კრის მიმი გააგრძელებენ. ორივე მხარე მოგებაში უნდა დარჩეს.

**ზურაბ თალაკვაძე**




კობის ლეიკერსში დარჩენას თხოვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალონსო (მარჯვნივ) და რონ დენისი (მარცხნივ) დაშორდნენ

ფორმულა 1. გაყრა

# ფერნანდო ალონსო მაკლარენს ტოვებს

"მაკლარენში" გატარებული ერთი სეზონის შემდეგ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი **ფერნანდო ალონსო** ამ გუნდს ტოვებს. პილოტსა და გუნდის ხელმძღვანელობას შორის მიღწეულია შეთანხმება, რომელიც პირველს სხვა გუნდში გადასვლის ნებას აძლევს.

პირველმა ეს ინფორმაცია ალონსოს მენეჯერმა გაავრცელა, შემდეგ კი ის "მაკლარენმაც" ოფიციალურად დაადასტურა. *"ჩვენი შეხვედრის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ორივე მხარისთვის უმჯობესი იქნება, თუ კონტრაქტს დავარღვევთ"*, - ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ 26 წლის ალონსომ "მაკლარენთან" კონტრაქტი ორი წლის წინათ გააფორმა, "რენო" კი შარშანდელი სეზონის ბოლოს დატოვა. მაგრამ ინგლისურ გუნდში გატარებული ერთადერთი სეზონის შემდეგ, ისევ გუნდის შეცვლაზე ზრუნვა უწევს. მისი განცხადებით, ამის მიზეზი ისაა, რომ "მაკლარენში" მისი ახალბედა თანაგუნდელის, ბრიტანელი **ლუის ჰემილტონის** სასარგებლოდ, ფავორიტიზმს აქვს ადგილი. მას "მაკლარენთან" კონტრაქტი კიდევ ორი სეზონით აკავშირებდა, მაგრამ სწორედ ამ ფავორიტიზმის გამო, სხვა გუნდში გადასვლა უწევს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელ გუნდში გადავა ალონსო. მისი გადაბირება ორის გარდა, ყველა გუნდს სურს. ეს ორი "ფერარი" და "ბეემვე ზაუბერია", რომლებმაც თავიანთ პილოტებთან კონტრაქტები უკვე გააგრძელეს. ალონსოს გადაბირების მოსურნეთა შორის ყველაზე აქტიური "რენოა", რომელთან ერთადაც ესპანელი ჩემპიონი ორჯერ გახდა.

*"ჯერ კიდევ ბავშვობიდან მინდოდა "მაკლარენის" ბოლიდით რბოლა. ორი წლის წინათ ეს ოცნება ავისრულე, მაგრამ ხანდახან ისეც ხდება, რომ პრიორიტეტები იცვლება. ახლაც, როცა ამ გუნდის დატოვება მიწევს, მიმაჩნია, რომ "მაკლარენი" დიდი გუნდია. რა თქმა უნდა, გუნდს გასულ სეზონში აღმასვლაც ჰქონდა და დაღმასვლაც. საერთო ჯამში, კარგად გამოვედით, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ამ გუნდში თავი კომფორტულად არასოდეს მიგრძვნია. იყო ლაპარაკი ფავორიტიზმზე, მაგრამ იმასაც ვაღიარებ, რომ სეზონის ბოლოს, როცა ჩემპიონის ვინაობა უნდა გარკვეულიყო, ორივე პილოტს თანაბარი ტექნიკით გამოსვლის საშუალება გვეძლეოდა. ჩვენი დაშორების გადაწყვეტილება კი ორივე მხარეს ტვირთს მოგვიხსნის და მომდევნო სეზონისთვის უკეთესად მომზადების საშუალებას მოგვცემს"*, - ამბობს ალონსო, ვინც გასული სეზონი მესამე ადგილზე დაასრულა. არადა, მან და ჰემილტონმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს და ჩემპიონს, "ფერარის" ფინელ **კიმი რაიკონენეს** თითო ქულით ჩამორჩნენ.

"მაკლარენმა" ალონსოსთან მიღწეული შეთანხმების დეტალები არ დააზუსტა, თუმცა განაცხადა, რომ ესპანელის გაშვება სეზონის დასრულებისთანავე გადაწყდა. გუნდის შეფი **რონ დენისი** ამბობს, რომ ალონსოსთან კონტრაქტის დარღვევის შესახებ მოლაპარაკების დაწყება ადრეც შეიძლებოდა, თუმცა სეზონის დასრულებამდე ეს არასასურველი იყო. მანვე ალონსოს წარმატებები უსურვა.

*"ალონსო დიდი ავტომრბოლია, მაგრამ ახლა ის მომენტი დაგვიდგა, როცა ჩვენი ერთად ყოფნა არ გამოვა, რადგან ასე წინ ვერ წავალთ, ეს კი ჩვენს სურვილებს ეწინააღმდეგება"*, - განაცხადა დენისმა.

ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ გაუწევს მომდევნო სეზონში პარტნიორობას ჰემილტონს, ვინც ფორმულა ერთის პირველი შავკანიანი პილოტია, ვინც ალონსოს მსგავსად, გასულ სეზონში ოთხი გამარჯვება მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ ალონსოს წასვლის მთავარი მიზეზი ის ასმილიონდოლარიანი ჯარიმაა, რომლის გადახდაც "მაკლარენს" შპიონაჟის სკანდალის გამო უწევს. ამ სკანდალის გამოძიებაში გადამწყვეტი როლი სლონსოს ჩვენებამ ითამაშა, რომელმაც გამოძიებას იმის მტკიცებულება წარუდგინა, რომ "მაკლარენი" "ფერარისგან" უკანონოდ მოპოვებულ ინფორმაციას იყენებდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

კალათბურთი

## ვარეჟაო კლივლენდში დარჩება

ბრაზილიელმა ცენტრმა **ანდერსონ ვარეჟაომ**, უახლოეს დღეებში შესაძლოა ახალი კონტრაქტი გააფორმოს "კლივლენდ კავალიერზთან". ეს უკანასკნელი **სედრიკ სიმონსისა** და **დუეინ ჯონსის** ტრავმების გამო, პრაქტიკულად, მაღალი კალათბურთელების გარეშე დარჩა.

როგორც ცნობილია, ამ ზაფხულს "კლივლენდი" ახალი კონტრაქტის პირობებზე ვერ მოურიგდა ვარეჟაოსა და **საშა პავლოვიჩს**. სერბმა ორი დღის წინათ გააგრძელა კონტრაქტი "კავალიერზთან" და ახლა ჯერი ბრაზილიელ კალათბურთელზეა.

## დე ლა ფუენტე იტალიაში წავიდა

"ბარსელონას" ფორვარდი **როდრიგო დე ლა ფუენტე** იტალიის "ბენეტონში" გადავიდა. ჯერჯერობით, არ სახელდება კონტრაქტის ხანგრძლივობა და პირობები.

აღსანიშნავია, რომ 31 წლის კალათბურთელს მთელი კარიერა კატალონურ კლუბში აქვს გატარებული, შარშან კი, "ბარსელონას" კაპიტნადაც აირჩიეს.

მოტო თხილამურები

## როკა წასვლას აპირებს

გაურკვეველი რჩება ცნობილი იტალიელი მოთხილამურის, **ჯორჯო როკას** ბედი. მან ამა წლის თებერვალში მუხლის ოპერაცია გაიკეთა და დღემდე არ არის დარწმუნებული, შეძლებს თუ არა ახალ სეზონში მსოფლიო თასის ეტაპებზე გამოსვლას.

32 წლის როკამ გამოაცხადა, რომ პირველად სპორტიდან წასვლის შესახებ გასულ სეზონში ჩაფიქრდა, როცა მსოფლიო თასზე გამოსვლა დასანანი ტრავმის გამო შეწყვიტა.

# TV სპორტი

### 3 ნოემბერი. შაბათი

**იმედი**

13:00 იმედის ფსონი.

**I არხი**

23:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

11:40 საფეხბურთო კლუბი.
12:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:20 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
14:50 რუსეთის ჩემპიონატი. ზენიტი-მოსკოვი (LIVE).
16:50 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ჩელსი (LIVE).
20:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:10 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-ლივერპული (LIVE).
23:10 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-პორტსმუთი.
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რეალი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:20 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-ბელენენსეში.
10:03 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:16 სპორტდოსიე. ავსტრალიური ფეხბურთი.
10:45 რეტრო-ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. 1980 წელი. ინგლისი-არგენტინა.
12:30 ცურვა. მსოფლიო თასი. ფინალები. სიდნეი. ავსტრალია (LIVE).
14:31 სპორტის სამყარო.
15:00 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
15:30 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
16:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-პორტსმუთი (LIVE).
21:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-ლივერპული (LIVE).
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ტორინო (LIVE).
01:25 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გრემიო-ფიგუერენსე (LIVE).
03:08 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-პიტსბურგი (LIVE).
05:45 სპორტდოსიე. ავსტრალიური ფეხბურთი.
06:14 რეტრო-ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. 1980 წელი. ინგლისი-არგენტინა.

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი.
12:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
12:30 ბატუტზე ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა.
14:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
15:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვალენსიას გრან პრი. კვალიფიკაცია (LIVE).
19:00 ბატუტზე ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი.
20:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. იაპონია-სენეგალი. ბრაზილია (LIVE).
21:00 მულტისპორტი.
22:00 სნუკერი.
23:00 ფიგურული სრიალი. საჩვენებელი გამოსვლები. ინგლოშტადტი. გერმანია (LIVE).
01:00 ბატუტზე ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა (LIVE).
02:00 რესტლინგი.
03:30 ბრძოლა წესების გარეშე. მსოფლიო გრან-პრი. ფინალი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. 1/2 ფინალი. ტაილანდი (LIVE).
15:00 ახალი ამბები.
15:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-არგენტინა. ბრაზილია (LIVE).
16:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
17:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-იტალია. ბრაზილია (LIVE).
18:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. უნგრეთის გრან-პრი.
19:00 მულტისპორტი.
19:30 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. II ტური (LIVE).
21:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. საემიროები-საფრანგეთი. ბრაზილია.
22:00 ტიმბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. გერმანია.
22:30 ახალი ამბები.
23:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვალენსიას გრან პრი. კვალიფიკაცია.
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. II ტური (LIVE).
02:00 ახალი ამბები.
02:15 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. საემიროები-საფრანგეთი. ბრაზილია.
03:15 ახალი ამბები.

### 4 ნოემბერი. კვირა

**I არხი**

15:15 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. თსუ-თბილამიამშენი (LIVE).

**რუსთავი 2**

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

11:15 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნაიტედი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:05 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რეალი.
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:10 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-არმინია.
17:55 რუსეთის ჩემპიონატი. პიტერნიანი-ჰართსი (LIVE).
19:55 გერმანიის ჩემპიონატი. კარლსრუე-დუისბურგი (LIVE).
22:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-მეცი.
23:45 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ბოლტონი.
01:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:45 არგენტინის ჩემპიონატი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. MLS. აშშ-ის ჩემპიონატი.
09:49 სპორტდოსიე. სკეიტინგი.
10:17 ფეხბურთი. Barca TV.
10:26 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
12:13 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
12:42 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი.
14:29 ფეხბურთი. Barca TV.
14:39 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
15:06 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-პიტსბურგი.
17:25 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ბოლტონი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ბეტისი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-რეკრეატივო (LIVE).
01:47 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.
02:16 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-პიტსბურგი.
04:06 სპორტდოსიე. სკეიტინგი.
04:06 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
06:17 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი.

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი.
12:45 ბატუტზე ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა.
13:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვალენსიას გრან პრი (LIVE).
13:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთის გრან პრი. 125 cc. (LIVE).
15:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთის გრან პრი. 250 cc. (LIVE).
16:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთის გრან პრი. მოტოგრან-პრი (LIVE).
18:15 მძლეოსნობა. ნიუ იორკის მარათონი (LIVE).
21:00 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ბელფასტი (LIVE).
22:00 ფიგურული სრიალი. საჩვენებელი გამოსვლები. ინგლოშტადტი. გერმანია.
23:15 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
23:30 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ბელფასტი (LIVE).
02:30 პროფესიული კრივი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მძიმე წონა. კ. ამრანე (საფრანგეთი)-ს. დეტინგერი (საფრანგეთი).
03:45 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. ტაილანდი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. საემიროები-საფრანგეთი. ბრაზილია.
14:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. ტაილანდი (LIVE).
15:00 ახალი ამბები.
16:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. ტაილანდი.
17:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-მექსიკა. ბრაზილია (LIVE).
18:00 ტიმბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. გერმანია.
18:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-სოლომონის კუნძულები. ბრაზილია (LIVE).
19:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთის გრან პრი. მოტოგრან-პრი (LIVE).
20:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. აშშ-ირანი. ბრაზილია (LIVE).
21:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. II ტური (LIVE).
22:30 ახალი ამბები.
23:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
00:30 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. II ტური.
01:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-მექსიკა. ბრაზილია.
02:00 ახალი ამბები.
02:15 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-მექსიკა. ბრაზილია.
03:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| სუონსი-ჯილინგემი | 1:1 |
| **II ლიგა** | |
| ლინკოლნი-ჩესტერი | 0:1 |
| **კონფერენსი** | |
| უეიმაუთი-ალდერშოტი | 0:2 |
| **გერმანია** | |
| კოტბუსი-შალკე | 1:0 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აუე-ალემანია | 2:1 |
| ჰოფენჰაიმი-სტ. პაული | 1:1 |
| ოფენბახი-ფიურტი | 1:2 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ელვერსბერგი-მიუნხენი II | 2:0 |
| ინგოლშტადტი-როიტლინგენი | 2:0 |
| ზიგენი-ოგერშაიმი | 4:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბრესტი-სედანი | 1:1 |
| შატორუ-ანჟერსი | 2:2 |
| გრენობლი-დიჟონი | 2:0 |
| ბესიონი-ტრუა | 1:1 |
| ლიბურნი-ბულონი | 2:2 |
| რეიმსი-ამიენი | 0:0 |
| ნანტი-აიაჩო | 2:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| გრატკორნი-ბად ოსი | 4:1 |
| კერნტენი-ლუსტენაუ | 4:1 |
| ლეობენი-შვანენშტადტი | 1:0 |
| ზალცბურგი II-კაპფენბერგი | 0:2 |
| **თურქეთი** | |
| ტრაბზონი-ანკარა | 2:1 |
| **ჰოლანდია** | |
| ველემი-ვენლო | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-აპელდოორნი | 0:1 |
| ემენი-ჰაარლემი | 3:0 |
| დორდრეხტი-მაასტრიხტი | 1:2 |
| ეინდჰოვენი II-ჰელმონდი | 3:0 |
| ომნივორლდი-ცვოლე | 1:3 |
| იგლზი-ფორტუნა | 2:1 |
| ტელსტარი-ვოლენდამი | 2:3 |
| **ბელგია** | |
| მუსკრონი-სტანდარდი | 0:0 |
| **პორტუგალია** | |
| პორტუ-ბელენენსეში | 1:1 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-ლონგფორდი | 0:0 |
| დერი-შემროკი | 1:1 |
| დროგედა-ბრეი | 1:1 |
| დუბლინი-სტ. პატსი | 0:3 |
| უოტერფორდი-გალვეი | 0:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| შენეცი-ტრენჩინი | 3:0 |
| **უკრაინა** | |
| კარპატი-დნიპრო | 0:1 |
| **პოლონეთი** | |
| გურნიკი-ბელხატოვი | 2:0 |
| **უნგრეთი** | |
| ვაშაში-ჰონვედი | 0:2 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-შალონი | 95:89 |
| ნანსი-პო ორტეზი | 86:73 |
| ჰსკ-სტრასბური | 78:74 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **რუსეთი** | |
| ს. იულაევი-ამური | 0:0 |
| ლადა-ვიტიაზი | 2:4 |
| სევერსტალი-მვდ | 3:5 |
| აკ ბარსი-ავანგარდი | 1:2 |
| ლოკომოტივი-დინამო | 4:1 |
| ნეფტეხიმიკი-სპარტაკი | 2:2 |
| სკა-მეტალურგი (ნ) | 1:0 |
| ტორპედო-ტრაქტორი | 5:0 |
| ხიმიკი-სიბირი | 1:2 |
| ცსკა-მეტალურგი (მ) | 2:2 |
| **გერმანია** | |
| ჰამბურგი-კიოლნი | 2:4 |
| ჰანოვერი-იზერლონი | 3:4 |
| დუისბურგი-აისბარენი | 1:4 |
| დიუსელდორფი-კრეფელდი | 4:6 |
| მანჰაიმი-აუგსბურგი | 3:1 |
| ნიურნბერგი-შტრაუბინგი | 5:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-სლოვანი | 1:4 |
| კოშიცე-ტრენჩინი | 1:4 |
| მარტინი-კეჟმაროკი | 5:2 |
| მიკულაში-ნიტრა | 4:5 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-კაპა | 2:4 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-სლავია | 4:0 |
| ზნოიმო-პლზენი | 4:2 |
| კლადნო-ვიტკოვიცე | 5:1 |
| ლიტვინოვი-ზლინი | 4:2 |
| ბუდეიოვიცე-სლოვანი | 4:1 |
| პარდუბიცე-სპარტა | 3:2 |
| **შვეიცარია** | |
| ბაზელი-ლანგნაუ | 3:8 |
| ლუგანო-ამბრი | 3:0 |
| რაპერსვილი-დავოსი | 2:1 |
| ცუგი-ციურიხი | 3:2 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. პარიზი** | |
| ბაგდატისი-რობრედო | 6:4, 6:4 |
| ნალბანდიანი-ფერერი | 7:6, 6:7, 6:2 |
| ნადალი-იუჟნი | 6:4, 6:2 |
| მარეი-გასკე | 3:6, 6:0, 4:6 |
| **WTA. კვებეკი** | |
| ვაკულენკო-გოვორცოვა | 6:3, 6:2 |
| ზვონარევა-პუტჩკოვა | 6:2, 6:1 |
| კინგი-დიტი | 4:6, 6:3, 4:6 |

## სხვადასხვა

ჰოკეი

### სტრაკა მომავალ კვირას დაბრუნდება

უახლოეს დღეებში "ნიუ იორკ რეინჯერსის" რიგებს შეუერთდება ჩეხი ფორვარდი **მარტინ სტრაკა**. ამ ჰოკეისტმა 20 ოქტომბერს თითი მოიტეხა და ექიმების ვარაუდით, ოთხი კვირა ვერ შეძლებდა თამაშს, მაგრამ სარეაბილიტაციო კურსი გაცილებით ხანმოკლე აღმოჩნდა და სტრაკა ორშაბათს განაახლებს ვარჯიშს.

თითის ტრავმამდე, 35 წლის ჰოკეისტმა წლევანდელ რეგულარულში 7 მატჩის გამართვა და 3 ქულის (1 გოლი+2 პასი) დაგროვება მოასწრო.

### ფილადელფიამ მცველი დაკარგა

დაახლოებით ოთხი კვირის გამოტოვება მოუწევს "ფილადელფია ფლაიერზის" ვეტერან მცველს **დერიან ჰეთჩერს**. უახლოეს დღეებში მას მარჯვენა მუხლზე ოპერაცია ჩაუტარდება.

*"სიმართლე გითხრათ, ეს ტრავმა უკვე 10 წელია მაწუხებს. მსგავსი პრობლემა არაერთხელ მქონია და ვიცი, რომ ამჯერადაც დაახლოებით ოთხი-ხუთი კვირის გამოტოვება მომიწევს"*, - აცხადებს 35 წლის მცველი, რომელმაც წელს, 9 მატჩში ორი შედეგიანი პასი გააკეთა.

### ტოკეტს დისკვალიფიკაცია გაუგრძელეს

ჰოკეის ეროვნული ლიგის კომისარმა **გერი ბეტმენმა** თებერვლამდე გაუგრძელა დისკვალიფიკაციის ვადა NHL-ის ყოფილ ვარსკვლავ **რიკ ტოკეტს**. შეგახსენებთ, რომ 2006 წლის თებერვალში, "ფინიქსის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტობისას, ტოკეტი იატაკქვეშა ტოტალიზატორთან თანამშრომლობაში ამხილეს და პირობითი ორწლიანი პატიმრობაც მიუსაჯეს, ხოლო ლიგამ ის დისკვალიფიკაციით დასაჯა.

*"ჩვენს ლიგაში მუშაობა უდიდესი პატივია და არავის აქვს უფლება NHL-ის იმიჯს ზიანი მიაყენოს. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ ტოკეტისთვის ორწლიანი სასჯელი შესაფერისი იქნებოდა"*, - განაცხადა ბეტმენმა.

### ბელფურის შვედური დებიუტი

ლეგენდარულ კანადელ მეკარე **ედ ბელფურს** დებიუტი ჰქონდა შვედეთის მეორე ლიგაში. როგორც ცნობილია, ამ ზაფხულს 42 წლის გოლკიპერმა NHL-ის ვერცერთ კლუბთან ვერ შეძლო კონტრაქტის დადება და კარიერის შვედეთში გასაგრძელებლად გაემგზავრა. იქ ბელფურმა ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა "ლეკსანდთან".

გუშინ, კანადელმა ახალ კლუბში პირველი მატჩი ჩაატარა და "სუნდსვალდის" წინაალმდეგ 17-დან 16 დარტყმა მოიგერია, "ლეკსანდმა" კი, 4:1 გაიმარჯვა. საინტერესოა, რომ ბელფურმა ერთადერთი შაიბა პირველივე დარტყმის შემდეგ გაუშვა.

ფრენბურთი

### ბერძნებმა რეკორდი დაამყარეს

საბერძნეთის ჩემპიონატის მე-8 ტურში, პროფესიული კლუბებისა და ეროვნული ნაკრებების მატჩებისთვის სეტის ხანგრძლივობის მსოფლიო რეკორდი დამყარდა. აეკ-ისა და პაოკ-ის შეხვედრის მეორე პარტია ზუსტად 57 (!) წუთი გაგრძელდა და ის 54:52 დასრულდა პაოკ-ის სასარგებლოდ.

## ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ბაფალო 4:3 (ო)**

2:1, 1:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 მეტროპოლიტი-2 (სავარი-10, შეფერი-5), 2:0 კესელი-6 (შტურმი-3), 2:1 აფინოგენოვი-3 (ვანეკი-6, გოსტადი-2), 2:2 ბ. კემპბელი-2 (კოტალიკი-4, შპაჩეკი-3), 3:2 სავარი-2 (გ. მიურეი-4, ა. უორდი-2), 3:3 გოსტადი-4 (შპაჩეკი-4, კოტალიკი-5), 4:3 შტურმი-5 (ა. უორდი-3, მეტროპოლიტი-2).

**აილენდერსი-ტამპა ბეი 4:0**

1:0, 2:0, 1:0

**გოლები:** 1:0 გერინი-5 (სილინჯერი-3, დიპიეტრო-1), 2:0 ვაშიჩეკი-4 (მატანი-6, პარკი-1), 3:0 ფედოტენკო-4 (კომრი-7), 4:0 ჰანტერი-2 (სატონი-2, კომრი-8).

**რეინჯერსი-ვაშინგტონი 2:0**

0:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 დრური-2 (მ. სტაალი-1, შენეჰანი-4), 2:0 როჟსივალი-3 (გომესი-2, დრური-8).

**მონრეალი-ფილადელფია 5:2**

1:1, 2:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ს. კოივუ-4 (ჰამრლიკი-7, ჩიპჩურა-1), 1:1 მ. რიჩარდსი-7 (ბრიერი-10, ტიმონენი-6), 2:1 კოვალიოვი-7, 3:1 კოსტოპულოსი-1 (მარკოვი-6), 4:1 ლატენდრესი-2 (ს. კოივუ-10), 5:1 ჰიგინსი-5 (შტრაიტი-5, რაიდერი-4), 5:2 აპშოლი-1 (ჯ. კარტერი-2, კუკონენი-1).

**ოტავა-ატლანტა 6:4**

1:0, 4:0, 1:4

**გოლები:** 1:0 რ. რობიტაილი-1 (ალფრედსონი-8), 2:0 რ. რობიტაილი-2 (ალფრედსონი-9, ჰიტლი-5), 3:0 ივსი-2 (ვერმეტი-5, კელი-3), 4:0 ფოლინო-2, 5:0 ალფრედსონი-8 (ჰიტლი-6, ფიშერი-4), 5:1 კოვალჩუკი-7 (მარიან ჰოსა-2), 5:2 პერენი-3 (ვიაჩ. კოზლოვი-2, ენსტრიომი-4), 5:3 კოვალჩუკი-8 (პერენი-4), 5:4 კოვალჩუკი-9 (ჰეიდარი-5), 6:4 ალფრედსონი-9 (ვერმეტი-6).

**მინესოტა-სენტ ლუისი 2:3**

1:0, 1:2, 0:1

**გოლები:** 1:0 გაბორიკი-2 (დემიტრა-6, ბერნსი-3), 1:1 ტკაჩუკი-5 (კარია-13, ბოიესი-3), 1:2 რუჩინსკი-1, 2:2 დემიტრა-4 (გაბორიკი-8, შულტცი-4), 2:3 მაკკი-1 (რ. ჯონსონი-3).

**კოლორადო-პიტსბურგი 3:2**

0:2, 3:0, 0:0

**გოლები:** 0:1 კროსბი-6 (გონჩარი-8, იტონი-1), 0:2 კროსბი-7 (მალკინი-12, გონჩარი-9), 1:2 ლაილსი-1 (რ. სმიტი-5, საკიკი-9), 2:2 ვოლსკი-5 (ლაპერიერი-2, გიტი-2), 3:2 გიტი-1 (უ. სმიტი-2, ლაპერიერი-3).

**კალგარი-დეტროიტი 1:4**

1:2, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ტანგეი-4 (იგინლა-12), 1:1 ჰუდლერი-3 (ლებდა-3, სამუელსონი-7), 1:2 ზეტერბერგი-11 (დაციუკი-13, ლიდსტრიომი-10), 1:3 კლირი-2 (დრეიპერი-3, ლიდსტრიომი-11), 1:4 ზეტერბერგი-12 (დაციუკი-14, რაფალსკი-10).

**ვანკუვერი-ნეშვილი 0:3**

0:2, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ლეგვანდი-4 (დუმონი-3, არნოტი-6), 0:2 ერატი-1 (დუმონი-4), 0:3 არნოტი-4 (ლეგვანდი-6, ერატი-7).

**ანაჰაიმი-კოლამბუსი 2:1 (ბ)**

0:0, 0:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 რ. ნიდერმაიერი-1 (პალსონი-2), 1:1 ჟერდიოვი-3 (ჰეინსი-5, ფიოდოროვი-3).
**ბულიტები გაიტანეს:** შნაიდერი (ანაჰაიმი).

ოქტომბრის ლაურეატები

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ ოქტომბრის თვის საუკეთესო მოთამაშეები გამოავლინა. ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ პირველი ვარსკვლავი "დეტროიტ რედ უინგზის" შვედი ფორვარდი **ჰენრიკ ზეტერბერგი** გახდებოდა. "დეტროიტმა" გასულ თვეში 13 მატჩი ჩაატარა და ზეტერბერგი ყველა შეხვედრაში მინიმუმ ქულას მაინც აგროვებდა. ამ შთამბეჭდავი სერიის შედეგად, მან 10 გოლი და 12 შედეგიანი პასი მიითვალა.

გარდა ამისა, შვედმა გამარჯვების მომტან შვიდ საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა და შესაბამისად, მისი დიდი წვლილია იმაში, რომ "დეტროიტმა" 13 მატჩში 10 მოიგო.

სხვათა შორის, "დეტროიტმა" და ზეტერბერგმა ნოემბერიც წარმატებით დაიწყეს - "კალგარის" 4:1 დამარცხებაში შვედმა ფორვარდმა ერთი გოლით შეიტანა წვლილი. ამგვარად, ზეტერბერგის წარმატებული მატჩების სერია 14-მდე ავიდა და ამით მან გაიმეორა 1960 წელს, სეზონის სტარტზე **ნორმ ულმანის** მიერ დამყარებული რეკორდი.

თვის მეორე და მესამე ვარსკვლავებად "კოლამბუსის" მეკარე **პასკალ ლეკლერი** და "კალგარის" ფორვარდი **ჯერომ იგინლა** დასახელდნენ.

ლეკლერმა 8 მატჩში 4 შათაუტი შეასრულა, საშუალოდ 1.25 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 95.3 პროცენტს იგერიებდა. რაც შეეხება იგინლას, ზეტერბერგის შემდეგ ის თვის მეორე ბომბარდირი გახდა - 8 გოლი და 11 პასი.

## ჩოგბურთი



დავიდ ნალბანდიანი

ტურნირები

# პირველი ჩოგნის შემმუსვრელი

მსოფლიოს პირველ ჩოგანს, შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს** ამ სეზონში არგენტინელმა ჩოგბურთელებმა სისხლი გაუშრეს. ჯერ იყო და, **გილერმო კანიასმა** ზედიზედ ორჯერ, ორივეჯერ მასტერსის სერიის ტურნირზე მოუგო, ახლა კი **დავიდ ნალბანდიანმა** გადაიბარა ესტაფეტა და ზედიზედ მეორედ აწნია მარცხის სიმწარე.

ჯერ იყო და, ნალბანდიანმა ფედერერს მადრიდის მასტერსის ფინალში მოუგო. გავიდა 11 დღე და ისინი კვლავ დადგნენ ერთმანეთის წინაშე, ამჯერად პარიზის მასტერსის მესამე წრეში. ფედერერს კარგა ხანია, განაღდებული აქვს სეზონის დამაგვირგვინებელი მასტერსის საგზური, ნალბანდიანმა კი შანხაიში თამაშის უფლება ჯერ კიდევ კორტზე გამოსვლამდე დაკარგა, რაც მისი კონკურენტების წარმატებამ განაპირობა. ამდენად, დამატებითი მოტივაციის წყარო ორივეს დაკარგული ჰქონდა.

*"რა თქმა უნდა, საწყენია, როცა ერთ ჩოგბურთელთან ორ კვირაში ორჯერ დამარცხდები. მით უმეტეს, რომ ჭერქვეშა ჰარდი კორტის ჩემთვის ფავორიტი საფარია. აქ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ დავიდი სუპერმოთამაშეა"*, - განაცხადა ფედერერმა, ვისაც ნალბანდიანთან მასტერსის თასის ფინალშიც აქვს წაგებული (2005 წელს).

მათი შეხვედრა არგენტინელის უპირატესობით დაიწყო, ვინც მეშვიდე გეიმში 5:2 დაწინაურდა. მომდევნოშივე ფედერერმა ერთი საპასუხო ბრეიკი აიღო და მერე თავის სერვისზე შეძლო ქულის აღება, მაგრამ მეტოქის მომდევნო სერვის-გეიმზე ალარაფერი გამოუვიდა. ნალბანდიანმა ამჯერად სეტს დიაგონალური ზუსტი დარტყმით დაუსვა წერტილი. არგენტინელი მეორე სეტის დასაწყისშიც დაწინაურდა. მაგრამ მეათე გეიმში, როცა ანგარიში 5:4 იყო და ის მატჩზე აწოდებდა, ფედერერმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და საპასუხო ბრეიკი მოიპოვა, რითაც სეტი ტაიბრეიკზე გადაიყვანა. აქაც თავიდანვე არგენტინელი დაწინაურდა, ვისი პირველი მატჩ პოინტიც ფედერერმა კი მოიგერია, მაგრამ მეორეზე ალარაფერი გამოუვიდა - მისი წალმა დარტყმული ბურთი კორტს მიღმა ჩავარდა.

მეოთხედფინალში ნალბანდიანის მეტოქე ესპანელი **დავიდ ფერერი** იყო, ვინც მესამე წრეში ტურნირის ყოფილ ჩემპიონს, ჩეხ **ტომაშ ბერდიხს** მოუგო. ფერერმა არგენტინელს ფედერერზე მეტი წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა საბოლოოდ მანაც კორტი წაგებულმა დატოვა.

ნალბანდიანმა ფედერერის დასამარცხებლად თუ ორი სეტი იმყოფინა, ფერერთან მოსაგებად სამი სეტის თამაშმა მოუწია. თანაც, ორ სეტში გამარჯვებულის გამოსავლენად ტაიბრეიკის თამაში გახდა საჭირო. თუმცა, მთავარი ისაა, რომ ნახევარფინალში სწორედ ის ითამაშებს.

ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა კვიპროსელმა **მარკოს ბაღდატისმაც**, რომელმაც ესპანელი **ტომი რობრედო** დაამარცხა, რომელმაც ამ წაგებასთან ერთად, შანხაიში გამგზავრების შანსიც პრაქტიკულად დაკარგა. რობრედო ტურნირზე მერვე ნომერი იყო და შესაბამისად, შანხაის ბოლო ორი საგზურისთვის მებრძოლთა შორის მოწინავე პოზიცია ეკავა. ახლა კი მის საგზურს ბრიტანელ **ენდი მარეისა** და ფრანგ **რიშარ გასკეს** შორის მოგებული (მათი შეხვედრა გვიან დასრულდა) დაეპატრონება.

შანხაიში თამაშის შანსს ჯერაც ინარჩუნებს ავსტრალიის ღიას ყოფილი ფინალისტი ბაღდატისი, ვინც პირველად ითამაშებს მასტერსის სერიის ტურნირის ნახევარფინალში. მისი მომდევნო მეტოქის ვინაობა ესპანელი **რაფაელ ნადალისა** და რუსი **მიხაილ იუჟნის** შეხვედრას უნდა გამოევლინა (ეს თამაშიც გვიან დასრულდა).

*"მითხრეს, რომ შანხაიში იმ შემთხვევაში გავემგზავრები, თუ მარეი და გასკე ფინალში ვერ გავლენ. ძალიან კარგი, მაგრამ ახლა მასტერსის თასზე არ ვფიქრობ. ჩემი საფიქრალი ნახევარფინალს ეხება"*, - განაცხადა ბაღდატისმა.

პარიზში კიდევ ერთხელ გაჟღერდა ჩოგბურთში კორუფციის გავრცელების თემა. კერძოდ, ჩოგბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტი და იმავდროულად, მთავარი აღმასრულებელი **ეტიენ დე ვილიერსი** აცხადებს, რომ თამაშების ჩაწყობას ჩოგბურთის დაღუპვა შეუძლია.

*"თუ ჩვენ ვერ დავიცავთ სპორტის მთავარ ღირებულებას - შეჯიბრების სულისკვეთებას, მაშინ ჩოგბურთი დაღუპვისთვის ყოფილა განწირული. სპორტი თავისი არაპროგნოზირებადობის გამოა საინტერესო და თუ მას ამ ფაქტორს გამოვაკლებთ, მაშინ მხოლოდ შოუ დაგვრჩება"*, - ამბობს ეტიენ დე ვილიერსი, ვინც თამაშების ჩაწყობას ჩოგბურთისთვის დოპინგზე დიდ მტრად მიიჩნევს.

ბოლო შემთხვევა, როცა ჩოგბურთელი თამაშის შეგნებულად წაგებაშია ეჭვმიტანილი, რუს **ნიკოლაი დავიდენკოს** უკავშირდება. შეგახსენებთ, რომ პოლონეთის (სოპოტის) ტურნირზე დავიდენკომ, ვინც რეიტინგში მეოთხე იყო, არგენტინელ **მარტინ არგელო ვასალოსთან** მოულოდნელი მარცხი იწვნია. თამაშის დროს ის მსაჯმა მოტივაციის ნაკლებობის გამო გააფრთხილა, მოგვიანებით კი, ბრიტანულმა ტოტალიზატორმა "ბეტფაირმა" გამოაცხადა, რომ დავიდენკოსა და არგელო ვასალოს შეხვედრაზე, რუსის წინააღმდეგ არნახულად ბევრი ფსონი შევიდა. ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ ჩოგბურთის ასოციაციამ რუსი 2000 დოლარით დააჯარიმა.

უფრო ადრე, რამდენიმე ჩოგბურთელს, მათ შორის, ავსტრალიის ღიას ყოფილ ფინალისტს, ფრანგ **არნო კლემანს** ნათქვამი აქვთ, რომ მათ თამაშების შეგნებულად წაგებაზე რამდენჯერმე მიუღიათ შეთავაზება, რის სანაცვლოდ მათ დიდ თანხას სთავაზობდნენ.

**ATP**

**BNP პარიბასის მასტერსი**

პარიზი (საფრანგეთი). ჭერქვეშა ხალიჩა
**საპრიზო ფონდი: 2 082 500 ევრო**

**მესამე წრე**

დავიდ ნალბანდიანი (არგ)-როჯერ ფედერერი (შვეი, 1) 6:4, 7:6(3); **რაფაელ ნადალი** (ესპ, 2)-სტანისლას ვავრინკა (შვეი) 6:4, 6:3; **მიხაილ იუჟნი** (რუს)-ტომი ჰაასი (გერ, 9) 6:4, 1:6, 6:3

**მეოთხედფინალი**

მარკოს ბაღდატისი (კვიპ)-ტომი რობრედო (ესპ, 8) 6:4, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (არგ)-დავიდ ფერერი (ესპ, 5) 7:6(3), 6:7(3), 6:2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმჯარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა